ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 10 ივნისი, 2013 №135 (6136) ფასი: 30 თეთრი

## ნინო ბურჯანაძე: „დავით უსუფაშვილს ევროკავშირის წინაშე განმარტებების გაკეთება მოუწევს“

გვ.4

# ირაკლი ალასანია: „ავღანეთში მყოფ ჩვენს მებრძოლებს მხარდაჭერა სჭირდებათ“

ჰელმანდის პროვინციაში დაღუპული მებრძოლები საქართველოში ჩამოასვენეს



სამების საკათედრო ტაძარში მათ პანაშვიდი გადაუხადეს გვ.3

## კახა კახიშვილი: „ჩვენი მთავრობა არაკომპეტენტურია“

გვ.2



რა შემთხვევაში დაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები



## ირაკლი ბათიაშვილი: „სააკაშვილისგან ყველაფერს ელოდეთ!“

გვ.5



## გიორგი თავდგირიძე: „ავღანეთში მომხდარი ტერაქტები თავდაცვის სამინისტრომ კარგად უნდა გამოიძიოს“

გვ.6



## კახა ძაგანია: „გაერთიანების შემთხვევაში არასაპარლამენტო ოპოზიცია საპრეზიდენტო არჩევნებს მოიგებს“

გვ.4



## ივანიშვილის დაბნეულობა საქართველოსთვის სახიფათოა

გვ.7





გვ.2

## ლევან ვეფხვაძე: „ეს არის ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი წევრის გედის ბოლო სიმღერა“

6 ივნისიდან!

„ახალი თაობა“
+
ქართული ფენომენი

ტომი 2 8 ლარი

ალექსანდრე ბატონიშვილი





ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 იუსტიციის უმაღლესი სკოლის თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი გახდა

4 „მარეკ დუდაევის გათავისუფლება არა პოლიტიკური, არამედ სამართლებრივი გადაწყვეტილება იყო“

5 ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია ხელისუფლებას ავღანეთში ქართული კონტინგენტის შემცირებისკენ მოუწოდებს

11 სტამბოლში გეზის პარკის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრი აღარ აშენდება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# კახა კახიშვილი: „ჩვენი მთავრობა არაკომპეტენტურია“

### რა შემთხვევაში დაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ პოლიტოლოგ კახი კახიშვილთან



***— ბატონო კახი, უკანონო ფარული ჩანაწერების განადგურებასთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, თქვენი პოზიცია განსხვავებულია, როგორია თქვენი არგუმენტები?***

— მე პოზიცია არ შემიცვლია. ახლაც ვფიქრობ, რომ სამართლებრივად მართალი ვარ. ჩემი არგუმენტია, რომ უნდა დადგეს იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც სისტემურად აყალიბებდა ადამიანებზე მანიპულირებას ასეთი ბინძური ჩანაწერების მეშვეობით. ამაზე ძალიან ბევრი ფული იხარჯებოდა. ხომ ვიცით, რომ სისტემაში ჯგუფი იყო შექმნილი, რომელიც მიზანმიმართულად აწარმოებდა ფარულ ჩანაწერებს. თუმცა, აქვე ჩნდება მეორე საკითხი — ადამიანს, რომელსაც საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ მასზე რაღაც მასალა არსებობს, ის უნდა დამშვიდდეს, რომ ეს მასალა განადგურებულია. კანონმდებლობაში უნდა შევიდეს ცვლილება, რომ, ერთი მხრივ, ჩანაწერები არ გაფუჭდეს, როგორც მტკიცებულება და, მეორე მხრივ, განადგურდეს. პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მთავარია, იმ ადამიანის უფლება იყოს დაცული, რომელიც ასეთი ბინძური გადაღების ობიექტი იყო. სამინისტრომ ჩათვალა, რომ უნდა განადგურდეს.

***— მიიღებთ კომისიაში მონაწილეობას?***

— ბუნებრივია, ჩვენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარე, რამდენიმე ადამიანი ჩავერთვებით კომისიის მუშაობაში, რადგან საინტერესოა, რა ნადგურდება. განადგურებას თავისი პროცედურები აქვს, შესაბამისი დებულებაა საჭირო.

***— ვინ შეიძლება კომისიის წევრები იყვნენ სამოქალაქო სექტორიდან?***

— სამოქალაქო სექტორმა თავისი კანდიდატები წარმოადგინა. კომისიის წევრი იქნება: შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორი, ალბათ, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი. საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ რა ფორმატის კომისია იქნება, შინაგან საქმეთა სამინისტრო მიიღებს.

***— საუბარია, რომ ჩანაწერები არ უნდა ნახონ კომისიის წევრებმა.***

— დიახ, მექანიზმები იქნება შემუშავებული, რომ დაშიფრული წესით, ისე, რომ საერთოდ არ იცოდეს არავინ, ვისზეა ან ვინ მონაწილეობს, ისე მოხდეს მასალის განადგურება. ვიღაცამ რომ დაიწყოს იმის ნახვა, რაც იქ დევს, ამას ვერც ერთი ადამიანის გული ვერ გაუძლებს.

***— თქვენ გამოძიების ჩატარებას ითხოვთ?***

— ვფიქრობ, ამ საქმეს სასამართლო პერსპექტივა უნდა ჰქონდეს, რადგან სახეზეა დანაშაულებრივი ჯგუფის მოქმედება. ამ კუთხით გამოძიება უნდა დაიწყოს, რადგან 9 წლის განმავლობაში ჯგუფი მოქმედებდა, შესაბამისად, თუ რომელიმე ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგა, ხვალ გამოვა „ნაციონალური მოძრაობის“ რომელიმე წარმომადგენელი და იტყვის: თუ ვარღვევდი, პასუხისგებაში რატომ არ ვარ.

ვიღაც ამდენი წლის განმავლობაში კანონის საწინააღმდეგოდ რომ მოქმედებდა, ამიტომ უნდა დაისაჯო. გამოძიება სწორედ ამ კუთხით უნდა წარიმართოს.

***— თქვენ ამბობთ, ეს ერთგვარი პრევენციაც იქნებოდა, რომ მსგავსი პრეცედენტი არ გამეორდეს?***

— სწორედ ამიტომ დავსვი მე ეს საკითხი. დანაშაულისთვის კონკრეტული დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ჯერჯერობით მე ამაზე პასუხი ვერ მივიღე, ჩემთვის, როგორც იურისტისთვის ცოტა გაუგებარია. თუმცა, მე იურისტი ვარ, პოლიტიკოსები კი პოლიტიკოსები არიან.

***— რადგან პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული ხომ არ ფიქრობთ, რომ ერთგვარად საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლა იყო?***

— ალბათ. პოლიტიკური გადაწყვეტილება არის სწორედ იმიტომ, რომ საზოგადოების ნაწილი იმ სიკეთეს იცავს, რომ ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, რომ პირადი მასალების ამსახველი ვიდეო კიდევ ვინმემ არ აჩვენოს, საჯარო სივრცეში არ მოხვდეს. თუმცა, თომას ჰამერბერგმა განაცხადა, რომ ერთი სიკეთეა, ეს მასალები განადგურდეს, ხოლო მეორე საკითხია, რომ ის პირები დაისაჯონ, რომლებიც ამას აკეთებდნენ, რათა პრევენცია მოხდეს სხვა თანამდებობის პირებისთვისაც. სისტემური მიდგომაა საჭირო საცავების შექმნასთან დაკავშირებით, საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. ძალიან ბევრი რაღაცის გაკეთებაა საჭირო იმისთვის რომ რაც კონსტიტუციაში, კანონში წერია რეალურად იყოს დაცული. კონსტიტუციაში, კანონში ეწერა, რომ ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, მაგრამ ვნახეთ, როგორ იყო დაცული. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი დემოკრატიული ღირებულებები, რომ სისტემა კი არ დაემორჩილოს კონკრეტული მინისტრის ნებას, არამედ მინისტრი დაემორჩილოს სისტემის მოთხოვნებს. ეს არის ჩვენი ამოცანა.

***— რვათვიანი მმართველობის შემდეგ რა შეგიძლიათ გვითხრათ, ის კურსი, რომელსაც ახალი ხელისუფლება და პრემიერი ივანიშვილი ატარებს, როგორ მიდის? რა კონტურები იკვეთება?***

— ჩვენ ვხედავთ პრემიერ-მინისტრის მხრიდან სურვილს, რომ ქმედითი რეფორმები გაატაროს იმისთვის, რომ საქართველოში რეალურად დემოკრატიული ღირებულებები დამკვიდრდეს. ამავდროულად, მთავრობაში იგრძნობა გარკვეული პირების მხრიდან არაკომპეტენტურობა.

***— ჩანს გარკვეული მინისტრების არკომპეტენტურობა?***

— რა თქმა უნდა, ჩანს.

***— კონკრეტულად?***

— კოორდინაცია არ არის. „ქართული ოცნება“ კოალიციაა, რამდენიმე სუბიექტია წარმოდგენილი. შიდაპარტიული ინტერესებია, შიდაპარტიული ბრძოლებია. მთავრობაც არ არის ერთსულოვანი. ერთი მინისტრი ვიღაცის რეკომენდაციითა, მეორე მინისტრი რომელიღაც პარტიის რეკომენდაციითაა. მოადგილეები რომელიღაც პოლიტიკური პარტიის ინტერესებს ატარებენ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჩანს, თუმცა, კარგი ის არის, რომ პრემიერს არ აქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ბინძურ თამაშებში. ბიძინა ივანიშვილს ყველაფერი აქვს ნანახი, აქვს ქონება, ფული, ყველა მატერიალური სიკეთე, ერთადერთი, რაც ახლა სურს, ის არის, რომ კარგი ადამიანის სახელი დატოვოს ისტორიაში. ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სიკეთე გაუკეთოს თავის ქვეყანას, სახელმწიფოს, როგორი მეცენატი ახსოვს ხალხს ბიძინა ივანიშვილი, ისეთივე პოლიტიკოსი დაამახსოვრდეს. ეს გამოუვა თუ არა, გააკონტროლებს თუ არა თავის გუნდს, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

***— კოალიციური მმართველობა პლუსია თუ მინუსი?***

— უკეთესი იქნებოდა მეტი ორგანიზებულობა, მეტი კოორდინაცია.

***— მთავრობის შიგნით თუ სახელისუფლებო შტოებს შორის?***

— მთავრობის შიგნით, მთავრობასა და პარლამენტს შორის და პარლამენტში უმრავლესობის ფრაქციებს შორის. იგრძნობა სხვადასხვა ინტერესი.

***— კონკრეტულად რომ გვითხრათ, რა მიმართულებით?***

— ყველა მიმართულებით. საარჩევნო კოდექსით დაწყებული, სისხლის სამართლის სფეროთ დასრულებული. ყველა ცდილობს, საკუთარი ინტერესებით გაატაროს რაღაც რეფორმა. ერთადერთია პრემიერი, რომელსაც არანაირი პოლიტიკური ინტერესი არ გააჩნია.

***— აბალანსებს პრემიერი?***

— ახლა ძალიან რთულია დაბალანსება, რადგან პრეზიდენტი სააკაშვილია, რომელიც დესტრუქციულად მოქმედებს. პრემიერმა უფრო მკაცრად რომ დაიწყოს დაბალანსება, არ არის გამორიცხული, ვიღაცვიღაცებმა „ნაცმოძრაობის“ წევრებთან თანამშრომლობა დაიწყონ დესტრუქციის კუთხით. ოქტომბრის შემდეგ ბიძინა ივანიშვილს უფრო მეტი საშუალება მიეცემა, რეალური რეფორმები გაატაროს და სახელმწიფოს განვითარებაზე იზრუნოს, ვიდრე გუნდს შორის ინტერესების დაბალანსებაზე.

***— საპრეზიდენტო არჩევნებზე რას იტყვით?***

— ეს საპრეზიდენტო არჩევნები სტრატეგიული მნიშვნელობისაა. დე ფაქტო ერთადერთი ოპონენტი ჰყავს ხელისუფლებას, „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც არანაირ ნდობას არ იწვევს საზოგადოებაში. ვიღაცისთვის ასეთი ოპონენტი მიმზიდველია, რადგან, დისკრედიტებული ოპონენტი რომ გყავს, ყოველთვის მართალი ხარ. ამიტომ ვთქვი, რომ სტრატეგიული მნიშვნელობისაა ეს არჩევნები. არასაპარლამენტო პოზიციამ თავისი კანდიდატი კარგად უნდა გამოკვეთოს, შედეგით მეორე ადგილი მაინც უნდა დააფიქსიროს, რომ პოლიტიკურად მყარი ოპოზიცია ჩამოყალიბდეს. თუ არასაპარლამენტო ოპოზიციამ, როგორც მინიმუმ, მეორე ადგილი დააფიქსირა, მაშინ გარდაუვალი იქნება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. თუ საკუთარ ამბიციებს ვერ დათმობენ და ხმების გახლეჩა მოხდება, თუ მეორე ადგილზე გავა „ნაციონალური მოძრაობა“, მერე ნახეთ კოჰაბიტაციის მოთხოვნა დასავლეთის მხრიდან და „ნაციონალური მოძრაობის“ ჩართულობა ყველა პოლიტიკურ პროცესში.

## იუსტიციის უმაღლესი სკოლის თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი გახდა

მოსამართლეთა მეათე კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი სკოლის თავმჯდომარედ მოსამართლე მამუკა ახვლედიანი აირჩია. მამუკა ახვლედიანი მოსამართლეებმა კონფერენციაზე 197 ხმით აირჩიეს. იუსტიციის უმაღლესი სკოლის თავმჯდომარის არჩევის დროს დარბაზში 222 მოსამართლე იმყოფებოდა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თანამდებობაზე მხოლოდ მამუკა ახვლედიანის კანდიდატურა იყო წარდგენილი. მოსამართლეებმა ერთ-ერთ კანდიდატად თემურ თოდრია დაასახელეს, თუმცა მან კანდიდატურა თავად მოხსნა.

მამუკა ახვლედიანმა იუსტიციის უმაღლესი სკოლის თავმჯდომარის თანამდებობაზე დავით სააკაშვილი შეცვალა.

მედიანიუსი

## ლევან ვეფხვაძე: „ეს არის ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი წევრის გედის ბოლო სიმღერა“



„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი, ლევან ვეფხვაძე რუსთავის საკრებულოში განვითარებულ მოვლენებს პრაიმტაიმის პრეს-კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოეხმაურა.

რუსთავის საკრებულოს არანაციონალურმა უმცირესობამ მოითხოვა საკრებულოს სხდომის ჩატარება, საკრებულოს ნაციონალი თავმჯდომარის გადარჩევის მიზნით. სხდომის ჩატარებას ითხოვდნენ ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენლებიც, მათ შორის რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ფიქრია ავალიანი. ამის საპასუხოდ ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენელი ფიქრია ავალიანი თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

„ვფიქრობ, ეს არის ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი წევრის გედის ბოლო სიმღერა, კუდის მოქნევა. რადგან დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე კვირაში არც რუსთავში და არც თბილისში აღარ იქნება ნაციონალური უმრავლესობა და ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნა, როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივ დონეზე დასრულდება. ასე, რომ მოვუწოდებ მათ ასეთ უაზრო პოლიტიკას თავი გაანებონ და დაემორჩილონ იმ პროცესებს, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობას,“ — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

მედიანიუსი

## მაია ფანჯიკიძე გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილეს შეხვდა



საგარეო საქმეთა მინისტრი გაეროში შეხვედრებს განაგრძობს. მაია ფანჯიკიძე გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეს პოლიტიკურ საკითხებში ჯეფრი ფელტმანს შეხვდა. გენმდივნის მოადგილემ მწუხარება გამოთქვა ავღანეთში ქართველი სამხედროების დაღუპვის გამო და მადლობა გადაუხადა საქართველოს გლობალურ უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილისათვის.

მაია ფანჯიკიძემ ფელტმანთან შეხვედრაზე დევნილთა შესახებ რეზოლუციის საკითხი განიხილა, რომელიც გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 13 ივნისს გადის. ისაუბრეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე, ყურადღება გამახვილდა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მიმდინარე პროსეცებზე.

„ჩვენ ვისაუბრეთ იმ თემებზე რომელიც გაეროსთვის მნიშვნელოვანია. ეს არის პირველ რიგში დევნილთა შესახებ რეზოლუცია, გაერო-ში ბევრი ქვეყნის წარმომადგენელს შევხვდი რეზოლუციის მხარდაჭერის თხოვნით. მოგეხსენებათ რეზოლუცია გენერალურ ასაბლეაზე 13 ივნისს გადის. პროგნოზისგან თავს შევიკავებ, თუმცა დარწმუნებული ვარ წელს გვექნება კარგი შედეგი, მთავარია, რომ პოზიტიური დინამიკა შენარჩუნდეს.

ბატონმა ფელტმანმა ჩემთან საუბარი დაიწყო სამძიმრით ავღანეთში გარდაცვლილი სამხედროების გამო. მან როგორც ამერიკის შეერთბული შტატების მოქალაქემ და ასევე როგორც გაეროს გენმდივნის მოადგილემ მადლობა გადამიხადა იმისთვის, რომ საქართველო მონაწილეობს IშAF -ის ოპერაციაში და აღნიშნა, რომ ჩვენი წვლილი არის ძალიან დიდი.“— განაცხადა მაია ფანჯიკიძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მედიანიუსი

## ეკა ბესელია უშიშროების საბჭოს შეკრების მომხრეა



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია ავღანეთში ქართველ ჯარისკაცებზე თავდასხმისა და საფრთხეების არსებობასთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს შეკრებას საჭიროდ მიჩნევს.

როგორც ჟურნალისტებს ბესელიამ განუცხადა, უშიშროების საბჭო უნდა იკრიბებოდეს ყოველთვის, როდესაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საგარეო საკითხები არის გადასაწყვეტი.

„ის, რომ მძიმე რამ მოხდა ავღანეთში, ჩვენი საჯარისო შენაერთებისა და ჯარისკაცების მიმართ ასეთი თავდასხმა განხორციელდა , ის რომ ეს საფრთხეები ჯერ კიდევ არსებობს და შესაძლებელია ამ მხრივ სხვა განსაკუთრებული ღონისძიებები იყოს დასაგეგმი , ბუნებრივია, რაღაც ფორმატში შეკრება არის საჭირო“,-განაცხადა ბესელიამ.

რაც შეეხება პრემიერ— მინისტრის დასწრებას უშიშროების საბჭოს სხდომაზე, ბესელიას თქმით, პრემიერი ამას თავად გადაწყვეტს.

შეგახსენებთ, რომ ავღანეთში ქართული შენაერთის მიმართ განხორციელებული თავდასხმის, ქართველი სამხედროებისა და საქართველოს მოსახლეობის მიმართ მუქარის შემცველი ვიდეოკლიპების გავრცელებისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხების შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა მოიწვია.

პრეზიდენტი მზადაა, ზუსტი დრო დანიშნოს პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის აპარატების შეთანხმების მიხედვით, ორშაბათს, სამშაბათს ან ოთხშაბათს.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ალასანია: „ავღანეთში მყოფ ჩვენს მებრძოლებს მხარდაჭერა სჭირდებათ“

## ჰელმანდის პროვინციაში დაღუპული მებრძოლები საქართველოში ჩამოასვენეს



შორენა მარსაგიშვილი

ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროები სამშობლოში გუშინ გამთენიისას ჩამოასვენეს. ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია იმავე თვითმფრინავით ჩამოფრინდა საქართველოში. ალასანია ავღანეთში ტრაგედიის დღესვე გაფრინდა.

ინციდენტი, რომელმაც 7 ჩვენებურია სიცოცხლე შეიწირა 6 ივნისს, ავადსახსენებელ ჰელმანდის პროვინციაში მოხდა.

ამ ტრაგედიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყანაში დიდი ამბები გამოიწვია. პრეზიდენტმა 7 ივნისი გლოვის დღედ გამოაცხადა. მომხდარის გამო მთელმა ხელისუფლებამ გამოთქვა მწუხარება.

შეწუხებული ხელისუფლება იმის დამტკიცებასაც ცდილობდა, რომ ავღანეთში ჩვენი სამხედროების ყოფნა საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

IV ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის ჯარისკაცებისთვის პატივის მისაგებად სამგლოვიარო ცერემონიალი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გაიმართა. ცერემონიალს საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობისა და პარლამენტის წევრები დაესწრნენ, არ ჩანდა მხოლოდ პრემიერი ბიძინა ივანიშვილი. სააკაშვილს კი რაღაც მომენტში სახეზე ღიმილიც დასთამაშებდა.

ქართველ სამხედროებს პატივი მიაგეს საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა. აეროპორტში იმყოფებოდნენ დაღუპულთა ოჯახის წევრებიც.

ავღანეთში, ქართულ ბაზაზე თავდასხმის შედეგად დაღუპული ქართველი სამხედროების ცხედრები საქართველოში ამერიკის საჰაერო ძალების სამხედრო თვითმფრინავით ჩამოასვენეს. მათ ადგილზე საპატიო ყარაული და შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სამხედრო საჩვენებელი ორკესტრი დახვდა, რომელმაც სამგლოვიარო მარში შეასრულა.

– მე მინდა განსაკუთრებულად მივუსამძიმრო ჩვენი დაღუპული გმირების ოჯახებს. ჩვენი ვალია, მთავარი ამოცანაა, რომ მათ მოვუფრთხილდეთ და ვუპატრონოთ. რაც შეეხება ამ გმირებს, მათ ნამდვილად ჩვენი მომავლისთვის გადადეს თავი, საქართველო ამას დააფასებს. სამების საკათედრო ტაძარში გაიმართება სამოქალაქო გამოთხოვება ჩვენს გმირებთან და მე ვთხოვ ყველას, ჩვენი გმირებისადმი პატივის მიგებით კიდევ ერთხელ გამოხატონ დიდი მხარდაჭერა, რომელიც ჭირდება ჩვენს მებრძოლებს, ვაჟკაცებს ავღანეთში, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეები საქართველოს შეიარაღებული ძალების IV ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქ ქვეით ბატალიონში მსახურობდნენ. ისინი აისაფის მისიის შესასრულებლად ავღანეთში 2013 წლის აპრილში გაემგზავრნენ. კაპრალი თეიმურაზ ორთავიძე (07.01.1988) ქართულ ჯარში 2009 წლიდან მსახურობდა. კაპრალი გიორგი ადამოვი (23.05.1990) შეიარაღებული ძალების რიგებში 2009 წლიდან ირიცხება. პირველი კლასის რიგითი ზურაბ გურგენაშვილი (02.09.1980) არმიაში 2010 წლიდან მსახურობდა. რიგითმა მიხეილ ნარინდოშვილმა (25.12.1986) კონტრაქტი 2012 წელს გააფორმა. კაპრალი ბორის ცუგოშვილმა (12.05.1984) შეიარაღებულ ძალებში 6 წელი იმსახურა. პირველი კლასის რიგითი ზვიად სულხანიშვილი (22.10.1990) ქართულ ჯარს 2010 წელს შეუერთდა. პირველი კლასის რიგითი გიორგი ლუჭაშვილი (10.12.1991) საქართველოს შეიარაღებული ძალებში 2010 წლიდან მსახურობდა.

ავღანეთში დაღუპული ქართველ სამხედროები სამების საკათედრო ტაძარში 18.00 საათზე დაასვენეს, ხოლო 19.00 საათზე პანაშვიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II გადაიხდა.

მისმა უწმინდესობამ ავღანეთში დაღუპულ ბიჭებზე გუშინ დილით საკვირაო ქადაგებაზეც ისაუბრა.

– ჩვენ შევწირეთ ჯარისკაცები, ჯერ – 3, შემდეგ – 7. ჩვენ ანალიზი უნდა გავაკეთოთ, რატომ მოხდა ეს, რა უნდა გაგვეკეთებინა ჩვენ იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო. ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ მოგვცეს სულიერი და ფიზიკური ხედვა. ღმერთმა დალოცოს და ნათელში ამყოფოს იმ ჯარისკაცთა სულები, რომლებიც ასე ტრაგიკულად დაიხოცნენ და დაამკვიდროს მათი სულები, სადაც მართალნი განისვენებენ. დღეს მთელი საქართველო გლოვობს და დასტირის ჩვენს ჯარისკაცებს და ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ ნათელში ამყოფოს მათი სულები. აღმოსავლური სიბრძნე ამბობს: ჰოი, სიხარულო, შენ ხარ საწყისი მწუხარებისა. ჰოი, მწუხარებავ, შენ ხარ საწყისი სიხარულისა. ადამიანს უნდა გააჩნდეს სულიერი ხედვა. არ კმარა მხოლოდ მატერიალური ხედვა, რადგან ადამიანმა უნდა სულიერად დაინახოს ის საკითხები, რომელიც დგას ჩვენს წინაშე. პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ და რა უნდა ვაკეთოთ, რათა მამული ჩვენი დიდი იყოს, – ბრძანა უწმინდესმა.

მანვე გაიხსენა წმინდა ილია მართალის სიტყვები – მამული, ენა, სარწმუნოება.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, მათ ეს სიტყვები განმარტეს, როგორც ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.

უწმინდესის თქმით, როცა ჩვენ ვუყურებთ ჩვენს ჯარისკაცებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს, უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რამდენად სათანადოდ ვადიდებთ ერს და სათანადოდ ვუფრთხილდებით ადამიანს.

პატრიარქის განცხადებით, ღმერთი ყველაფერს ქმნის მხოლობით რიცხვში და ადამიანი არის გვირგვინი ღმერთის ქმნილებებისა. ადამიანს უნდა ჰქონდეს გულის და გონების აზრი და მის ცხოვრებაში ორივე უნდა მოქმედებდეს.

– ჩვენ ანალიზი უნდა გავუკეთოთ იმას, თუ რატომ მოხდა ეს და რა უნდა გაგვეკეთებინა, რომ ეს არ მომხდარიყო. უფალს უნდა ვთხოვოთ, რომ მოგვცეს ფიზიკური და სულიერი ხედვა, – ბრძანა უწმინდესმა და კაცთა შორის სათნოება ისურვა.

ავღანეთში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლებმა განცხადებები გუშინაც გააკეთეს. შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ავღანეთში მომხდარი ტრაგედია სრულიად საქართველოს ტრაგედიაა.

– მინდა, გამოვხატო ღრმა მწუხარება გარდაცვლილთა ოჯახის წევრების მიმართ. ეს არის თითოეული ჩვენგანის და სრულიად საქართველოს ტრაგედია. მთელ ქვეყანას ვუსამძიმრებ ამ დღეს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, ის რაც მოხდა ავღანეთში, მთელი საქართველოსთვის ძალიან მძიმეა.

– ძალიან მძიმე წუთებია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის. მინდა, ღრმა მწუხარება გამოვთქვა მომხდართან დაკავშირებით. ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს, მათ ახლობლებს და სრულიად საქართველოს. ის რაც მოხდა, თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან მძიმეა, – განაცხადა კალაძემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, საქართველო ამაყად დგას იმ სახელმწიფოთა რიგში, რომლებიც ტერორს ებრძვიან.

მისი თქმით, დღეს ყველა ამაყი უნდა იყოს, რადგან საქართველოს ასეთი მეომრები ჰყავს. მათ იცოდნენ, სამშობლოს დასაცავად სად მიდიოდნენ და რა რისკის ქვეშ აყენებდნენ საკუთარ სიცოცხლეს.

უსუფაშვილის განცხადებით, დღეს ყველა ვგლოვობთ, ვინაიდან საქართველომ უდიდესი დანაკლისი განიცადა.

– დღეს მშობლიურ მიწაზე საკუთარი ფეხი ვერ დაადგეს ჩვენმა ჯარისკაცებმა. ჩვენი მეომრები თავისუფლებას, თავის სამშობლოს იცავდნენ და სიცოცხლე შესწირეს მას, მაგრამ უნდა ვიყოთ ამაყებიც, რადგან ჩვენ გვყავს ასეთი ჯარი, ასეთი მეომრები, რომლებმაც იცოდნენ, სად მიდიოდნენ, იცოდნენ, რა რისკის ქვეშ აყენებდნენ საკუთარ სიცოცხლეს, მაგრამ ეს ნაბიჯი საკუთარი სამშობლოსა და საკუთარი ქვეყნისთვის გადადგეს. სამარადისოდ დიდება მათ. ქართულმა სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მათმა ოჯახებმა, შვილებმა მუდმივად და ყოველდღიურად იგრძნონ ჩვენი ზრუნვა და ის, რომ სამშობლოსთვის სამსახური არასოდეს იქნება დავიწყებული, – განაცხადა პარლამენტის სპიკერმა.

სპიკერის თქმით, საქართველო ამაყად დგას იმ სახელმწიფოების რიგში, რომლებიც ებრძვიან ტერორს, ძალადობას და რომლებიც იბრძვიან მშვიდობისთვის მთელ მსოფლიოში.

– ეს ბრძოლა გრძელდება და ჩვენ მომავალშიც ღირსეულ წვლილს შევიტანთ, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

საქართველოში აშშ-ის ელჩ რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები ამ გლოვის დღეებში საქართველოსთან ერთად არის.

– ამერიკის შეერთებული შტატები, მთელი ცივილიზებული სამყარო საქართველოსთან ერთად გლოვობს ამ უზარმაზარ დანაკარგს, ამ უზარმაზარ ტრაგედიას. დღეს ჩვენ მათ ოჯახებთან ერთად ამ მამაც ჯარისკაცებს დავტირით; იმ ჯარისკაცებს, რომლებიც ტერორიზმის წინააღმდეგ და თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაიღუპნენ. პირადად გავატარე წელიწადნახევარი ავღანეთში და კარგად ვიცი, რომ მათი ვაჟკაცობით, მათი თავგანწირვით ავღანელ ხალხს მიეცა შესაძლებლობა, თავი დააღწიოს ზეწოლის რეჟიმს. თავად ის ფაქტი, რომ საქართველოს გამოვლილი აქვს ზეწოლის რეჟიმი და არის ამ ერთობლივი ბრძოლის ნაწილი, ამ თავგანწირვას ანიჭებს უფრო მეტ, დიდ მნიშვნელობას. დღეს ჩვენ თქვენთან ერთად ვართ. თქვენთან ერთად ვართ ამ გლოვის დღეებში, – განაცხადა ნორლანდმა.

სამძიმრის განცხადებები სხვა ქვეყნების ელჩებისგანაც მივიღეთ. სამწუხაროდ არც მათი სამძიმარი და არც მთელი ერის გულისტკივილი დაღუპულებს ვერ გააცოცხლებს.

### ნატო საქართველოს დაშლას აღიარებს?

ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ ავღანეთში ქართული კონტიგენტის ყოფნა აუცილებელია. ამბობებ, ახლა აუცილებლად მიგვიღებენ ნატოში. ნატოს ხელმძღვანელობა კი გვეუბნება რომ იქ ჯერ ჩვენი ადგილი არ არის. ამ დროს იმასაც გვეუბნებიან, რომ ნატოს კარი საქართველოსთვის ღიაა.

საქართველოს სწრაფვას ნატოსკენ რუსეთი დიდი ყურადღებით აკვირდება. აცხადებენ, რომ თავიანთ საზღვრებთან ნატოს გაფართოებას არ დაუშვებენ. ამ დღეებში ვლადიმერ კომოედოვმა სენსაციური განცხადება გააკეთა. მისი თქმით. ნატო საქართველოს დაშლას აღიარებს.

– მე ვხელმძღვანელობ რუსეთის საპარლამენტო დელეგაციას ნატოში. იქ ხშირად ვარ სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე. ჩემი აზრით, ნატო სულაც არ იმყოფება სტაგნაციის მდგომარეობაში, პირიქით, ის ვითარდება...აშშ ნატოს აფინანსებს 75 პროცენტით, რაც იმას ნიშნავს, რომ მას, პრაქტიკულად, ყველაფერი ხელში უჭირავს. ნატო აგრძელებს „ღია კარის“ პოლიტიკას. ახლო მომავალში ნატოში მიიღებენ კიდევ ხუთ სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოსაც, – განაცხადა ლაზარევის სახელობის საზღვაო ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრაზე რუსეთის სახელმწიფო დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, შავი ზღვის ფლოტის ყოფილმა მეთაურმა, ადმირალმა ვლადიმერ კომოედოვმა.

შეკითხვაზე ნატოს წესდებასთან და იმასთან დაკავშირებით თუ როგორ მოხდება ეს, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ერთად თუ მათ გარეშე, კომოედოვმა ასე უპასუხა:

– როგორც ჩანს, ისინი მივიდნენ იმ მომენტამდე, რომ ამას გააკეთებენ მათ გარეშე. ისინი საქართველოს ნატოში მიღების საკითხზე ლაპარაკობენ, როგორც გადაწყვეტილ საკითხზე.

საქართველო რომ ნატოს წევრი გახდება ამაში არც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს ეპარებათ ეჭვი. უბრალოდ იმის თქმა უჭირთ როდის დადგება ეს დრო.

ბოლო დღეებში ნატოში შესვლაზე მეტად ჩვენებურები იმ ვიდეო-რგოლის წარმომავლობაზე საუბრობენ, რომელმაც მთელი ერი შეძრა. იუთუბი-ზე განთავსებული ვიდეოს მიხედვით „თალიბანი“ საქართველოს თითქოს ჯიჰადს უცხადებს.

ამ ვიდეოსთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოთქვა პოლიტოლოგი, რუსეთის ისლამური კომიტეტის თავმჯდომარე ჰეიდარ ჯემალმა.

მისი თქმით, საქართველოსთვის ჯიჰადის გამოცხადება მრავალ შეკითხვას ბადებს, ხოლო ვიდეო, სადაც საქართველოს მიმართ მუქარა გაისმის, ისლამური ხელწერით არ არის გაკეთებული.

– ეს ბლოკბასტერი თრეილერს უფრო ჰგავს, ვიდრე ჯიჰადის ისეთ გამოცხადებას, რომელიც მუსულმანურ გარემოში არის მიღებული. აქ არ არის მოშველიებული ყურანი, საერთოდ არ არის ფორმალური იურიდიული საფუძლებიც. ამასთან, ვიდეოს ფონად გასდევს მუსიკა, რაც საერთოდ არ ჯდება „თალიბანის“ სტილისტიკაში. ვინ გააკეთა ეს ვიდეო? ჩემი აზრით, ეს ვიდეო შექმნეს მათ, ვისაც დარტყმის განხორციელება სურდათ ან საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზე, ან ზოგადად საქართველოს მუსულმანურ სამყაროსთან კავშირებზე. აქედან გამომდინარე, სულ მალე გახდება ცნობილი თუ ვინ არის ამ ვიდეოს ავტორი, – აღნიშნავს ჯემალი.

მისივე თქმით, თუ ვიდეოს ავტორები არ არიან თალიბები, მაშინ ესენი არიან ისეთი ძალები, რომელთაც თალიბების გეგმები კარგად იცოდნენ.

„თუ ვიდეოს ავტორები არ არიან თალიბები და ნამდვილად არ არიან, მაშინ ვიდეო, რომელსაც აფეთქებაც მოჰყვა ქართულ სამხედრო ბაზაზე, მიანიშნებს იმას, რომ მისი ავტორები არიან ადამიანები, რომელთაც იცოდნენ თალიბების გეგმების შესახებ და შესაძლოა, ისინი თალიბებთან საკუთარ გეგმებს ათანხმებდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს ძალები ავღანეთის ომში მალულად მონაწილეობენ ნატოს ჯარების წინააღმდეგ. ეს შესაძლოა იყვნენ ისინი, ვისაც საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის მტრობის გაღვივება სურთ, მაგალითად ერთი მიზეზით – განაწყენებული ჯიჰადი, რომელსაც არ შეუძლია მისწვდეს მას, ვისაც ეს უშუალოდ ეხება, მაშინ მან მიზნად უნდა აიღოს ის, ვინც ყველაზე ახლოს იმყოფება მის მიზანთან – ასეთი კი ჩრდილოეთ კავკასია, იმარატ კავკაზია. მაშინ, ამ ვიდეოს შემდეგ, ლოგიკით, საქართველო იმარატ კავკაზიდან უნდა ელოდოს დარტყმას. და თუ ახლა, ამ ვიდეოს შემდეგ, საქართველოში რაიმე მოხდება, მაშინ ჩვენ ვნახავთ შემდგომ რეაქციას. თუ ეს რეაქცია იმარატ კავკაზის წინააღმდეგ იქნება, ეს ერთი წყაროა, ხოლო თუ ის ნატოში შესვლის წინააღმდეგ მიმართული რეაქცია იქნება, ეს მეორე წყაროა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ დავიცადოთ, – აღნიშნავს პოლიტოლოგი.

ამ ვიდეო-რგოლის წარმომავლობას მშობლიური შსს-ც იძიებს. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია. სხდომა ამ კვირაში გაიმართება. ვიდეორგოლის წარმომავლობის დადგენაში სააკაშვილმა დახმარება ნატოს ხელმძღვანელობასაც სთხოვა. აღსანიშნავია, რომ ეს ვიდეო ავღანეთში მომხდარი ტერაქტის წინა დღეს გავრცელდა.

# კახა ძაგანია: „გაერთიანების შემთხვევაში არასაპარლამენტო ოპოზიცია საპრეზიდენტო არჩევნებს მოიგებს“

შორენა კოწოწაშვილი

**ყოფილი ლეიბორისტი და მემარცხენე ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, კახა ძაგანია, უარყოფითად აფასებს „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობისთვის საბიუჯეტო დაფინანსების გაორმაგებას. ძაგანიას არ მოსწონს მმართველი პარტიის რეფორმების შედეგები და აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობის სფეროში რეფორმა ჩავარდა.**



— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რომელ წინსვლაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა ასეთ შრომის კოდექსს იღებენ. ამბობენ, დამსაქმებელს უფრო მეტი უფლება თუ არ მივეცით, ვიდრე დასაქმებულს, ინვესტიციებს ვერ მოვიზიდავთო. ნამდვილად არ გვინდა ისეთი ინვესტიცია, თუ დასაქმებულების სისხლისა და ჯანმრთელობის ფასად იქნება მოპოვებული. აშკარაა, რომ ისევ ბენდუქიძისა და სააკაშვილის პროექტი ხორციელდება დასაქმების კუთხით, — აცხადებს კახა ძაგანია და ახალ შრომის კოდექსს ნაგავში გადასაგდებს უწოდებს.

იყო თუ არა სააკაშვილისთვის სასარგებლო ,,იუთუბიზე“ გავრცელებული ვიდეო ქართულ სამშვიდობო მისიასთან მიმართებით და რა გზით უნდა იაროს არასაპარლამენტო ოპოზიციამ, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ,,მემარცხენე ალიანსის“ ლიდერ კახა ძაგანიასთან.

***— ბატონო კახა, ჰელმანდის პროვინციაში ქართულ სამხედრო კონტინგენტზე განხორციელებული თავდასხმა ქართულ პოლიტიკურ და ექსპერტულ წრეებში განსხვავებულად შეფასდა. რა შეგიძლიათ თქვათ მომხდართან დაკავშირებით და შეიძლება თუ არა, ეს უკავშირდებოდეს პრეზიდენტის ბოლო შეხვედრას სამხედროებთან?***

— რასაც ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ვუყურებ, ქართველი ექსპერტები თუ პოლიტიკოსები ნაცმოძრაობიდან თუ „ქართული ოცნებიდან“ ყველაფერზე ლაპარაკობენ, გარდა იმისა, რაზეც უნდა ილაპარაკონ. ლაპარაკი ძირითადად მიდის ერთმანეთზე გადაბრალებაზე, რომ სააკაშვილმა ეს თქვა, ვიღაცამ ის თქვა და ა.შ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობ, ეს თავდასხმა პრეზიდენტის გამონათქვამზე არ არის დამოკიდებული. ქართველი ბიჭები ომში არიან წასული და, რა თქმა უნდა, მძიმე შედეგებსაც უნდა ველოდეთ. რაც არ უნდა დავაბრალოთ სააკაშვილს და ვიცით, რა ბედენაც არის. არა მჯერა, რომ სააკაშვილს უნდოდა ამ ბიჭების ამ ფორმით გარდაცვალება.

***— ითქვა, რომ ეს არის პრეზიდენტის შურისძიება.***

— ეს არის ძალიან დიდი სისულელე და ვურჩევ ყველას, უფრო საქმიან საკითხებზე ისაუბრონ და ქვეყნისთვის უფრო მტკივნეული თემები წამოსწიონ, ვიდრე დღეს აპელირებენ. მე ხელისუფლების წარმომადგენლებისგანაც არ გამიგია, რომ საქართველოს საჯარისო კონტინგენტი ავღანეთში უნდა შემცირდეს. სააკაშვილზე კი ლაპარაკობენ, ილაპარაკონ იმაზე, უნდა შემცირდეს თუ არა ქართული სამშვიდობო მისია და საერთოდ უნდა იყოს თუ არა ავღანეთში ქართული კონტინგენტი ნატოს ეგიდით. დღეს სწორედ ამ საკითხებზე უნდა ვისაუბროთ. ვფიქრობ, დადგა ის კრიტიკული მომენტი, როდესაც ულტიმატუმის სახით უნდა წაუყენოს საქართველოს ხელისუფლებამ ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო ორგანიზაციას, რომ ჩვენს ქვეყანასთან მიმართებით მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება. ზუსტი თარიღი გვითხრას ალიანსმა, რა ფორმულირებით იქნება საქართველოს მდგომარეობა ნატოსთან ურთიერთობაში. მარტო ზოგადი განცხადება, რომ საქართველო ოდესღაც გაწევრიანდება ნატოში, საკმარისი არ არის. ამიტომ ქართულმა მხარემ ულტიმატუმი უნდა წაუყენოს, რათა იქიდან ძალიან ზუსტი თარიღი დაგვისახელონ და ფორმა გვითხრან, რითაც საქართველო ნატოს წევრად მოგვევლინება. ამ პასუხის შემდეგ საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, უნდა მიიღოს თუ არა ქართულმა კონტინგენტმა მონაწილეობა ნატოს სამშვიდობო მისიებში; საერთოდ, უნდა მიისწრაფვოდეს თუ არა საქართველო ნატოსკენ. ეს კონკრეტული პასუხი ბევრ რამეს გამოკვეთს. საქართველოს მცდელობა ნამდვილად არ დაუკლია და ამას ხედავს მთელი მსოფლიო. ჩვენ იმის ღირსი მაინც ვართ, როცა ამდენი ქართველი ავღანეთში იბრძვის, ვიცოდეთ, როდის გავწევრიანდებით ნატოში. უკვე ლუდით სვამენ მაპის მიღების სადღეგრძელოს და ეს თემა იმდენად აგდებულია, რომ კომედიური ჟანრის კინოფილმების თემა გახდა.

***— ითქვა, რომ საქართველოს სამშვიდობო მისიაში იმაზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს ჩართული, ვიდრე 11 ქვეყანას ერთობლიობაში. თქვენი აზრით, ქართული მხარის ინიციატივით მოხდა ამხელა კონტინგენტის დაშვება თუ დასავლეთის მოთხოვნა იყო?***

— ეს იყო სააკაშვილის პირდაპირი ინიციატივა, რომ საქართველოდან ამხელა კონტინგენტი ყოფილიყო. სააკაშვილი მაქსიმალისტია და უნდოდა, თავისი დადებითი დამოკიდებულება ნატოსთან მიმართებით ასეთი ფორმით გამოეხატა. მას სრულებით არ აინტერესებდა, გაზრდილი საჯარისო კონტინგენტის გამო რამხელა მსხვერპლი იქნებოდა. ამ კუთხით სააკაშვილი შეიძლება მართლაც იყოს რაღაც დოზით დამნაშავე.

***— ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ მიუღებელია და ზედმეტი პრეზიდენტის ან თავდაცვის მინისტრის ასეთი გახშირებული ვიზიტები ქართველი ჯარისკაცების ბაზებზე. ამის შემდეგ ფიქრობენ, რომ ეს სამხედროებზე თავდასხმების ალბათობას ზრდის.***

— ამაზე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, იმის მიუხედავად, რომ მე აფხაზეთის ომის ვეტერანი ვარ. ზუსტად ვერ გეტყვით, რა და როგორ უნდა კეთდებოდეს, რადგან მე სამხედრო ექსპერტი არ ვარ, თუმცა, ვფიქრობ, რომ რაც უფრო მეტი იქნება ყურადღება სამხედროების მიმართ, თავდასხმაც მეტი იქნება. გამაღიზიანებელი იყო სააკაშვილის დიალოგი ჯარისკაცთან იმის თაობაზე, ვინ რამდენი მეომარი მოკლა. ალბათ, ეს განცხადებაც რაღაც დოზით იყო საფრთხის შემცველი.

***— განსხვავებული აზრი არსებობს იმასთან მიმართებით, ვის ინტერესებში იყო „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებული და გავრცელებული ვიდეორგოლი. შესაძლოა, აქ რუსული კვალი იკვეთებოდეს? ნაციონალები ამ ვიდეორგოლში საქართველოს მტრების კვალს ხედავენ.***

— ჩემი აზრით, დღეს ყურადღების გადატანა და თავისი თავის მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოქცევა ყველაზე მეტად აწყობს სააკაშვილს. შესაძლებელია, სააკაშვილმა ეს არც იცოდეს, მაგრამ აშკარად მას გაუკეთეს ეს ვიდეორგოლი. ამით აჩვენებენ, ნახეთ, სააკაშვილი ტერორიზმთან როგორი მებრძოლია, მასზე ტერორისტებმა ნადირობა გამოაცხადესო. ამით სააკაშვილი დასავლეთს აჩვენებს, რომ მისი ასე ქუჩაში დაგდება არ შეიძლება. თუ, მაგალითად, სააკაშვილის დაკითხვას დაიწყებს გამოძიება ქვეყნის შიგნით, ეს ნიშნავს, რომ ეს ხელისუფლება იმავე ტერორისტების საქმეს აკეთებს. ჩემი აზრით, ამ ,,სოუსით“ იყო შეფუთული გავრცელებული კადრები. ვნახავთ, ცოტა ხანში გაირკვევა, რომ ეს ყველაფერი ქართველის გაკეთებულია და გაირკვევა შემკვეთის ვინაობაც.

***— ანუ მომხდარი ფაქტი ხელისუფლების მხრიდან სათანადოდ უნდა იყოს გამოძიებული?***

— რა თქმა უნდა. გამოსაძიებელია, ვის მიერ და ვისი დაკვეთით იქნა გავრცელებული „იუთუბიზე“ ცნობილი ვიდეო.

***— ბატონო კახა, ფაქტია, ივანიშვილის ხელისუფლების შერბილებული ტონის მიუხედავად, რუსების მხრიდან საოკუპაციო ზოლის გადმოწევა ხდება. საკმარისი არ არის ურთიერთობების დასათბობად იმავე სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა?***

— ძალიან მინდოდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მოწესრიგებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, გადადგმული ნაბიჯები საკმარისი არ არის. ამიტომ მოვუწოდებ ხელისუფლებას, გადახედოს თავის გადაწყვეტილებას ოლიმპიადაში მონაწილეობის თაობაზე. მეტსაც ვიტყვი, მარტო თავის გადაწყვეტილებას კი არ გადახედოს, მეგობარ და პარტნიორ ქვეყნებს მოუწოდოს და დაარწმუნოს, რომ არ ღირს ამ ქვეყანაში გამართულ პოლიტიკურ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა. მოგეხსენებათ, ოლიმპიადა არც მსოფლიო ჩემპიონატია და არც ევროპის ჩემპიონატი, რომ თავისუფლად ჩასულიყავი. ოლიმპიადას უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ვფიქრობ, ეს კარგი საშუალებაა, რომ საოკუპაციო ზოლის გადმოწევა იქნეს გაპროტესტებული.

***— ადრე ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ რუსები სააკაშვილის დასახმარებლად გარკვეულ პროვოკაციებზეც მიდიოდნენ და ამით ქვეყნის შიგნით პოზიციებს უმყარებდნენ.***

— მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც გამოდიოდა, რომ ყველაფერი აქ რუსეთის სასარგებლოდ წყდებოდა. რუსებს აქვთ უზარმაზარი ფინანსური რესურსი და გამოცდილება, რომ ასეთი ბინძური თამაშები თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ.

***— ბატონო კახა, წინ გველის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ნაციონალებს ძალაუფლების ბოლომდე დათმობა არ უნდათ. უნდა ველოდეთ თუ არა მათი მხრიდან პროვოკაციებს?***

— გეთანხმებით, რომ გარკვეული პროვოკაციები მართლაც იქნება და ნაციონალები შეეცდებიან პოზიციების შენარჩუნებას. თუმცა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი მათ ნამდვილად არ აქვთ. ახლა არასაპარლამენტო ოპოზიციის გააქტიურების დროა. უკვე საბოლოოდ დარეგისტრირდა ჩვენი ახლად შექმნილი პარტია ,,მემარცხენე ალიანსი“. პირველ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება, ხელისუფლება იქნეს გადანაწილებული, ძალაუფლება ერთი პოლიტიკური ჯგუფის ხელში არ მოხდეს, როგორც იყო სააკაშვილის 9-წლიანი მართვის დროს. ვფიქრობთ, ხელისუფლების გადანაწილების კარგი შესაძლებლობა იქნება, თუ გაერთიანდება არასაპარლამენტო ოპოზიცია და საერთო საპრეზიდენტო კანდიდატს წამოაყენებს. მას ძალიან რეალური შანსი ექნება იმისა, რომ გაიმარჯვოს საპრეზიდენტო არჩევნებში. იმ შემთხვევაში, თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის ეყოლება პრეზიდენტი, ეს იქნება ძალიან კარგი მაგალითი ურთიერთკონტროლისა და ურთიერთთანამშრომლობისა; ხელისუფლების გადანაწილების უბადლო საშუალება. დამოუკიდებლობის ისტორიაში საქართველოს ასეთი რამ არ ახსოვს.

***— არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ფიქრობს, რომ დღეს საქართველოში რეალური დემოკრატიის კუთხით ნაბიჯები არ იდგმება და ეს აზრი გაუჩნდათ პოლიტიკოსებს სახელისუფლებო პარტიების დაფინანსების გაორმაგების შემდგომ.***

— რა თქმა უნდა, ეს პროცესი რეალურ დემოკრატიას ხელს შეუშლის. დღეს ნაცმოძრაობისა და ოცნების პოლიტიკური ძალების ურთიერთჭიდილი ატარებს თავის გადარჩენის მომენტს. მხედველობაში მაქვს ის, რომ ნაციონალურ მოძრაობას სჭირდება, თავი როგორმე გადაირჩინოს, რომ ციხეში არ წავიდნენ პარტიის ლიდერები იმ დანაშაულების გამო, რომელიც მათ ჩაიდინეს. პოლიტიკურ ძალთა რეალური ჭიდილი იქნება, თუ გაერთიანდება არასაპარლამენტო ოპოზიცია და გაიზრდება დაფინანსება. ჩვენც ვართ ინტერფრაქციულ ჯგუფში, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობაზე მუშაობს. საპროტესტო ნოტას ჩვენც მოვაწერეთ ხელი, რადგან ახლად დაფუძნებული პარტია ვართ, ის დაფინანსების ცვლილებები ამ ეტაპზე ჩვენ არ შეგვეხება. ამის მიუხედავად, მაინც ვთვლით, რომ უნდა იყოს აუცილებლად გაძლიერებული არასაპარლამენტო ოპოზიცია დაფინანსების მხრივ, რათა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები განვითარდეს.

# „გაუგებარია, პროკურატურამ რატომ დართო ნება გელა ხვედელიძეს, ქვეყანა დროებით დაეტოვებინა“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ განცხადებით, „გაუგებარია, პროკურატურამ რატომ დართო ნება შს მინისტრის ყოფილ პირველ მოადგილეს გელა ხვედელიძეს ქვეყანა დროებით დაეტოვებინა“.

ბრალდებულის მიერ საქართველოს დატოვებასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია განცხადებას ავრცელებს.

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გირაო წარმოადგენს აღმკვეთი ღონისძიების სახეს, რომელიც გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა ან უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. როგორც წესი, იმ პირებს, რომელთაც გირაო შეეფარდათ, ასევე ეზღუდებათ ქვეყნის ტერიტორიის დატოვება. გელა ხვედელიძის მიერ ქვეყნის ტერიტორიის დატოვება ვერ ჩაითვლება გირაოს პირობების დარღვევად, თუ არსებობდა კომპეტენტური ორგანოების ნებართვა, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება გარკვეული ეჭვები. პროკურატურის წარმომადგენლებმა გელა ხვედელიძის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება მოითხოვეს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ დასაბუთებული ვარაუდი არსებობდა, რომ ბრალდებული მიიმალებოდა ან სასამართლოში არ გამოცხადდებოდა, საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გაანადგურებდა ან ახალ დანაშაულს ჩაიდენდა. გაუგებარია, თუ რატომ დართო ნება პროკურატურამ გელა ხვედელიძეს დროებით დაეტოვებინა ქვეყანა მაშინ, როდესაც თავად მოითხოვა აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება. ამგვარი შემთხვევები სხვა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებში არასდროს დაფიქსირებულა. მოვუწოდებთ ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს, საკუთარ საქმიანობაში თანმიმდევრულები იყვნენ; ნუ მიიღებენ იმგვარ გადაწყვეტილებებს, რომლებიც წარმოქმნის საფუძვლიან ეჭვებს იმის შესახებ, რომ ადგილი აქვს ზოგიერთი ბრალდებული პირისთვის კანონის შერჩევით გამოყენებას“, — ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა გადაცემა „აქცენტებში“ სტუმრობისას დაადასტურა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე, ბრალდებულ გელა ხვედელიძეს საზღვარგარეთ იმყოფებოდა, თუმცა ახლა ის უკვე საქართველოშია.

ცნობისთვის, 15 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გელა ხვედელიძეს აღმკვეთის ღონისძიების სახით 5 000 ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა. მას ბრალად სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა ედება.

პირველი

# ნინო ბურჯანაძე: „დავით უსუფაშვილს ევროკავშირის წინაშე განმარტებების გაკეთება მოუწევს“



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის აზრით, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს ევროკავშირის წინაშე განმარტებების გაკეთება მოუწევს.

ასე გამოეხმაურა ბურჯანაძე გადაცემა ,,პრეს-პრესში“ სტუმრობისას პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის იმ განცხადებას, რომლის თანახმადაც თუ საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფი ავღანეთს დატოვებს, მაშინ ევროკავშირის მონიტორები საქართველოს დატოვებენ.

,,ეს საერთოდ, წარმოუდგენელი განცხადებაა. მე კატეგორიულად ვერ დავეთანხმები დავით უსუფაშვილს. მე ვფიქრობ, რომ თავად ევროკავშირი მოითხოვს და ბატონ დავითს მოუწევს განმარტების გაკეთება, რას გულისხმობს. ჩვენ რა, შანტაჟის ობიექტი ვართ, თუ ნატო-ს ოპერაციაში არ მივიღებთ 1500-კაციანი კონტინგენტით მონაწილეობას, მაშინ ევროკავშირის მონიტორინგის მისია გავა?! ეს წარმოუდგენელია. საერთოდ არაფერ შუაში და არავითარ კავშირში არ არის ევროკავშირის მონიტორინგის მისია ავღანეთში ჩვენს 1500-კაციან კონტინგენტთან და არ არის საჭირო მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა და დაშინება“, — განაცხადა ბურჯანაძემ.

პირველი



# „მარეკ დუდაევის გათავისუფლება არა პოლიტიკური, არამედ სამართლებრივი გადაწყვეტილება იყო“

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, მარეკ დუდაევის გათავისუფლება არა პოლიტიკური, არამედ სამართლებრივი გადაწყვეტილება იყო.

ამის შესახებ ზაქარეიშვილმა მარეკ დუდაევის საპატიმროდან გათავისუფლების კომენტირებისას განაცხადა.

„არანაირ მოლაპარაკებებში მარეკ დუდაევის გვარი არ მონაწილეობდა. ეს თავიდანვე გამორიცხული იყო. მარეკ დუდაევი გათავისუფლდა მხოლოდ სასამართლოს მიერ, ანუ იმ კანონმდებლობით, რაც საქართველოს კანონით იყო დადგენილი. არავითარი პოლიტიკური გადაწყვეტილება ეს არ ყოფილა. არც ამნისტიით, არც შეწყალებით არ მომხდარა ეს გადათავისუფლება“, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მარეკ დუდაევი 2004 წლის მარტში დააკავეს და მას თავისუფლების 23 წლით აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. იგი ქართული საპატიმროდან გუშინ გაათავისუფლეს და ამჟამად უკვე ე.წ. სამხრეთ ოსეთში, საკუთარ სახლში იმყოფება.

პირველი

## ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია ხელისუფლებას ავღანეთში ქართული კონტინგენტის შემცირებისკენ მოუწოდებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ ხელისუფლებას ავღანეთში საქართველოს საჯარისო კონტინგენტის შემცირებისაკენ მოუწოდებს. ამის შესახებ ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში არის ნათქვამი.

„ქართული საჯარისო კონტინგენტი ამჟამად 1600 ჯარისკაცის შემადგენლობით პირნათლად იხდის ვალს ქვეყნის წინაშე გარანტად იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის და ნატოსთან პარტნიორული ურთიერთობის განვითარების განმტკიცების შედეგად დაცული იყო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და უსაფრთხოება.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ სააკაშვილის მთავრობამ ავღანეთის მისიის კონტინგენტის რაოდენობა გააორმაგა. მათი აზრით, ეს ნაბიჯი დააჩქარებდა ნატოში შესვლის პროცესებს.

გვინდა რეკომენდაციით მივმართოთ ახალ ხელისუფლებას, უახლოეს მომავალში განხილული იყოს ავღანეთში ქართული კონტინგენტის შემცირების საკითხი, ხოლო თუ ამის შემდეგაც ვერ იქნა დაცული ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა, მაშინ მიგვაჩნია, რომ ქართულმა ჯარმა უნდა დატოვოს ავღანეთის მისია“, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

ორგანიზაციის წევრთა მოსაზრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ავღანეთში ქართული ჯარის მისიის გაგრძელებას ფორმალური ხასიათი ექნება.

**მედიანიუსი**

## დაჭრის ფაქტი გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის მცდელობაში 1971 წელს დაბადებული კობა ქ. ამხილეს. შსს-ს ცნობით, აღნიშნულმა პირმა გორში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, რესტორან „ძმობის დუქანში“ მასთან ერთად სუფრასთან მყოფი 48 წლის შალვა არუნაშვილი ურთიერთშელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გულ-მკერდის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილს გორის ჰოსპიტალში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. ამ დროისთვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დანაშაულში ბრალდებული კობა ქ-ს დასაკავებლად სპეციალური ოპერატიული ღონისძიებები მიმდინარეობს. გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით)

**მედიანიუსი**

## ახალციხეში ნარკორეალიზატორი და ორი მომხმარებელი დააკავეს

შსს-ს ახალციხის რაიონული სამმართველოს და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის სამი პირი: 1983 წელს დაბადებული ზურაბ გ, 1988 წელს დაბადებული ალექსანდრე ს. და 1971 წელს დაბადებული თეიმურაზ ხ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ზურაბ გ. და ალექსანდრე ს. ახალციხეში, აღმაშენებლის ქუჩაზე დააკავეს. ალექსანდრე ს-ს პირადი ჩხრეკისას 0,0472 გრ. ნარკოტიკული საშუალება „მორფინი“ ამოიღეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ დაკავებისას ორივე ბრალდებული ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირებმა ნარკოტიკული საშუალება თეიმურაზ ხ-სგან შეიძინეს, რომელიც სამართალდამცველებმა იმავე დღეს დააკავეს.

გამოძიება ზურაბ გ-ს და ალექსანდრე ს-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით), ხოლო თეიმურაზ ხ-ს მიმართ ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

**მედიანიუსი**

## გორის რაიონში უკანონო იარაღი ამოიღეს

შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გორის რაიონის სოფელ ატენში, ნუგზარ ა-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას მართლსაწინააღმდეგოდ შენახული „გეკო“-ს ტიპის მცირკალიბრიანი შაშხანა, „ა-კა-ემ“-ის სისტემის ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი, „საიგა“-ს ტიპის სანადირო თოფი 2 მჭიდითა და 10 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ „საიგა“-ს ტიპის სანადირო თოფი ნუგზარ ა-ს ვაჟის სახელზეა რეგისტრირებული.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**მედიანიუსი**

## „მოსამართლეთა 2/3 რეტროგრადია, ხოლო 1/3 — რეფორმატორი“

კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ თავმჯდომარის დავით ლილუაშვილის აზრით, მოსამართლეთა 2/3 რეტროგრადია, ხოლო 1/3 – რეფორმატორი.



ასე ეხმაურება ლილუაშვილი მოსამართლეთა კონფერენციაზე განვითარებულ მოვლენებს.

„მოსამართლეთა კონფერენციაზე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ მოსამართლეთა ნაწილი გაყოფილია ორ ნაწილად: უმრავლესობად, რომელიც მხარს უჭერს კოტე კუბლაშვილის კურსს და სასამართლო სისტემის ინერციით სვლას და უმცირესობად, რომელიც მომხრეა სასამართლო ხელისუფლების განვითარების, „მოსამართლეთა კონფერენციის“, როგორც თვითმმართველი ორგანოს დამოუკიდებლობის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც სასამართლო ხელისუფლების მართლმსაჯულების ხელშემწყობი ორგანოს სწორად ფუნქციონირების. უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა, რომელიც ასევე თავმჯდომარეობდა მოსამართლეთა კონფერენციას, მოსამართლეთა ერთი ნაწილის დასაბუთებული მოთხოვნა აღნიშნული ღონისძიების სხდომის ხელმძღვანელობიდან თვითაცილების შესახებ არ გაითვალისწინა. კუბლაშვილმა იგნორირება გაუკეთა ისეთ საკითხებსაც, რომელიც მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტს და იუსტიციის საბჭოს წევრთა არჩევის დემოკრატიულ წესს უკავშირდებოდა. აღნიშნულში მას მხარს უჭერდა მოსამართლეთა დიდი ნაწილი.

ვფიქრობ, არსებული მდგომარეობა და „მოსამართლეთა კონფერენციის“ დინამიკა იძლევა იმის საუძველს, რომ გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: მოსამართლეთა კორპუსის 240-წევრიან შემადგენლობიდან, 2/3 არის რეტროგრადი, ხოლო 1/3 – კი რეფორმატორი. სწორედ, სასამართლო სისტემის განვითარებისა და რეფორმების მომხრე მოსამართლეთა არსებობა და მათი აქტიურობა იძლევა იმის იმედს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ საქართველოს ეყოლება დემოკრატიული პრინციპებისა და სტანდარტების მქონე სასამართლო ხელისუფლება“, – განაცხადა ლილუაშვილმა.

**პირველი**

# ირაკლი ბათიაშვილი: „სააკაშვილისგან ყველაფერს ელოდეთ!“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან



***– ბატონო ირაკლი, სამწუხარო თემით, ავღანეთში დატრიალებული ტრაგედიის შეფასებით დავიწყოთ ჩვენი ინტერვიუ. საზოგადოების აზრი ორადაა გაყოფილი, ნაწილი მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ დატოვოს ჩვენმა შენაერთებმა ავღანეთი, ნაწილი კი ამას შეუძლებლად მიიჩნევს და ფიქრობს რომ პრობლემები შეგვექმნება. როგორია თქვენი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?***

– მე მინდა, უპირველეს ყოვლისა, ღრმა მწუხარება გამოვთქვა ჩვენი ვაჟკაცი ჯარისკაცების დაღუპვის გამო. ეს არის ნამდვილად უდიდესი ტრაგედია ჩვენი ქვეყნისათვის. მინდა აღვნიშნო, რომ, რა თქმა უნდა, თავის დროზე ჩვენი მონაწილეობა ავღანეთში, აისაფის მისიაში, ეს იყო ნამდვილად კარგი, საჭირო, ჩვენივე ქვეყნის ინტერესებისათვის, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პოზიციების გამტკიცებისათვის, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დრო. ახლა უკვე რეალობა გვიჩვენებს, რომ ნამდვილად არა გვაქვს უფლება, წავიდეთ ამხელა მსხვერპლზე, ჩვენი ქვეყანა, რომელიც დგას უზარმაზარი და უმძიმესი გამოწვევების წინაშე, ჩვენი ქვეყანა ჯერ დემოგრაფიული თვალსაზრისით არის უმძიმეს ვითარებაში, ქვეყანა, რომლის ტერიტორიების 20% არის ოკუპირებული, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი არის მიგრირებული საზღვარგარეთ, ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს, ასეთი საფრთხის წინაშე დავაყენოთ ჩვენი მცირერიცხოვანი ერი, ჩვენი შვილები. იმ ომში, რომელიც საბოლოო ჯამში არის უპერსპექტივო და ამ დასკვნებს აკეთებენ დასავლელი ექსპერტები და საქმეში ჩახედული ანალიტიკოსები.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ავღანეთში ტყუილად იღვრება ამდენი ჯარისკაცის სისხლი, ეს ომი უპერსპექტივოა?***

– მარტო მე არ ვფიქრობ ასე. ახლა გამოქვეყნდა ბრიტანეთის თავდაცვის უწყებასთან არსებული ანალიტიკური ცენტრის მოხსენება, სადაც პირდაპირ არის პარალელი გავლებული, დღევანდელი საერთაშორისო კოალიციის მისიის ბედსა და თავის დროზე საბჭოთა კავშირის მარცხს შორის ავღანეთში. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, როგორი კრახით დამთავრდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ათწლიანი ყოფნა ავღანეთში. 1979 წელს საბჭოთა კავშირმა შეიყვანა ჯარი ავღანეთში და იძულებული გახდა, 1989 წელს გამოსულიყვნენ იქიდან. მთელი ეს ათწლიანი ომი დამთავრდა საბჭოთა კავშირისათვის კრახით, აბსოლუტურად უშედეგოდ და უნაყოფოდ. უფრო მეტსაც გეტყვით, საბჭოთა კავშირისთვის ეს მარცხი აღმოჩნდა დამანგრეველი. დღეს ყველა ექსპერტი თანხმდება იმაში, რომ ავღანეთის ომმა, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა საბჭოთა იმპერიის ნგრევაში. ამ მოხსენებაში პირდაპირი პარალელია გავლებული და ნათქვამია, როგორც მაშინ ვერ მიაღწია საბჭოთა კავშირმა ვერანაირ წარმატებას ავღანეთში, მრავალწლიანი ომის შედეგად, ზუსტად ესევე, მრავალწლიანი ომის შედეგად ვერანაირი წარმატების მიღწევას ვერ შეძლებს საერთაშორისო კოალიცია. ამის პერსპექტივა არ იკვეთება. არ არის იმის პერსპექტივა, რომ საერთაშორისო კოალიცია შეძლებს მუჯაჰედინების დამარცხებას, შეძლებს კონტროლის დამყარებას მთელ ტერიტორიაზე და ვითარების სტაბილიზაციას. ამ საერთაშორისო ძალების მხარდაჭერით ჩამოყალიბდა ადგილობრივი ავღანური ხელისუფლება, რომლის სათავეშია ჰამიდ კარზაი და, რა თქმა უნდა, არის სერიოზული ეჭვი იმის თაობაზე, რომ როგორც კი კოალიციური ძალები ძირიდათად გავლენ ავღანეთიდან, ეს ხელისუფლება ნამდვილად ვერ გაძლებს. იქ კიდევ უფრო აირევა და გამწვავდება 2014 წლის შემდგომ ვითარება. ზუსტად ასე, თავის დროზე საბჭოთა კავშირმა შექმნა იქ ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლება, აბრა ქარმალი იყო, მერე ნაჯი ბულა იყო და როცა გავიდა საბჭოთა ჯარი იქიდან, რამოდენიმე წლის მერე მუჯაჰიდებმა ნაჯიბულა დაიჭირეს და ჩამოკიდეს. ის მთავრობა არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი. აი, ამ პარალელს ავლებდნენ თავად ინგლისელი თავდაცვის უწყების ექსპერტები და თვლიან, რომ ბრიტანელი ჯარისკაცები იქ იბრძვიან ფაქტიურად შეუსრულებელი მისიისათვის.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვმართებს, რომ ვაჩვენოთ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს, რომ ვართ კარგი მოკავშირეები, რომ შეგვიძლია თანადგომა ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლაში და ჩვენ ეს ვაჩვენეთ ჩვენი მრავალწლიანი ყოფნით ავღანეთში, მანამდე ერაყში, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. თავისი დასაწყისი და დასასრული. ქართველი ჯარისკაცები ფაქტიურად იქცნენ უკვე სამიზნედ.

***– ასე რატომ გამწვავდა ბოლო პერიოდში ვითარება?***

– ცნობილია, რომ 2014 წლიდან რეალურად უკვე დაიწყება გასვლა ავღანეთიდან საერთაშორისო კოალიციის ძირითადი ძალების. დღეს დაახლოებით ეს ძალები ითვლიან 97 ათასზე ცოტა მეტს. უკვე გაცხადებულია ნატოს ხელმძღვანელობის მიერ, რომ 2014 წლის მერე ჯამში იქ უნდა დარჩეს ცხრიდან 12 ათასამდე ჯარისკაცი, რომლებსაც სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის ფუნქცია კი აღარ ექნებათ, არამედ იქნებიან როგორც ინსტრუქტორები და ასე შემდეგ. ისინი მხარს დაუჭერენ ავღანურ მთავრობას. 2014 წლამდეც და გასვლის შემდეგაც, რა თქმა უნდა, ვითარება სულ უფრო და უფრო გამწვავდება. აი, გუშინაც კიდევ სამი ამერიკელი სამხედრო მოკლეს ავღანეთში. სიტუაცია მწვავდება და კიდევ უფრო გამწვავდება. გვაქვს ჩვენ ახლა იმის უფლება, რომ ამხელა მსხვერპლი გავიღოთ და ამხელა მსხვერპლზე წავიდეს ისედაც მცირერიცხოვანი ჩვენი ქვეყანა?! თანაც ამხელა კონტინგენტით ყოფნა ავღანეთში, 1500 კაცით, ეს არის აბსოლუტურად არაადეკვატური. მე ავღანეთის საკითხებში კარგა ხანია ჩახედული ვარ და მე მინდა მოგიყვანოთ მაგალითები.

***– დიახ, საუბარია, რომ ჩვენზე დიდ ქვეყნებს გაცილებით მცირე კონტინგენტი ჰყავთო...***

– დიახ, მოგიყვანთ მაგალითებს, ჯერ რაც შეეხება დანაკარგებს, კოალიციური ძალების დანაკარგი 2013 წლისთვის შეადგენს 3300-ზე მეტ ადამიანს. ახლა, ალბათ, კიდევ გაიზარდა. აქედან, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი დანაკარგი აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს – 2221 კაცი, მეორე დიდი კონტრიბუტორი ქვეყანა არის დიდი ბრიტანეთი და მას აქვს 444 კაცი, კანადას – 153, საფრანგეთს – 86, გერმანია არის მესამე დიდი კონტრიბუტორი ქვეყანა და მათი დანაკარგია 54 კაცი. და სულ რაღაც სამმილიონიან საქართველოს უკვე აქვს 29 კაცი. ჩვენ რომ პროცენტულად დავიანგარიშოთ, როგორც აღმოჩნდა, რომ მეორე მსოფლიო ომში პროცენტულად ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით, ახლაც პროცენტულად ერთ-ერთი დიდი მსხვერპლი გამოდის, რომ გვაქვს ჩვენ. რაც შეეხება არაადეკვატურობას ჩვენი სამხედრო კონტინგენტის რაოდენობისა, საქართველოს ჰყავს 1561-კაციანი კონტინგენტი, მაშინ როდესაც უზარმაზარ კონტინენტზე გადაჭიმულ ავსტრალიის სახელმწიფოს, რომელიც არის ამერიკის შეერთებული შტატების სერიოზული მოკავშირე, ჰყავს 1039– კაციანი კონტინგენტი. თურქეთს, რომელიც ნატოში არის მეორე უძლიერესი ქვეყანა თავისი შეიარაღებული ძალებით, ნახევარმილიონიანი შეიარაღებული ძალები ჰყავს და მისი კონტინგენტია 1101, ჩვენზე ნაკლები. ლიტვას, რომელიც ნატოს წევრი ქვეყანაა, ჰყავს 244 კაცი, ლატვიას – 26 კაცი, ესტონეთს ჰყავს ბ163 კაცი, ბულგარეთი ხომ არის ნატოს წევრი ქვეყანა? მას ჰყავს 383 კაცი, ნორვეგიას კი 166 კაცი ჰყავს და ასე შემდეგ.

***– ჩვენმა ყოფილმა ხელისუფლებამ რატომ გამოიდო ასე თავი?***

– მე მინდა გითხრათ, რომ ამხელა კონტინგენტის ყოფნა იმთავითვე იყო აბსოლუტურად გაუგებარი და არაადეკვატური. ჩვენმა უწინდელმა ხელისუფლებამ, აი ამ პოლიტიკით ჩვენი ბიჭები გახადა პირდაპირი სამიზნე კალიბანის. თუმცა იქ კალიბანის გარდა სხვა დაჯგუფებებიცაა, ავღანელი მუჯაჰედირები და ავღანელი მეამბოხეები, რომლებიც უსასტიკეს ომს აწარმოებენ. ჰელმანდის პროვინცია არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, ყველაზე რთული სამხედრო მოქმედებების თვალსაზრისით, მეამბოხეთა აქტივობის თვალსაზრისით, პლუს, ეს არის პროვინცია, რომელიც ცნობილია, როგორც ოპიუმის ბეღელი მთელს ავღანეთში. ისედაც იცით, რომ ავღანეთი არის მთავარი მომმარაგებელი ოპიუმით მთელი ევროპის და რუსეთის და ეს არის მთლად გული ამ თვალსაზრისით. ეს ფაქტორიც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ართულებს ვითარებას, რადგან აქ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან ავღანელი მეამბოხეები და მათ სურთ, დაეპატრონონ ამ პროვინციას. სწორედ ნარკოტიკების გასაღებით, მისი ტრანზიტით და მისი ბიზნესით ირჩენენ თავს. ნარკობიზნესია ერთ-ერთი წყარო თვითონ მუჯაჰედინების და მათი ბრძოლის დაფინანსების. აქედან გამომდინარე, ჩვენი ბიჭები არიან ურთულეს რეგიონში, აბსოლუტურად არაადეკვატური კონტინგენტით, რაოდენობრივი თვალსაზრისით და თანაც უპერსპექტივო ომში, რომელიც შეგვიძლია წინასწარ ვთქვათ, რომ აბსოლუტურად წარუმატებლად დამთავრდება. ავღანეთში ვინც ცხვირი შეყო, ყველა მარცხით გამოვიდა იქიდან. დიდმა ბრიტანეთმა სამი სამხედრო კამპანია აწარმოა მე-19 და მე-20 საუკუნეებში და სამივეჯერ დამარცხდა, საბჭოთა კავშირი დამარცხდა და ახლა მარცხდება მთელი საერთაშორისო კოალიცია რეალურად. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩვენ გვჭირდება ის, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი პარტნიორების გვერდში, მაგრამ პირველ რიგში ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლეზე. ეს უნდა იყოს ჩვენთვის უზენაესი ფასეულობა. აი, ნიდერლანდელები, ესტონელები, ლიტველები, ლატვიელები, რა, ისინი არ არიან სოლიდარულნი ნატოსადმი? ისინი თავად ნატოს წევრი ქვეყნები არიან. რა, ჩვენზე ნაკლებად აღელვებთ ნატოს ბედი და საერთაშორისო უსაფრთხოების ბედი?! მაგრამ მათთვის მაინც უზენაესი ფასეულობა არის საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე, ამიტომაც საკმაოდ მოკრძალებული კონტინგენტით არიან ავღანეთში. ჩვენ კი? ეს იყო ჩვენი ყოფილი ხელისუფლების პოლიტიკა, რომ მათთვის ადამიანის ფასი იყო ნული. სააკაშვილისთვის ადამიანის სიცოცხლის ფასი იყო ნული და მისთვის ყველა და ყველაფერი იყო მხოლოდ ინსტრუმენტი, საშუალება, საკუთარი სკამის და საკუთარი ძალაუფლების გამტკიცებისათვის საერთაშორისო არენაზე.

***– ქვეყნისთვის რამდენად სახიფათოა დღეს სააკაშვილი და რა ზომები უნდა მიიღოს ახალმა ხელისუფლებამ?***

– ეს ადამიანი არის ძალიან სახიფათო, ეს ადამიანი ვერ ისვენებს, მე ვგულისხმობ ბატონ მიხეილ სააკაშვილს. მისგან აბსოლუტურად ყველაფერი მოსალოდნელია.

# გიორგი თავდგირიძე: „ავღანეთში მომხდარი ტერაქტები თავდაცვის სამინისტრომ კარგად უნდა გამოიძიოს“



**ბოლო 1 თვის განმავლობაში უკვე ორჯერ მოხდა ავღანეთში მყოფ ჩვენი ჯარის ნაწილზე თავდასხმა და ორივე შემთხვევაში მსხვერპლით დასრულდა. წინა შემთხვევაზე პასუხისმგებლობა არავის აუღია. როგორც ჩანს, არც შესაბამისი ზომები მიღებულა, რომ მეორე ფაქტი არ მომხდარიყო.**

**ავღანეთში მყოფ ჩვენს ჯარისკაცებზე თავდასხმის ორივე ფაქტი უკავშირდება ვადაგასული პრეზიდენტისა და ჯერ კიდევ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის, სააკაშვილის ვიზიტებს ავღანეთში, იქ მოწყობილი შოუების საპიაროდ გამოყენებას, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, გამაღიზიანებელი ფაქტორი შეიძლება ყოფილიყო თავდასხმების მოსაწყობად და იმ შედეგისთვის, რომელიც მივიღეთ.**

**სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტი გიორგი თავდგირიძე აცხადებს, რომ ავღანეთში მყოფ საერთაშორისო მისიის ქართულ ნაწილში დისციპლინის, თავდაცვისა და უსაფრთხოების ორგანიზება ხარვეზიანი იყო. ამასთან, მიხეილ სააკაშვილი, როგორც მთავარსარდალი, ქვეყნის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. გიორგი თავდგირიძე მიიჩნევს, რომ რადგან თავდაცვის უწყებამ ვერ მოახერხა წინა ფაქტის გაანალიზება და მოხდა მეორე ფაქტი, საჭიროა შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის.**

გულიკო ბალაძე

***— ბატონო გიორგი, ავღანეთში მყოფ ჩვენს ჯარზე ბოლო ერთი თვის განმავლობაში უკვე ორჯერ მოხდა თავდასხმა. ორივე თავდასხმას მსხვერპლი მოჰყვა. ამ თავდასხმის რა მიზეზებს ხედავთ? ეს მხოლოდ თალიბების გააქტიურებით არ უნდა იყოს გამოწვეული, ალბათ, რაღაც მიზეზებიც არსებობს.***

— როდესაც საბრძოლო ოპერაციების ანალიზს აკეთებ, გარკვეული სუბიექტური ფაქტორები უნდა გამოვრიცხოთ. ხშირ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე არჩევს არა სიმბოლოების და, ვთქვათ, გამაღიზიანებლების გამო, არამედ ის ირჩევს თავისი ნებისთვის ხელსაყრელ ობიექტს. თალიბანის მებრძოლთა უკან დგას გარკვეული სადაზვერვო სამსახური, თავისივე საინფორმაციო სამსახურით, რომელმაც იცის ამა თუ იმ მოწინააღმდეგის თავისებურება. შესაბამისად, ეძებს სუსტ ადგილს. ძალიან ძნელია, ამოიცნო, მოწინააღმდეგემ რატომ მოიტანა შეტევა ამ ბაზაზე და არა სხვა ბაზაზე. ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, რომ ის ეძებს სუსტ ადგილს, სადაც იმედი აქვს, რომ თავის მიზანს მიაღწევს, ზუსტად იქ ახორციელებს დარტყმას. ამ შემთხვევაში, გარკვეულწილად, საუბარია სამ თემაზე. პირველი — ჩვენს ნაწილებს პრობლემები შეექმნათ ავღანეთში, როცა ქართველი ჯარისკაცი გავიდა ნაწილიდან და დაიკარგა. შემდეგ ნაწამები და გარდაცვლილი იპოვეს. დისციპლინა მოიკოჭლებდა, უსაფრთხოების დაცვა კი სათანადო დონეზე არ იყო. ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი და განხორციელდა ჩვენს ბაზაზე თავდასხმა, სადაც 3 ჯარისკაცი დაიღუპა და 27 დაიჭრა. ეს კიდევ ერთი მაჩვენებელი იყო იმისა, რომ უსაფრთხოების დაცვა დაბალ დონეზეა, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ორგანიზაციული მხარე კი — ხარვეზიანი. შესაბამისად, დისციპლინაც დაბალ დონეზე იყო. მესამე — ახლა მომხდარი თავდასხმა ერთ-ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ კვლავ იგივე შეცდომები დაუშვეს და იგივე პრობლემებია. თავდასხმის დროს ქართული ბაზის დაცვა აღმოჩნდა სუსტად ორგანიზებული. აქ პრობლემა ისაა, მსხვერპლი არის არა იმიტომ, რომ საბრძოლო ვითარება ისეთი, არამედ საქმე გვაქვს დაუდევრობასთან, არაკომპეტენტურობასთან და, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობის გამო, გვაქვს სიტუაცია, რომელიც შეიძლება არ გვქონდეს.

***— დისციპლინის ორგანიზებასა და იმ მიზეზების ლიკვიდაციას, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ჩვენი ჯარის ხელმძღვანელობა ახდენს თუ ამ სამშვიდობო მისიის საერთო ხელმძღვანელობა?***

— პასუხისმგებელი საბრძოლო პერიპეტიებზე, რა თქმა უნდა, „აისაფის“ სარდლობაა. შესაბამისად, პასუხისმგებლობა ზემოდან ქვემოთ ვრცელდება, მაგრამ თვითონ დისციპლინაზე, საერთოდ, ოპერაციების ჩატარებაზე, ბაზის დაცვაზე პასუხისმგებელია ქართული მხარე. ქართული მხარე პასუხისმგებელია იმ კონტინგენტის მომზადების დონეზე. რაც მოხდა ავღანეთში — ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართული შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობის ბრალია.

***— რატომ, რა შეიძლება გაეკეთებინათ და არ გააკეთეს, მაგალითად?***

— ამას ჰქვია საშემსრულებლო დისციპლინა. რა არის საშემსრულებლო დისციპლინა? ეს არის მეთაურის განკარგულებების, ინსტრუქციების, ბრძანებების ზუსტი შესრულება. ამაში შედის უსაფრთხოების ზომებიც — როგორ უნდა იმოქმედო, რომ მოწინააღმდეგემ ვერ შეაღწიოს ბაზაზე. თუ ბაზაზე შეაღწია, როგორ უნდა მოხდეს მოწინააღმდეგის შეკავება. ეს ყველაფერი წინასწარ არის ორგანიზებული. თუ არ არის ორგანიზებული, ეს არის ერთი დანაშაული. თუ ორგანიზებულია, მაგრამ, საშემსრულებლო დისციპლინის გამო, არის ხარვეზები, ისიც დანაშაულია. ნებისმიერ შემთხვევაში მსხვერპლს, რომელიც არის, უნდა ჰქონდეს ახსნა. ერთია ვითარება, როდესაც მოწინააღმდეგე უპირატესობას ფლობს და, შესაბამისად, მსხვერპლი გამოწვეულია ობიექტური რეალობიდან გამომდინარე და მეორეა, როდესაც მოწინააღმდეგე შენი შეცდომებით სარგებლობს და, შენი შეცდომების გამო, მსხვერპლია. ამ შემთხვევაში ჩვენ დავუშვით ბევრი შეცდომა, მათ შორის, შეცდომა უწყებრივია ანუ თავდაცვის უწყება ვალდებული იყო, გაეკეთებინა იქ არსებული მდგომარეობის ანალიზი. ყოველდღიურად უნდა ეზრუნა, რომ ავღანეთში ქართულ ბაზაზე მდგომარეობა გაეუმჯობესებინა დისციპლინისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. შეერჩია კომპეტენტური მეთაურები, კონტინგენტი, რომელიც გაიგზავნებოდა, კარგად მომზადებული ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, რაც ხდება, იმაზე პასუხისმგებლობა თავდაცვის უწყებაზეცაა. სხვა დანარჩენი — თალიბების მიერ გამოცხადებული ჯიჰადი და მსგავსი რაღაცები — მხოლოდ ზღაპრებია. მოწინააღმდეგე ჯიჰადს გამოგიცხადებს თუ არტილერია რამდენჯერმე მეტ საარტილერიო ჭურვს გესვრის, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. შენ უნდა იყო მზად ამისთვის, იმის მიუხედავად, თუ რას აპირებს მოწინააღმდეგე. შენ უნდა იყო კარგად ორგანიზებული იმისთვის, რომ მოწინააღმდეგის ნებისმიერი ნაბიჯი გქონდეს წინასწარ გათვლილი და შემდგომ მას შეხვდე მომზადებული. ეს არის სამხედრო ხელოვნება. წყნარ გარემოში ხალხი რომ არ უნდა დაგეღუპოს, ეს ნებისმიერი უწყების ვალდებულებაა.

***— როგორც ითქვა, თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა ჩვენი ნაწილის კედელთან. კედელი ან პერიმეტრი არ კონტროლდებოდა? ასე ადვილად შეიძლება ბაზასთან მიახლოება?***

— ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, ზუსტად რა მოხდა. ჩვენ მხოლოდ თავდაცვის უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაცია გვაქვს. ბაზა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მასთან ადვილად მიახლოება შეუძლებელი იყოს. ასეთი ფაქტები არ უნდა ხდებოდეს. აქედან გამომდინარე, ეს ან არ იყო ორგანიზებული, ან ორგანიზებული იყო და ადამიანებმა, რომლებსაც უნდა მოეხერხებინათ ამ ყველაფრის გამოყენება, ვერ გამოიყენეს, იმიტომ რომ უდისციპლინოები იყვნენ ან მომზადების დონე დაბალი იყო.

***— წინა ფაქტის დროს თქვენ საუბრობდით თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობაზე. გამეორდა იგივე. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ვის ეკისრება, თავდაცვის მინისტრს, შტაბის უფროსს თუ ვის?***

— პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ეკისრება უშუალოდ მეთაურსა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას. როცა არავინ ისჯება, არ ხსნიან მიზეზებს, თუ ვისი ბრალი იყო, რა თქმა უნდა, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დგება. ის არის მთავარი დემოკრატიული კონტროლის განმახორციელებელი და თავდაცვის პოლიტიკის ხელმძღვანელი. მის პასუხისმგებლობაში შედის შეიარაღებულ ძალებში დისციპლინა, მისიების კარგად ორგანიზება და მისიების წარმატებულად განხორციელება.

***— ხშირად ჯარისკაცები საუბრობენ იმაზე, რომ მათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ავღანელებთან კარგი ურთიერთობა აქვთ, მათთან კონტაქტში შედიან. ამას თქვენ სწორად მიიჩნევთ?***

— ადგილობრივ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა არ ნიშნავს მათთან კონტაქტში შესვლას. კარგი ურთიერთობა ნიშნავს, რომ სახელმძღვანელო დოკუმენტების გათვალისწინებით გაქვს მათთან ურთიერთობა. შესაბამისად, დადებითი ფაქტორია, მაგრამ იმაზე ახლო კონტაქტი, ვიდრე ეს სახელმწიფოს ნორმატიული აქტებითაა დაშვებული, რა თქმა უნდა, დამღუპველია, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა არ არის ერთგვაროვანი. ამ საბრძოლო მოქმედების არეალი თავისებურებებით ხასიათდება. „თალიბები“ არ არის ორგანიზებული სამხედრო ჯგუფი. მის შემადგენლობაში არიან ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ გარკვეული ცოდნა და შეუძლიათ განახორციელონ მტრული აქტი იქ არსებული მისიების წინააღმდეგ. ამიტომ ზომიერება უნდა იყოს დაცული.

***— ერთია, დისციპლინა და მთელი რიგი ღონისძიებები, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა სახავდეს, ასეთ მდგომარეობაში რომ არ ჩავარდეს, მაგრამ მეორეა, როდესაც ქვეყნის მთავარსარდალი, პრეზიდენტი ჩადის ბრძოლის ველზე და აღლუმებს აწყობს, თან ჯარისკაცებს ეკითხება, რამდენი კაცი მოკლა. ეს რამდენად მისაღები ფაქტია? ასეთი ქმედებები გამაღიზიანებელ ფაქტორებს არ წარმოადგენს?***

— რა თქმა უნდა, ეს მიუღებელია. უარყოფითად ვაფასებთ მთავარსარდლის მოქმედებას. სააკაშვილმა დღემდე ვერ გაიგო, რა არის მთავარსარდლის ფუნქცია.

***— ასეთ ბაზებზე შოუების მოწყობა შეიძლება?***

— სააკაშვილის მოქმედება მთავარსარდლის მოქმედების არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება. ის რჩება პოლიტიკოსად, რომელიც თავისი პიარის გულისთვის საკმაოდ დიდ ხიფათს უქმნის თავის შეიარაღებულ ძალებს. მისი ვიზიტი გათვლილი იყო პიარზე. შესაბამისად, თავდაცვის უწყებასაც უნდა შეექმნა მისთვის ბარიერები, რომ სააკაშვილი იქ არ ჩასულიყო. არ შეიძლება, რომ უცებ მოინდომოს და ჩაფრინდეს. შეიარაღებულ ძალებს ისე უნდა ჰქონდეთ დაყენებული სიტუაცია, რომ უმაღლესი მთავარსარდალიც კი ვალდებული იყოს, დაიცვას უსაფრთხოების ზომები, ჩაჯდეს იმ ჩარჩოში, რომელიც მოთხოვნილი იქნება ნორმატიული აქტებით. პრობლემა ისაა, რომ ჩვენს შემთხვევაში ხშირად თანამდებობის პირი თავის თავს უფლებას აძლევს, ამოვიდეს თავისი კომპეტენციის ფარგლებიდან, პირადი სუბიექტური მოსაზრებებით ჩაიდინოს ასეთი ქმედება. თავდაცვის უწყების მესვეურებიც აღმოჩნდნენ სუსტები, რომლებმაც ვერ მოახერხეს, დიალოგის ან დარწმუნების გზით აეხსნათ მიხეილ სააკაშვილისთვის, რა არის უსაფრთხოების ზომების დაცვის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში, თუ გინდა, რომ უმაღლეს მთავარსარდალს ეს აუხსნა, შენც უნდა იცავდე უსაფრთხოების ზომებს. არც თავდაცვის მინისტრმა არ უნდა გამოიყენოს ავღანეთში ვიზიტები პიარისთვის. უნდა იყოს უაღრესად საქმიანი ვიზიტები, უაღრესად კარგად ორგანიზებული და ნაკლებად გაპიარებული.

***— ავღანეთში, ფაქტობრივად, ჯარისკაცები ბრძოლის ველზე იმყოფებიან. შეიძლება, ვიზიტების კადრები ვრცელდებოდეს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე და ჯარისკაცების სახეებს ღიად აჩვენებდნენ, როცა პრეზიდენტი ეკითხება, რამდენი კაცი მოკალით? ეს ხდება იმ დროს, როცა ეს ჯარისკაცები კონტაქტში შედიან ადგილობრივ მოსახლეობასთან ან ჩნდებიან იქაურ საზოგადოებაში?***

— მთავარსარდალს უნდა ჰყავდეს მრჩევლები, რომლებიც ეტყვიან, რისი გაკეთების უფლება შეიძლება მისცეს თავს და რისი — არა. პრეზიდენტი ქვეყანას მართავდა ისე, რომ არად დაგიდევდა კანონმდებლობასა და კანონიერებას. შესაბამისად, კუდის მოქნევაც იყო, რომ სააკაშვილი თავისი პიარისთვის 26 მაისს აღმოჩნდა ავღანეთში. თუ ჩავიდოდა, მისი ვიზიტი უნდა ყოფილიყო საქმიანი და არა — „გასეირნება ყარაბაღში“. ჩვენ ვერ ვგრძნობთ, სააკაშვილი რამდენად სახიფათო საქმეებს ახორციელებს. ამას საზოგადოების სერიოზული დამოკიდებულება სჭირდება. ეს არ არის სახუმარო თემა. სამწუხაროდ, უმაღლესი მთავარსარდალი ძალიან არასერიოზულად უდგება არამარტო თავის მოვალეობას, არამედ თავის შეიარაღებულ ძალებსაც.

***— სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, ვადაგასულია, მაგრამ ამ სტატუსით მაინც სარგებლობს და ყოველ წუთს საფრთხეს უქმნის ქვეყანას. შეიძლება, მისი ამგვარი მოქმედებები იმპიჩმენტის მიზეზი გახდეს?***

— ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ ჯდება უსაფრთხოების ნორმებში და გამოდის უსაფრთხოების ჩარჩოებიდან, რა თქმა უნდა, შეიძლება გახდეს სახიფათო ქმედებების მიზეზი. დღეს ქვეყანას მართავს ივანიშვილი. ივანიშვილმა უნდა იმოქმედოს ისე, რომ სანამ სააკაშვილი არის ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, მისმა ქმედებებმა არ შეუქმნას საფრთხე ქვეყნის უშიშროებას. ძალიან ადვილია, ვიღაცას დააბრალო, რა რის გამო მოხდა, როგორც ახლა თავდაცვის უწყება, დარწმუნებული ვარ, ვიღაცას გადააბრალებს ავღანეთში შექმნილ მდგომარეობას. შედეგზე უნდა იყო ორიენტირებული.

***— ბატონო გიორგი, დღეს ხშირად სვამენ კითხვას, რატომ ვართ ჩვენ ავღანეთის მისიაში. ამ საკითხისადმი თქვენი დამოკიდებულება როგორია?***

— ჩვენ უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი მსოფლიო უსაფრთხოების საკითხში. ავღანეთში ამ მისიის ყოფნა გაეროს მიერაა სანქცირებული. შესაბამისად, ეს არის არა, ვთქვათ, რომელიმე ქვეყნის მიერ ოკუპაციის ანუ აგრესიის განხორციელება მეორე ქვეყნის მიმართ, არამედ საერთაშორისო მისია. მას აქვს თავისი ჩამოყალიბებული მიზნები. აქედან გამომდინარე, საქართველო ასეთ მისიებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას, რადგან ჩვენც გვაქვს პრობლემები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. თუ გვინდა, მსოფლიო დაგვეხმაროს, ჩვენც უნდა მივიღოთ მსოფლიო თანამეგობრობის აქტიურობაში მონაწილეობა. თუმცა, აქ არის მეორე საკითხი — სააკაშვილი ამ მისიას იყენებდა პიარისა და სხვა ტიპის პირადი სარგებლობის მისაღებად. ამით მას გარკვეული მხარდაჭერა ჰქონდა. კონტინგენტის რაოდენობა კი პირადი მონიტორინგის თემაა. ჩემი პირადი აზრით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არ შეუძლია შეარჩიოს 1500 მებრძოლი, რომლებიც შეძლებენ საერთაშორისო მისიაში წარმატებულად მოქმედებას. თუმცა, 2014 წელს ეს მისია სრულდება. შესაბამისად, ახლა კონტინგენტის შემცირებასა და ჯარების გამოყვანაზე ლაპარაკი ზედმეტია. მთავარია, საზოგადოებამ მოსთხოვოს თავდაცვის უწყებას ამ მისიის კარგად ორგანიზება. ისე, კონტინგენტის გამოყვანაზე შეიძლება საზოგადოებამ იმსჯელოს და, თუ იქნება პრინციპული მოთხოვნა, პოლიტიკოსები ვალდებულნი იქნებიან, პრაქტიკულად დაიწყონ ამ დაკვეთის შესრულება. ვფიქრობ, გონივრული იქნება, გავაძლიეროთ დისციპლინა, გავაძლიეროთ ყურადღება კონტინგენტის მიმართ.

***— სპეციალური გამოძიების ჩატარება ხომ არ არის საჭირო, რადგან ასეთმა ფაქტებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო?***

— ვისაც აქვს ვალდებულება, შეუძლია, გამოძიება ჩაატაროს. საჭიროა საპარლამენტო კომისიის შექმნა, რომელმაც უნდა შეისწავლოს ვითარება. რადგან თავდაცვის უწყებამ დამოუკიდებლად ეს ვერ შეძლო, საჭიროა უფრო მაღალი სტატუსის მქონე საპარლამენტო კომისიის შექმნა, რომელიც დაადგენს, რა ხდება. საკმაოდ დიდი მიზეზია იმისათვის, რომ საპარლამენტო კომისია შეიქმნას — ერთი თვის განმავლობაში ორი თავდასხმის ფაქტი მოხდა. სასწრაფოდ უნდა შეისწავლონ საკითხი და მიიღონ გადაწყვეტილება, როგორ გაგრძელდეს ან რა უნდა შეიცვალოს მისიის ფარგლებში.

***— რატომ ფიქრობთ, რომ თავდაცვის სამინისტრომ ვერ მოახერხა პრობლემის შესწავლა, რადგან თავდასხმის ფაქტი გამეორდა?***

— დიახ. გამეორდა ფაქტი, რომლის მთავარი მიზეზი უსაფრთხოების ნორმების დარღვევაა. ეს უკვე საშიში პრეცედენტია.

***— თავდაცვის უწყებას ჰქონდა იმის კომპეტენცია, რომ წინა ფაქტი გაეანალიზებინა და გამოესწორებინა?***

— რა თქმა უნდა. თავდაცვის უწყებას აქვს ყველა იარაღი, სურვილის შემთხვევაში, ეს ვითარება თავიდან აეცილებინა. ერთი თვის განმავლობაში მომხდარი ორივე ფაქტის თავიდან აცილების შესაძლებლობა იყო.

## ამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით წირვას პატრიარქი სამების ტაძარში ჩაატარებს

13 ივნისს ამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით სრულიად პატრიარქი წირვას სამების საპატრიარქო ტაძარში აღავლენს.

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინდელ საკვირაო ქადაგებაზე ბრძანა. ამაღლება მოძრავი დღესასწაულია და ყოველწლიურად აღდგომიდან მე-40 დღეს, მეექვსე კვირის ხუთშაბათს აღინიშნება.

**მედიანიუსი**

# ივანიშვილის დაბნეულობა საქართველოსთვის სახიფათოა

თამარ ნინიძე

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ერთ-ერთ გამოსვლაში სინანულით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი არ უნდა დაშლილიყო. დღეს მის პოლიტიკას წითელ ხაზად სწორედ ეს იდეოლოგია გასდევს, კერძოდ, აღდგეს კავშირი. ევრაზიული კავშირის შექმნაზე საუბარი უბრალოდ საუბარი არ არის, არამედ მიზანმიმართული ღონისძიებების მთელი სერიაა, რომელიც ყოფილი „მოძმე“ რესპუბლიკების ამ კავშირში შეთრევას გულისხმობს.



ამგვარი იდეოლოგიის მქონე მეზობელ ქვეყანასთან, მის პოლიტელიტასთან დაბნეული და გაურკვეველი დიპლომატიით, ცხადია, ვერაფერს გავაწყობთ, არადა, სამწუხაროდ, ირკვევა, რომ პრემიერ-მინისტრი იმაზე მეტადაც კი დაბნეულია, ვიდრე ეს წარმოგვედგინა. პოლიტიკოსი, რომელიც დაბნეულია და მიამიტურად აცხადებს, რომ არ იცის, რუსეთმა საოკუპაციო ზოლი რატომ გადმოსწია, ვერ იქნება საქართველოს სახელმწიფოს ინტერესის დამცველი. ეს დაბნეულობა და გაურკვევლობა პოზიციისა ორ რამეზე მიანიშნებს: ბიძინა ივანიშვილი იმედოვნებდა, რომ პუტინთან აგრესიული რიტორიკის გარეშე გაალღობდა ურთიერთობებს და დაითანხმებდა მას, რომ საქართველო ნატოში მისთვის საფრთხე არ არის, ან მეორე მიზეზია ის, რომ ივანიშვილი, ნებსით თუ უნებლიეთ, აღიარებს იმას, რომ პოლიტიკოსი არ არის და იძულებით მოვიდა პოლიტიკაში. ერთიც და მეორეც საქართველოს მოსახლეობისთვის სანუგეშო არ არის. ივანიშვილი არ მალავს გაოგნებას იმის გამო, რაც საოკუპაციო ზოლის გადმოწევასთან დაკავშირებით ხდება. მხოლოდ პოლიტიკაში გაუცნობიერებელი ადამიანი თუ იმსჯელებს ისე, როგორც ახლა ივანიშვილი მსჯელობს. ის ამბობს, არაფერს ვაკლებდით, რომ სიტუაცია გამოსწორებულიყო, ვცდილობთ, გავარკვიოთ, საიდან მოდის ეს, უმაღლესი ხელისუფლებიდან თუ გენერლის ან მინისტრის დონეზე წყდებაო, უბრალო ჯარისკაცი, გენერალი და მინისტრიც კი პუტინის გარეშე არაფერს აკეთებენ. ეს ორი წლის ბავშვსაც რომ ჰკითხოთ, ისიც გეტყვით, როგორც ჩანს, ქართველი ექსპერტები სწორ ანალიზს აკეთებენ, განსხვავებით ივანიშვილისგან. მათ მიაჩნიათ, რომ კრემლი ივანიშვილისგან სტრატეგიულ საკითხებში ელის დიალოგის სურვილს. ეს ძირითადი თემებია პუტინისთვის მნიშვნელოვანი და არა რუსული ბაზრის გახსნა ქართული პროდუქციისთვის ან საჰაერო მიმოსვლისა და ვიზების საკითხები. რუსეთი მეშვიდე თვეა ელოდება ივანიშვილისგან დიალოგის მზაობას, მაგრამ ივანიშვილი არ ჩქარობს. მას, როგორც ირკვევა, გეგმაც კი არა აქვს დალაგებული, რაზე უნდა ესაუბროს პუტინს, ამერიკაში ჩასვლას უფრო იოლად უყურებს, არც იქ აქვს გეგმა, რაზე უნდა ისაუბროს, მაგრამ ამერიკაში ჩასვლა უფრო ეიოლება, ვიდრე რუსეთში, საგაზეთო ინტერვიუში ივანიშვილი აღიარებს, რომ რუსეთში სვლა ასე მარტივი დასაგეგმი არ არის. ამავე დროს, ჩანს ისიც, რომ ივანიშვილმა არ იცის, როგორ დაარწმუნოს რუსეთის ხელისუფლება, რომ საქართველო ნატოშიც უნდა შევიდეს და რუსეთთანაც იმეგობროს.

### რას გეგმავს რუსეთი

დაბალანსების პოლიტიკამ ედუარდ შევარდნაძე დააზარალა, აფხაზეთის პროვოკაციის შემდეგ შევარდნაძე რუსებმა დსთ-ში საქართველოს შესვლაზე დაიყოლიეს, დსთ-ს წევრი საქართველოც რუსეთისთვის პრობლემას წარმოადგენდა, ყოველ შემთხვევაში, პუტინის პრეზიდენტობის პირველ ხანებში პანკისსა და ხევსურეთის სასაზღვრო სოფლების დაბომბვას თუ გავიხსენებთ, პუტინისთვის საქართველო მუდმივი საფრთხე იყო, ახლაც როცა ივანიშვილის ოცნებები რუსეთთან დაბალანსების არაფრისმომცემ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, ისევ საფრთხის წინაშე ვართ. პუტინის ერთ-ერთი იდეოლოგის დუგინის პირით პუტინი ამბობს თავის სათქმელს და გაფრთხილებას გვიგზავნის, ან რუსეთთან უნდა ვიყოთ, ან სხვა არჩევანი საქართველოსთვის გამანადგურებლად დასრულდება.

კოლიაცია „ქართული ოცნება“ საზოგადოების წინაშე არამომგებიანი პოზიციით არის. ის ბევრ ადამიანში რუსეთუმესთან ასოცირდება, ხოლო რუსეთთან მეგობრობის მომხრე ინტელიგენციისა და პოლიტიკური ელიტის ნაწილში ეს პოზიცია გარკვეულ იმედებს აღძრავს, სანაცვლოდ პოლიტიკურად გაკოტრებული ნაცმოძრაობა გაცილებით მომგებიან მდგომარეობაშია. მას პატრიოტობაზე აქვს პრეტენზია, თუმცა სწორედ ნაცმოძრაობის ცხრაწლიანი დანაშაულებრივი ქმედებების გამოა, დღეს რომ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი რუსეთისკენ შეტრიალდა, ადამიანის უფლებების დარღვევის პარალელურად, სააკაშვილმა ძალით თავს მოახვია საქართველოს ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც ჩვენთვის მიუღებელი იყო, ამერიკა კარგიას ძახილით იმდენი ქნა, რომ ახლა ბევრ ქართველს დასავლეთისკენ გახედვა არ უნდა. არადა, ხსნა მხოლოდ დასავლეთშია და საქართველოს ფიზიკური გადარჩენის სხვა საშუალებები არ ჩანს. რუსეთთან ახალი კავშირების ძებნა და ახალ გაერთიანებებში გაწევრიანება ახლო მომავალშივე საქართველოს ყველა შანსს უკარგავს, ცივილიზებული და განვითარებული ქვეყანა იყოს.

კარგად გავაცნობიეროთ, რა აქვს რუსეთს ისეთი, რაც შეიძლება საქართველოსთვის სამაგალითო გახდეს? ეკონომიკა, რომელიც სინამდვილეში საბაზრო ღირებულებებზე განვითარებული ოლიგარქებისა და მაფიური კლანების მეშვეობით იმართება, ადამიანის უფლებები, რომლის კლასიკური დამრღვევი დღეს რუსეთის მმართველი ელიტაა, პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ სხვა სახელმწიფოების დათრგუნვა-დამორჩილებაზეა აგებული და არა მეგობრულ ურთიერთობებზე. სხვა რა არის ის, რამაც შეიძლება, ქართველები რუსეთისკენ მიაბრუნოს, გაურკვეველია. სააკაშვილი მსგავსი მეთოდებით მართავდა საქართველოს და ანალოგიურ შეცდომებს უშვებდა.



დღეს მიხეილ სააკაშვილი შს მინისტრისგან მოითხოვს, გაირკვეს ვიდეორგოლის წარმომავლობა, რომელმაც ორი დღის განმავლობაში მთელი საქართველო შიშში ამყოფა, მაგრამ ასევე უნდა იყოს გამოძიებული, რა შედეგი მოაქვს პრეზიდენტ სააკაშვილის გახშირებულ ვიზიტებს ავღანეთში, რატომ ხდება, რომ ყოველი ამ ვიზიტის შემდეგ ქართულ შენაერთებზე თავდასხმები ხდება. სააკაშვილი, სამწუხაროდ, არის საფუძველი, ვიეჭვოთ, რომ აგრძელებს რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებას, ცხრა წელი სწორედ ამას მიუძღვნა, სამხედრო საიდუმლო გეგმის განსაჯაროება, გაუმართლებელი შეკითხვები ჯარისკაცებისადმი იძლევა იმის საფუძველს, რომ ქართველმა სამართალდამცავმა ორგანოებმა ინტერესი გამოავლინონ სააკაშვილის ავღანური ვოიაჟებისადმი.

ბოლო ამ ვიზიტის შემდეგ მოხდა ის ტერორისტული აქტი, რომელმაც შვიდი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა, ამიტომ საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ ნატოს ექსპერტებსა და შესაბამის უწყებებს უნდა სთხოვოს განსაკუთრებული ყურადღება და შესწავლა მოხდეს სააკაშვილის ვიზიტებსა და ტერაქტებს შორის სავარაუდო კავშირებზე.

ვინაიდან უკანასკნელმა ტერაქტმა ქართველი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია და რადგან, სამწუხაროდ, ეს აღმოჩნდა ბევრისთვის ქართული შენაერთების აისაფის პროგრამიდან სასწრაფოდ გამოყვანის საბაბი, საჭიროა ითქვას, რომ ჯარისკაცების რაოდენობის გადახედვა მართლაც უნდა მოხდეს, მაგრამ უნდა დავფიქრდეთ, ნატოს გაერთიანებული კონტინგენტის გვერდით ქართველი ჯარისკაცების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა საქართველოსთვის რამდენად მნიშვნელოვანია. თუ აისაფის პროგრამაზე ვიტყვით უარს, არა მარტო ნატოზე, ევროკავშირზეც მოგვიწევს უარის თქმა და დასავლეთის მხრიდან სრულ უყურადღებობაში აღმოვჩნდებით, ეს კი რუსეთს საშუალებას მისცემს, საქართველოს სრული ოკუპაცია მოახდინოს.

## თურქეთის პრემიერ-მინისტრი ავარიაში მოყვა

ავტობუსი, რომელშიც თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ ტაიპ ერდოღანი იმყოფებოდა, ავარიაში მოყვა, წერს თურქული გაზეთი „იენიშფაკი“.

ინფორმაციის მიხედვით, ავტობუსის ზედა ნაწილი რეაბილიტაციაში მყოფ ხიდს, „თალატ პაშას“ დაეჯახა.

მას შემდეგ, რაც პრემიერის დაცვამ ავტობუსი დაათვალიერა და სიტუაციაში გაერკვა, ავტობუსმა სვლა განაგრძო.

ამასთან, ჩრდილოეთ აფრიკიდან თურქეთში დაბრუნებულმა ერდოღანმა ანტისამთავრობო დემონსტრაციების შეწყვეტა მოითხოვა.

პრემიერს მხარდამჭერები სტამბოლის აეროპორტში დახვდნენ, რომლებიც სკანდირებდნენ: „ერდოღან, შენთვის მოვკვდებით“.

„მე მოვუწოდებ, სწრაფად შეწყდეს დემონსტრაციები, რომლებიც დემოკრატიულ ნორმებს გასცდა და ვანდალიზმში გადაიზარდა“, - განაცხადა პრემიერმა.

ამასთან, სტამბოლში ტაქსიმის მოედანზე უკვე მეშვიდე დღეა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია მიმდინარეობს, სადაც პრემიერის გადადგომას მოითხოვენ. სტამბოლში მყოფი „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტის ცნობით, ამჟამად მშვიდობიანი ვითარებაა-დემონსტრანტები ეროვნულ ჰიმნს მღერიან.

შეგახსენებთ, რომ ყველაფერი სტამბოლის ერთ-ერთ პარკში სავაჭრო კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით დაიწყო, რასაც ეკოლოგები აპროტესტებდნენ. გუშინ, პრემიერმა განაცხადა, რომ მთავრობა გეზის პარკში დასახულ გეგმაზე უარს არ იტყვის.

სტამბოლში დაწყებულმა „ეკოლოგიურმა“ მიტინგმა მთელი ქვეყანა მოიცვა. პოლიციასთან შეტაკებების შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა, აქედან ერთი პოლიციელი. თურქეთის პოლიციამ ექვსი „უცხოელი აგენტი“ დაიჭირა, რომელიც თურქული გაზეთი „ზამანის“ თქმით, აქციის მონაწილე თურქებს აგრესიისკენ მოუწოდებდნენ. დაკავებულები აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და საბერძნეთის მოქალაქეები იყვნენ.

მიტინგებს დასავლური მედიაც გამოეხმაურა. „იუესეი თუდეი“ აშშ-ის მეწარმეობის ინსტიტუტის ანალიტიკოსის მაიკლ რუბინის ინტერვიუს ავრცელებს, სადაც იგი თურქეთის პრემიერ ერდოღანსა და რუსეთის პრეზიდენტს პუტინს შორის პარალელებს ავლებს. ტელეკომპანია „ბლუმბერგის“ მიმომხილველი მარკ ჩემპიონი აცხადებს, რომ თურქეთი პუტინის რუსეთს ემსგავსება და ახალგაზრდები სწორედ ამას აპროტესტებენ.

„ობსერვერის“ ცნობით, საფრანგეთმა, გერმანიამ და ევროკავშირის ოფიციალურმა პირებმა თურქეთში პოლიციის სისასტიკე გააკრიტიკეს.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენელმა ადამიანის უფლებებში მარკუს ლონინგმა გუშინ გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა: „შემაშფოთებელია, როდესაც მრავალი დაპატიმრებულის შესახებ გვესმის. მე თურქეთის მთავრობას მოვუწოდებ, არასათანადოდ ქმედება შეწყვიტოს“.

მისი თქმით, ანკარამ დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლოს დაკავებული დემონსტრანტები. ლონინგმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ აუცილებლად უნდა გათავისუფლდნენ ის პირები, რომლებიც „ტვიტერზე“ ინფორმაციის გავრცელების გამო დააკავეს.

საფრანგეთის მინისტრმა ევროკავშირის საქმეებში ტიერი რეპენტინმა კი განაცხადა: „პოლიციის რეპრესიების შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა, 2000 დაშავდა, 1700 კი დაპატიმრებულია – ეს მეტისმეტია. დემოკრატია ხალხის რეპრიების ფონზე ვერ აშენდება. ხალხის უფლებას, მთავრობის წინააღმდეგ გამართოს საპროტესტო მსვლელობა, პატივი უნდა სცენ“, – განაცხადა მინისტრმა, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ მომხდარმა შესაძლოა თურქეთ-ევროკავშირის მოლაპარაკების დაწყების გეგმას ავნოს.

მინისტრის თქმით, საფრანგეთი თებერვალში ევროკავშირის მოლაპარაკების დაწყების ინიციატივით გამოვიდა. „ეს ქმედება ცალმხრივი არ უნდა იყოს“, – დაამატა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებას არაერთი წელია ცდილობს. ამის ერთ-ერთ დამაბრკოლებად სწორედ ადამიანის უფლებებს ასახელებენ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## გარი კასპაროვი რუსეთში დაბრუნებას არ აპირებს

ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, რუსი ოპოზიციონერი გარი კასპაროვი უახლოეს მომავალში რუსეთში დაბრუნებას არ აპირებს.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, ამის შესახებ კასპაროვმა ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

კასპაროვი აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზად იმას ასახელებს, რომ მისი ოპოზიციური საქმიანობის გამო, რუსეთში დაბრუნების შემთხვევაში, სხვა ოპოზიციონერების მსგავსად, მასზეც გამოძიება დაიწყება.

„ახლა მაქვს სერიოზული ეჭვები, რომ თუ მოსკოვში ჩავალ, უკან დაბრუნებას ვეღარ შევძლებ. გარკვეული დროის მანძილზე თავს შევიკავებ რუსეთში ვიზიტისაგან“, – აცხადებს კასპაროვი.

ჟენევაში გარი კასპაროვმა უფლებადაცვითი საქმიანობისთვის მორის აბრამის სახელობის ჯილდო მიიღო.

კასპაროვმა პროფესიონალური ჭადრაკიდან წასვლა ოფიციალურად 2005 წლის 10 მარტს გამოაცხადა და პოლიტიკას მიჰყო ხელი. მისი თქმით „ვლადიმერ პუტინის ოპოზიციაშია“, რომელსაც ის „ფაშისტსა“ და „დაუნდობელ დიქტატორს“ უწოდებს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# გოგი გვახარია სემინარს ჩაატარებს

ეკა ირემაშვილი



ახალგაზრდული ორგანიზაციის „არტ ვეის“ მიწვევით კინომცოდნე გოგი გვახარია დაინტერესებული საზოგადოებისთვის სემინარს ჩაატარებს, რომელიც თანამედროვე კინოს შეეხება. სემინარი პროექტის „მასტერკლასები თანამედროვე ხელოვნებაში“ დაიგეგმა.

ამავე ორგანიზაციის ეგიდით უკვე ჩატარდა პირველი სემინარი, რომელზეც მიწვეული იყო თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი.

– ლაშა ჩხარტიშვილმა ახალგაზრდებს თანამედროვე მსოფლიო თეატრთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. კერძოდ, ისაუბრა თანამედროვე მსოფლიო თეატრის ჟანრების, ტენდენციების, ფორმების და პერსპექტივების შესახებ, – განაცხადა „არტ ვეის“ წარმომადგენელმა ნინო ჩხაიძემ.

მისივე თქმით, ამავე პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია სემინარები თანამედროვე კინოს, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების მიმართულებით, რომელსაც გაუძღვებიან: კინო – გოგი გვახარია, სახვითი ხელოვნება – გია ბუღაძე და მუსიკა – ხათუნა მანაგაძე.

– ამ პროექტის მიზანია ახალგაზრდების ინფორმირება თანამედროვე ხელოვნების მიღწევებით, მათი გააქტიურება აღნიშნული კუთხით და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზების ხელშეწყობა, – აღნიშნა ნინო ჩხაიძემ.

პროექტი ხორციელდება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით.

# შავფაროსნებმა დაგეგმილი ღონისძიება გააუქმეს

ეკა ირემაშვილი

ავღანეთში მომხდარი ტრაგედიის გამო „შავფაროსნებმა“ გორის ციხეზე დაგეგმილი ღონისძიება გაუქმეს. როგორც „შავფაროსნების“ პრესსამსახური მარი ონეზაშვილი აცხადებს, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნები“ ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს სამძიმარს უცხადებს და მომხდარი ტრაგედიის გამო, გორის ციხეზე დაგეგმილ ღონისძიებას დროებით აუქმებს.

– „შავფაროსნები“ ქედს ვიხრით იმ ქართველი სამხედროების წინაშე და თავს მოვალედ ვთვლით უარი ვთქვათ საზეიმო ღონისძიების გამართვაზე. ბოდიშს ვუხდით მაყურებელს, რომელიც ჩვენს გამოსვლას ელოდა, თუმცა დარწმუნებულნი ვართ, ისინიც იზიარებენ ჩვენს წუხილს, რადგან ქართველი ჯარისკაცების დაღუპვას მთელი საქართველო გლოვობს, – ნათქვამია „შავფაროსნების“ განცხადებაში.

მათივე ცნობით, ერთი საუკუნის შემდეგ აღდგენილი ისტორიული „ქალაქური კრივის“ შეჯიბრი გორის ციხეზე, ასევე ლელობურთის ჩემპიონატი და ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელი გამოსვლები მოგვიანებით გაიმართება.

# სტუდენტურ კინოფესტივალზე გამარჯვებულები დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

თბილისის მე-7 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ დასრულდა. ფესტივალის ბოლო დღეს გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ფესტივალი თბილისის მერიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა. ფესტივალის ფარგლებში სხვა ღონისძიებებთან ერთად, მთავარი საკონკურსო კინოჩვენებები გაიმართა.




– 2013 წლის იანვარში, ფესტივალის დაანონსებიდან 2 თვის განმავლობაში, მიღებული იყო 60-მდე ქვეყნის 200-ზე მეტი ფილმი. სელექციის შედეგად წელს 36 ქვეყნის 61 სტუდენტური ნამუშევარი შეირჩა საკონკურსო პროგრამისათვის. გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში გამოვლინდნენ საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური მხატვრული ფილმისთვის; საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური დოკუმენტური ფილმისთვის; საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური, ექსპერიმენტალური ფილმისთვის; ჟიურის სპეციალური პრიზი. ასევე, გაიცა სპეციალური დიპლომები საუკეთესო ხმის, მონტაჟის, ოპერატორის ნამუშევრისათვის იმ სპეციალობების მიხედვით, რაც ისწავლება მსოფლიოს კინოსკოლებში. საკონკურსო პროგრამა შეაფასა საერთაშორისო ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაც ყოველ წელს იცვლება. 2013 წლის ჟიურიში წარმოდგენილი იყვნენ კლაუდია მესსემერი (გერმანიის ბადენ-ვიურტემბერგის კინოაკადემიის დოცენტი, სცენარისტი), ლესზეკ დავიდი (ახალგაზრდა პოპულარული პოლონელი რეჟისორი ლოძის კინოსკოლიდან), გიულენ ჰარლეი (თურქი კინოხელოვანი მარკეტინგის მიმართულებით), ირინა რომანჩენკო (უკრაინული კინოფესტივალის დამფუძნებელი) და გიორგი გვახარია (კინომცოდნე). ჟიურის ყველა წევრმა ჩაატარა მასტერკლასი ან სამუშაო შეხვედრა სტუდენტებისთვის, რაც მომავალში მათ პროფესიულ განვითარებას და საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს, – განაცხადა ფესტივალის ხელმძღვანელმა ჯაბა სიხარულიძემ.

დაჯილდოვების ცერემონიაზე ნაჩვენები იქნა წლევანდელი „ვან შოთ მუვი“ პროექტის ფილმები და გამოვლინდნენ გამარჯვებულები ოთხ მთავარ ნომინაციაში: საუკეთესო მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ან ექსპერიმენტული ფილმი, ასევე

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ვენეციის ბიენალეზე ქართული პავილიონი გაიხსნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლივე ეს აშკარად მონაწილეობს როგორც სიცოცხლისუნარიანი, თვითორგანიზებადი პარალელური მიზანშეწონილობა, – განმარტავენ კულტურის სამინისტროში.

გამოფენის გახსნის დღეებში მხატვრებმა სივრცე აითვისეს დადგმული, პერფორმატიული სიტუაციების მთელი სერიითა და ქორეოგრაფიული ჩანართებით, როგორც ლოჯიაში, ისე მის გარეთ, არსენალეში. კამიკაძე ლოჯიის გამოფენა კრიტიკულ და პროგრესულ თვალს შეავლებს უკანასკნელი 20 წლის საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ აურას, ისევე, როგორც თანამედროვე ხელოვნებასა და არქიტექტურას ამ სივრცეში. ამდენად ის აცნობს მნახველს იმ ქვეყნის სახელოვნებო სცენას, რომელზეც ზოგჯერ ამბობენ, რომ ეს იგივე „იტალიაა, რომელიც გამარქსისტდა“.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ვენეციის ბიენალეში მონაწილე ჯგუფები მონაცემებსაც აქვეყნებს:

ჯგუფი ბულიონი მხატვართა ჯგუფია, რომელიც უკვე 5 წელია არსებობს. ჯგუფი ბულიონის პერფორმანსები, აქციები და არტისტული ინტერვენციები ძირითადად ხორციელდება საზოგადოებრივ ადგილებში. ისინი ასევე აწყობენ გამოფენების სერიას კერძო ბინებში, ეხმიანებიან რა ამით ბინების როლს საბჭოთა კავშირში – ეს იყო სივრცეები, სადაც იმართებოდა იმგვარი საზოგადოებრივი დებატები ან გამოფენები, რომლებიც ოფიციალურად არ იყო მხარდაჭერილი-გაკონტროლებული. ჯგუფი მონაწილეობდა ორ სახელოვნებო პროექტში, რომლის კურატორი იყო იოანა ვარშა: ერთია „ბეთლემი-მიკრო-რაიონი“, მეორე კი – „გაყინული მომენტები. არქიტექტურა გვპასუხობს“. მათ ჰქონდათ გამოფენები სომხეთში, პოლონეთში, გერმანიაში. კამიკაძე ლოჯიის პროექტში საქართველოს პავილიონში ჯგუფი გააგრძელებს კვლევას საზოგადოებრივსა და პრივატულზე, რელიგიასა და იდეოლოგიაზე.

პროექტში ჩართულია თეა ჯორჯაძე, მისი სკრუპულოზური ობიექტები, კონსტრუქციები და ინსტალაციები ხშირად ეხმიანება არქიტექტურულ, ზოგჯერ ნაცნობ და ზოგჯერ უცნობ სტრუქტურებს, იმოწმებს რა მოდერნიზმს, ისევე როგორც მეცნიერებას, მუსიკას, არქეოლოგიას და პოლიტიკას. ჯორჯაძე თავისი მრავალნაწილიანი სკულპტურული ანსამბლებისთვის იყენებს ყოველდღიურ მასალებს, როგორიცაა კერამიკა, მუყაო, ტექსტილი ან თაბაშირი და მათთან ერთად ნაპოვნ ნივთებს. ის მიმართავს მყიფე და მყარი მასალების კომბინირებას, ხის ან ფოლადის კონსტრუქციებს, რომლებიც ავეჯის, მოაჯირების, მაგიდების ან წიგნის კარადების რემინისცენციებს ქმნის. მასზე ერთ-ერთ მთავარ – თუმცა არა აშკარა – გავლენას ახდენს ქართული არაფორმალური არქიტექტურა და მისი კავშირი ლანდშაფტთან. უკვე ოცი წელია, რაც ის ბერლინში ცხოვრობს. ახლახან იგი მონაწილეობდა დოკუმენტა 13-ში, გახსნა სოლო-გამოფენები მალმოს კუნსტჰალეში, კიოლნის კუნსტფერაინში, ბაზელის კუნსტჰალეში და ასპენის ხელოვნების მუზეუმში.

ვენეციის ბიენალეს მონაწილეა ნიკოლოზ ლუტიძე. მას განსაკუთრებით აინტერესებს პერფორმატიული ელემენტები არქიტექტურაში და ურბანული ქსოვილის ცვლილება საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ. 2010 წლიდან ის მუშაობს აქციების მთელს სერიაზე, რომელიც ეფუძნება ევრორემონტის კონცეფციას. ესაა ადგილობრივი ნეოლოგიზმი, რომელიც გამოხატავს ზედაპირული განახლების პროცესს ე.წ. ევროპული სტანდარტების შესაბამისად. საქართველოს პავილიონში კამიკაძე ლოჯიისთვის ის გააგრძელებს ამ სერიას. მისი პერფორმანსები, ერთდროულად სასაცილოცა და გონიერიც, მიზნად ისახავს შექმნას კრიტიკული დისკუსიის პირობა კომუნიზმის მემკვიდრეობასა და საბჭოთა ესთეტიკის გავლენაზე საქართველოში. ნიკოლოზ ლუტიძე არის დოკუმენტური ფილმის გამოხატვის თავისუფლების ავტორი. ეს ფილმი ნაჩვენები იყო ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრებში მთელს კავკასიაში.

გელა პატაშურის, ეი არაკავას და სერგეი ჩერეპნინის – ქართველის, იაპონელისა და ამერიკელის – თანამშრომლობა შემთხვევით დაიწყო თბილისში 8 წლის წინ გრანდ ოუფენინგის პერფორმანსის დროს, რომელიც იყო თბილისის პროექტის სერიის ნაწილი. ამას მოჰყვა მათი ჯგუფური ინტერდისციპლინური პერფორმანსები, რომელიც შეიცავდა დადგმულ სიტუაციებს, ქორეოგრაფიულ ჩანართებს, პროცესზე ორიენტირებულ ხმისა და ბგერის ურთიერთქმედებებს და ერთგვარ თამაშს არქიტექტურასა და ლანდშაფტთან, როგორც მედიუმთან. მათ წარმოადგინეს თავისი პერფორმანსები უტრეხტში, ლონდონის შოურუმში, ბეტონსალონსა და ბრეტინის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში პარიზში, ისევე როგორც თბილისის პროექტში „გაყინული მომენტები. არქიტექტურა გვპასუხობს“. ვენეციის 55-ე ბიენალესათვის მათ დაგეგმეს დაედგათ მუსიკალური კომპოზიცია, რომელშიც გამოყენებულია ალექსი ბახნელის, მშენებლის, გელას მამის, 277 ლექსი. ეს ლექსები მან დაწერა 1978-სა და 2003 წლებს შორის. ტრიო გამოიყენებს 277 ლექსის პირველ პწკარს და შექმნის სიმღერების სერიას, რომელიც შესრულდება კამიკაძე ლოჯიასა და მის გარეთ.

გიო სუმბაძე ძირითადად მუშაობს ჯგუფთან ერთად. არის თბილისის ჯგუფის გოსლაბის წევრი და ურბანული კვლევის ლაბორატორიის დამფუძნებელი, რომელიც წარმოადგენს თბილისელი მხატვრების, არქიტექტორებისა და ფოტოგრაფების პლატფორმას. ლაბორატორია ქმნის საბჭოთა ინფრასტრუქტურის ხელახალი მოხმარების პროცესის დოკუმენტირებას და ახდენს მის დაარქივებას, სწავლობს მის ურთიერთკავშირს მარქსისტული იდეოლოგიის ეროზიასთან. ლაბორატორია ასევე ქმნის თბილისის სოციალურ საცხოვრებელთა მონაცემთა ბაზას, ძირითადად მიკრორაიონებში, უზარმაზარ თანამედროვე საცხოვრებელ გარეუბნებში, ფოკუსირდება რა მათ პოსტ-საბჭოთა მდგომარეობაზე. როტერდამის არქიტექტურის ბიენალესთან ერთად ლაბორატორიამ განავითარა პროექტი თბილისის ახალი რუკა, რომელიც ეხებოდა საცხოვრებლების გამალებულ მშენებლობებს თბილისში. სწორედ ამ კვლევებზე დაყრდნობით სუმბაძემ შექმნა კამიკაძე ლოჯია, როგორც ქართული პავილიონის ფორმა.

ვენეციის წლევანდელ ბიენალეზე კომისარია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, არის ხელოვნების ისტორიის დოქტორი. იგი იყო მრავალი კულტურის პროექტის ავტორი და ინიციატორი საქართველოში, ბელგიასა და გერმანიაში. ეს ინიციატივები შეიცავდა ინტერკულტურულ აქციებსაც, რომელშიც მონაწილეობდნენ კულტურის სხვადასხვა წარმომადგენლები ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ის კულტურის თემებზე კითხულობდა ლექციებს პარიზში, ფრაიბურგში, ლუვენ-ლა-ნევში. ამას გარდა ის მონიტორინგს უწევდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს კულტურის სფეროში ალჟირში, აზერბაიჯანში, ბელორუსიაში, ეგვიპტეში, იორდანიაში, ლიბანში, მაროკოში, საქართველოში, სომხეთში, უკრაინასა და ტუნისში. მას აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დარგში.

კურატორი იოანა ვარშა არის ვიზუალური, პერფორმატიული ხელოვნებისა და არქიტექტურის კურატორი. ის იყო მე-7 თანამედროვე ხელოვნების ასოცირებული კურატორი. ვარშა ძირითადად მუშაობს საზოგადოებრივ სივრცეებში, იკვლევს მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობებს. 2009 და 2010 წლებში ის მუშაობდა თბილისში ორ პროექტზე: „ბეთლემის მიკრო-რაიონი“ და „გაყინული მომენტები. არქიტექტურა გვპასუხობს“, რამაც შედეგად გამოიწვია ის, რომ იგი გახდა ვენეციის ბიენალეს 55-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენაზე საქართველოს პავილიონის კურატორი. იოანა ვარშა არის თბილისის პერფორმატიული არქიტექტურის გზამკვლევის გამომცემელი, რომელიც გამოაქვეყნა შტერნბერგის გამომცემლობამ 2013 წლის მაისში და ერთ-ერთი კურატორი გოტენბორგის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალესი, რომელიც გაიხსნება 2013 წლის სექტემბერში.

## განცხადებები

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაო-გარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეო-კონტროლით. ფასი 1100 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერტიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათკვირისა. ტელ: 599-498-423

# ქართველებმა თბილისის თასი მარცხით დაიწყეს

**საქართველო – მზარდი ირლანდია 15:20**

**საქართველო:** ბექა წიკლაური, ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე (თედო ზიბზიბაძე 74), თამაზ მჭედლიძე, ლაშა მალაღურაძე, გიორგი ბეგაძე; ირაკლი მირცხულავა, რევაზ ბელქანია (სიმონ მაისურაძე 68), 3. ლევან ჩილაჩავა (გიორგი თეთრაშვილი 60), ვახტანგ მაისურაძე (გიორგი ნემსაძე 68), კონსტანტინე მიქაუტაძე (გივი ბერიშვილი 75), შალვა სუთიაშვილი, ვიტო კოლელიშვილი, გიორგი ჩხაიძე

**2 ლელო:** ჩხაიძე, მჭედლიძე

**1 გარდასახვა:** წიკლაური

**მზარდი ირლანდია:** დევიდ ქარნი, ნაიალ მორისი, ეოინ გრიფინი (ბრენდან მექინი 67), მაიქლ ალენი (ნოელ რიდი 49), თირნან ოჰალორანი, იენ ქითლი, მაიქლ ჰინი (ჯონ ლუნი 53); ჯეკ მაკგრასი, რობ ჰერინგი (ნაიალ ენეთი 72), მაიქლ ბენტი (რიჩარდ ლუთონი 80), ლუის სტივენსონი (იენ ნეგლი 41), დევიდ ფოლი, რის რადოკი, დომინიკ რაიანი (ჯორდი მერფი 67), რობი დიაქი

**1 ლელო:** ქარნი

**5 ჯარიმა:** ქითლი

საქართველოს ეროვნული ნაკრების და მზარდი ირლანდიის მატჩი ავღანეთში დაღუპული 7 ქართველის გამო წუთიერი დუმილით დაიწყო, სტადიონზე დროშა დაუშვეს და გახსნის საზეიმო ცერემონიალი გადაიდო.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ და რაგბის საერთაშორისო საბჭოს საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელმა მარკ იგანმა გულშემატკივრებს და გუნდებს მიულოცეს ტურნირის გახსნა.

მატჩი მეტწილად თანაბრად წარიმართა, ირლანდიელთა გამარჯვება კი თამაშის ბოლოს მოახერხეს და ამის მიზეზი ის უამრავი ჯარიმა იყო, რომელიც საქართველოს ნაკრებმა მიიღო.

ჩვენები ქულას იგებდნენ, როდესაც ბოლო 2 წუთში ქითლიმ ორი ჯარიმა გაიტანა და თავისიანებს მოაგებინა – 20:15.

თავიდანაც ირლანდიელები დაწინაურდნენ იმავე ქითლის 2 საჯარიმო დარტყმით, თუმცა ჩვენებმა მალევე გამოასწორეს თამაში, კარგადაც ორგანიზებდნენ. ამან შედეგი გამოიღო და პირველი ტაიმის მიწურულს ბურთი გიორგი ჩხაიძემ დაამიწა. შესვენებაზე ქართველები უპირატესობით გავიდნენ – 10:6 მოიგეს.

მეორეში ტაიმის საწყის წუთებში ისევ ირლანდიელებმა გაილაღეს. 43-ე წუთზე სტუმრებმა რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელეს, მერე რაქში იერიშის მიმართულება სწრაფად შეცვალეს და ჩვენმა მორაგბეებმა მარცხენა გრძელ ფრთაზე ფულბეკის, დევიდ ქარნის შეჩერება ვეღარ შეძლეს. გატანილი ლელო ქითლიმ ვერ გარდასახა – 11:10.

სამ წუთში წიკლაურს შანსი მიეცა საჯარიმოთი ისევ დაეწინაურებინა საქართველოს ნაკრები, მაგრამ კარის პირდაპირ, 25 მეტრიდან ვერ გაიტანა. ეს შეცდომა ქითლიმ არ გვაპატია და ჯარიმით კიდევ უფრო დააწინაურა ირლანდიელები – 14:10.

58-ე წუთზე „ბორჯღალოსნებმა“ შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს და ანგარიშში კვლავ დაწინაურდნენ. მეტოქის ჩათვლის მოედნის სიახლოვეს დერეფანი მოიგეს, ბეგაძემ ბურთი მარჯვნივ მალაღურაძეს გადააწოდა, მან კი მჭედლიძეს, რომელმაც ლელომდე სამი მეტოქე ჩამოიშორა. წიკლაურმა ლელო ვერ გარდასახა – 15:14.

როგორც გითხარით, ეს ანგარიში მატჩის ბოლო წუთებამდე იყო შენარჩუნებული, შემდეგ კი ქითლიმ დაგვსაჯა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა შუამარბი მერაბ შარიქაძე აღიარეს.



**მატჩის შემდეგ:**

**ალენ კლარკი:**

მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ველოდით. საქართველოს ნაკრებმა ძალისმიერი რაგბი შემოგვთავაზა. თუმცა მეტოქის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მარტო შერკინებაზე არ გააკეთა აქცენტი. თამაშს ხშირად შლიდნენ და ფლანგებსაც კარგად იყენებდნენ. მინდა შევაქო ჩემი გუნდიც. საწვრთნელი შეკრების შემდეგ ეს ჩვენი პირველი თამაში იყო. ნაკრებში ბევრი გვყავს ისეთი მორაგბეები, რომლებმაც საერთაშორისო მატჩში სულაც პირველად ითამაშეს. მიხარია, რომ დასახულ მიზანს მიაღწიეს და დავალებას კარგად გაართვეს თავი... ფავორიტის დასახელება ძალიან მიჭირს. მართალია, ჩვენ და სამხრეთი აფრიკამ მოგებით დავიწყეთ, მაგრამ, ვფიქრობ, მასპინძლები იპოვნიან საკუთარ თამაშს და საბოლოოდ ყველაფერს, ალაბათ, პრემიალური ქულები გადაწყვეტს... გადამწყვეტი ბოლო 10-15 წუთი გამოდგა. ჩვენ შევძელით და მეტოქეს შეცდომები დავაშვებინეთ. შედეგად, რამდენიმე საჯარიმოს დარტყმის უფლება მოვიპოვეთ და ამან მოგვაგებინა

**მილტონ ჰეიგი:**

– არ მიმაჩნია, რომ დაცვაში მიღებული ჯარიმები ჩვენი სუსტი წერტილია. ერთა თასის გათამაშებაში მატჩში საშუალოდ 10-12 ჯარიმას ვიღებდით, რაც დიდი ციფრი სულაც არ არის. ამ მატჩშიც, არ მინდა მსაჯი გავაკრიტიკო, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევა, როცა ჩვენს სასარგებლოდ უნდა დაენიშნა საჯარიმო, თუმცა პირიქით მოიქცა. შერკინებამ პირველ ტაიმში კარგად ითამაშა. ლელოც სწორედ მორკინალების ძალისხმევით გავიტანეთ. პრობლემები მეორე ტაიმის მიწურულს შეგვექმნა, თუმცა საერთო ჯამში შერკინების თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. ვერაფერს დავუწუნებ უკანა ხაზს. მთლიანად უკანა ხაზი იყო კარგი. ხშირად გინახავთ, როცა ქართველი უკანახაზელები ამდენს ბურთაობდნენ ხელდახელ? ვფიქრობ, რომ ვვითარდებით და ეს მატჩი წინ გადადგმული ნაბიჯია იმ გზაზე, რომელსაც ვადგავართ.

**იარკლი მაჩხანელი:**

– მარცხის მიზეზი ის სამი-ოთხი საჯარიმოა, რომელიც თამაშის მიწურულს ავიღეთ. მატჩის ბედი სწორედ ამ შემთხვევამ გადაწყვიტა. უკმაყოფილო არ ვარ. ვფიქრობ, თამაში გამოგვივიდა. მინდა საქართველოს ნაკრების სახელით მივუსამძიმრო იმ ქართველი მეომრების ოჯახებს, რომლებიც ავღანეთში დაიღუპნენ

**ურუგვაი – ს.აფრიკის თხუთმეტეული 9:37**

**ურუგვაი:** ხერონიმო ეჩევერი, პაბლო ბუენო (ხერმან ალვანელი 63), ხოაკინ პრადა, ალვერტო რომანი, ლეანდრო ლეივასი, აგუსტინ დელკასტიჯო, ალეხო დურანი; როდოლფო დემულა (ალეხო კორალი 48), არტურო ავალო (ნიკოლას კლაპენხავი 48), მარიო საგარიო (გასტონ ივარვურუ 63), როდრიგო ესპიგა, ფრანკო ლამანა, ხუან დეფრეიტასი (ხუან ტასისტრო 63), ფერნანდო ვასკოუ, ხუან გამინარი.

**2 ჯარიმა:** ეჩევერი

**1 არეკნი:** ეჩევერი

**ს.აფრიკის თხუთმეტეული:** ჟაკენ იანსენი (კუნრად ფან ვეიკი 60), ვილმორე ლოუ, სტეფან ვატერმეიერი (როსკო სპეკმანი 65), ადრიან ენგელბრეხტი, იეროძ პრეტორიუსი, რიკარდო კროი, სინოვუიო ნიოკა (კებე ლაქი 70); ხვეზილოკუსა მხაფუ, ეშთონ კონტანტი (ფრანკ ჰერნი 60), მარტინ დრეიერი (ივან ესპაი 63), ბრენდან სნეიმანი (ედუან ფან დერ ვალტი 67), ლუბაბალო მიტანდა, იაკო ბოუველი, უზეირ კასიმი, რენალდო ბოთმა (ბრაიან შაბანგუ 60)

**6 ლელო:** ბოთმა, კასიმი (2), ენგელბრეხტი, ლოუ, მხაფუ

**2 გარდასახვა:** კროი

**1 ჯარიმა:** კროი

სამხრეთ ამერიკელებმა სამხრეთ აფრიკელებს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. ურუგვაელებმა კი მოინდომეს, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყვეს. მეტოქის სათამაშო კლასი გაცილებით დიდი აღმოჩნდა.

მატჩი ძლიერი ქარის თანხლებით ჩაიარა, რამაც თამაშს საკუთარი კვალი დაატყო. პირველ ტაიმში ზურგქარი ურუგვაელთა სასარგებლოდ უბერავდა და მათ უპირატესობის მოპოვებაც მოახერხეს. საწყის 10 წუთში მათ არეკნით და ჯარიმით 6-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქე შერკინებაშიც დაჯაბნეს, მაგრამ აფრიკელები დროულად გადაეწყვნენ და სასურველ შედეგსაც მალევე მიაღწიეს.

თბილისის თასის პირველი გათამაშების პირველი ქულები ურუგვაელმა ფულბეკმა ხერონიმო ეჩევერიმ ჩაიწერა, რომელმაც მე-2 წუთზე არეკნი დაჰკრა და ოთხიოდე წუთში ჯარიმით ანგარიში 6:0 გახადა. შუალედში ჯარიმით წონასწორობის აღდგენა აფრიკელებმა სცადეს, მაგრამ რიკარდო კროის მიზნის მიღწევაში ხელი ქარმა შეუშალა. მე-12 წუთზე ეჩევერის ანგარიშის გაზრდა მართებდა, მაგრამ ამჯერად მისი დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა.

პირველი ლელო მე-14 წუთზე გავიდა: სინოვუიო ნიოკამ პასის იმიტაციით მთელი დაცვა მოატყუა, ხაზი გაჭრა და ბურთი ბოთმას ისეთ მდგომარეობაში გადააწოდა, რომელსაც დამიწება არ გასჭირვებია. მალევე უზეირ კასიმიმ მეორე ლელო გაიტანა, ხოლო 30-ე წუთზე ლელო უკვე ადრიან ენგელბრეხტმა გაიტანა. კროიმ ვერც ერთი გარდასახვა ვერ გამოიყენა, თორემ სხვაობა ტაბლოზეც სათანადოდ აისახებოდა.

მეორე ტაიმში ქარი უკვე აფრიკის მხარეს იყო და მეტოქეს მათ ნახევარზე გადასვლა უჭირდა. ურუგვაიმ მეტოქისა და ქარის წინააღმდეგ უპირატესობის მოპოვება შემჭიდროვებული თამაშით სცადა, მაგრამ ამან მხოლოდ ის შედეგი მოიტანა, რომ სამხრეთამერიკელებმა უფრო დიდი სხვაობით არ წააგეს.

**პაბლო ლემოინე (ურუგვაის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი):**

– დღეს ჩვენ საქართველოს ნაკრებთან თამაშზე არ ვფიქრობდით და მოედანზე ყველა ის მორაგბე გავიყვანეთ, ვინც საუკეთესოებად მივიჩნიეთ. თბილისში 26 მორაგბე ჩამოვიყვანეთ და ყველა მათგანს მიეცემა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. პირველ ტაიმში ქარის ჩვენს სასარგებლოდ უბერავდა, ამ უპირატესობის გამოყენება ვცადეთ და კარგადაც ვუტევდით, მაგრამ მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა და თამაში აღარ წაგვივიდა. არ ვთვლი, რომ მეტოქესთან სისწრაფეში წავაგეთ, აფრიკელებმა უფრო ფიზიკურ ბრძოლებში გვაჯობეს.

**არტურო ავალო (ურუგვაის ნაკრების კაპიტანი):**

– თბილისში ყველაფერი საუცხოოდაა. დავმარცხდით, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ეს ტურნირი, ასეთი მეტოქეების წინააღმდეგ თამაში ჩვენს დონეს აამაღლებს, რაც ამ ეტაპზე უმთავრესია.

**ჯიმი სთოუნჰაუსი (სამხრეთ აფრიკის თხუთმეტეულის მთავარი მწვრთნელი):**

– მიუხედავად ანგარიშში ასეთი სხვაობისა, ეს გამარჯვება სულაც არ იყო ადვილი. განსაკუთრებით პირველ ტაიმში გაგვიჭირდა. მეტოქის შერკინება ძალიან კარგად გამოიყურებოდა. მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და რამდენიმე კარგი ლელოც გავიტანეთ. ამასთან, კმაყოფილი ვარ ჩვენი დაცვის თამაშით. ვიცით, რომ ქართველებს ძლიერი შერკინება ჰყავს და ამ კომპონენტში გაგვიჭირდება, თუმცა, სულაც არ ვაპირებთ გულხელდაკრეფილ ჯდომას. შერკინებაში წინააღმდეგობის გარდა, ვეცდებით ხაზის თამაშით მოვიპოვოთ უპირატესობა, რითიც სამხრეთ აფრიკული რაგბი მსოფლიოშია ცნობილი.

**ბრენდან სნეიმანი: (სამხრეთ აფრიკის თხუთმეტეულის კაპიტანი):**

– მთავარია ლელო გავიდეს და მნიშვნელობა არა აქვს, ამას ვინ გააკეთებს. საქართველოსთან მატჩში მორკინალები ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ხაზზე ბურთი კარგად გავიდეს და მათ მოახერხონ უპირატესობის მოპოვება.

# ერთობლივი პრესკონფერენცია სამინისტროში

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ და სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა სამინისტროში პრესკონფერენცია გამართეს, რომელიც ბერლინში იუნესკოს ეგიდით ჩატარებული ფიზიკური განათლების და სპორტზე პასუხისმგებელ პირთა მე-5 საერთაშორისო კონფერენციას მიეძღვნა.

მინისტრის მოადგილემ და სეოკი-ის გენერალურმა მდივანმა სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს კონფერენციაზე განხილული საკითხები დეტალურად გააცნეს. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო იუნესკოს წევრი195 წევრი ქვეყნიდან 137 ქვეყნის 600-ზე მეტმა ოფიციალურმა პირმა, ექსპერტმა და არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენელმა.

კონფერენცია ეფუძნება იუნესკოს ფიზიკური განათლებისა და სპორტის საერთაშორისო ქარტიას, ოლიმპიურ ქარტიას და საერთაშორისო სპორტის სხვა ძირითად ტექსტებს ითვალისწინებს მსოფლიო განვითარებას სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში. აყალიბებს საერთაშორისო სპორტის პოლიტიკის სტრატეგიულ საკითხებს.

მე-5 კონფერენციის მიზანი იყო, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი სპორტის ფასეულობებისა და ღირებულებებისათვის, რათა სპორტმა შეასრულოს ლიდერის როლი სოციალური გარდაქმნისას.

**კონფერენციის პირველი თემა იყო სპორტის ხელმისაწვდომობა, როგორც ყველას ძირითადი უფლება**

ყველა ინდივიდუალის ძირითად უფლებას უნდა წარმოადგენდეს სპორტისა და ფიზიკური განათლების ხელმისაწვდომობა და მასში მონაწილეობა განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდულობის, კულტურული და სოციალური კუთვნილების, ეკონომიკური რესურსისა და სექსუალური ორიენტაციისა. ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში პიროვნებებს ექნებათ მეტი შესაძლებლობა, შეასრულონ აქტიური როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იცხოვრონ ჯანმრთელი ცხოვრების წესით.

**მთავარი გზავნილებია:** ხარისხიანი ფიზიკური განათლების უზრუნველყოფა; სპორტის მართვაში თანასწორუფლებიანობის გამყარება.

**თემა 2**

**სპორტისა და ფიზიკური განათლების პროგრამებში ინვესტირების ხელშეწყობა**

სპორტი წარმოადგენს ეკონომიკის ძალიან დიდ და სწრაფად მზარდ სექტორს, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონიმიკის ზრდასა და დასაქმებაში. მსოფლიო ჯდპ-ის დაახლოებით 2 პროცენტის სპორტის სექტორი წარმოქმნის. მსგავსი სარგებლის მომტანია მასშტაბური სპორტული ღონისძიებები, რომელთაც, მონაცემების მიხედვით, პირდაპირი და ირიბი სარგებელი მოაქვს მასპინძელი ქვეყნის საზოგადოებისა და ეკონომიკისათვის და შესაძლოა ასრულებდეს მდგრადი განვითარების კატალიზატორის როლსაც.

**მთავარი გზავნილებია:** ეროვნული ხედვის განვითარება; მაგალითის შექმნა; გამჭვირვალობის გაუმჯობესება; მასშტაბური სპორტული ღონისძიებების მოთხოვნების კრიტიკული განხილვა.

**თემა 3**

**სპორტის ერთიანობის შენარჩუნება**

სპორტის ერთიანობა სერიოზული საფრთხის წინაშეა. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე იზრდება სპორტული შეჯიბრებების მანიპულირების, დოპინგის, კორუფციის შემთხვევები. 2013 წლის თებერვალში ევროპოლმა გაავრცელა ინფორმაცია 380-ზე მეტი პროფესიული ფეხბურთის მატჩის შედეგის ფიქსირების მცდელობის შესახებ. თუკი სპორტი ვერ შეძლებს შეინარჩუნოს სამართლიანი თამაშის (ფეარ პლეი) ღირებულებები, დამსახურებული მიღწევა, შეჯიბრის შედეგის გაურკვევლობა, დაიკარგება მისი მსოფლიო პრესტიჟი.

**მთავარი გზავნილებია:** ინვესტიციებისათვის პრიორიტეტების მინიჭება და საგანმანათლებლო და პრევენციული ზომების კოორდინაცია; ინფორმაციის ეფექტურად გაცვლის სტრატეგიების განვითარება; პოლიტიკისა და მისი ინსტრუმენტების განვითარების ვალდებულება; ძლიერი, მაგრამ პროპორციული სპორტის კანონის გატარება. კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების სპორტზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა მიიღეს ბერლინის დეკლარაცია (თან ერთვის).

# სერენა ისევ უძლეველია

როლან გაროსის ქალთა ფინალში კი როგორც მოსალოდნელი იყო ორი ფავორიტი, შესაბამისად მსოფლიოს პირველი ჩოგანი ამერიკელი სერენა უილიამსი და ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული, რუსი მარია შარაპოვა შეხვდნენ.

შარაპოვა ამ სლემის შემდგომ რეიტინგში მე-2 პოზიციას დაკარგავს, რადგან მან მოპოვებული ქულები ვერ დაიცვა, მის ადგილს კი ბელარუსი ვიქტორია აზარენკა დაიკავებს.

ფინალი „ფილიპ შერტრიეს“ კორტზე გაიმართა. რა თქმა უნდა, ფავორიტი სერენა იყო და ამერიკელმაც თავისი სტატუსი გაამართლა. არადა, მარიამ თამაში კარგად დაიწყო და პირველი 2 გეიმი აიღო, ამის შემდეგ კი სხვა სერენა წამოვიდა და მის უილიამსმა ზედიზედ 4 გეიმი წამოიღო. სეტის მიწურულს გოგონებმა თითო ბრეიკი გაცვალეს და საბოლოოდ სერენამ სეტი სათავისოდ დაიტოვა – 6:4.

მეორე სეტის ბედი კი ერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც სერენამ მე-3 გეიმში გააკეთა. ამის შემდგომ რუსს ბრეიკ პოინტიც არ ჰქონია – 6:4. ეს სერენას მეორე „“როლან გაროსია". მთლიანობაში კი ამერიკელს 16 დიდი სლემი აქვს მოგებული. შესანიშნავია. სერენამ ბოლო 5 ტურნირში სადაც იასპარეზა ყველა წამოიღო. ურთიერთშეხვედრებში კი 9:0 გახდა სერენას სასარგებლოდ.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე სერენამ მადლობა გადაუხადა თავის ოჯახს და მის გულშემატკივრებს და აღნიშნა რომ არ ეგონა იმ ტრავმის მერე ასე კარგად თუ დაბრუნდებოდა.

**სერენა უილიამსი:**

– არ მეგონა 28 წლის შემდგომ (სერენა ახლა 31 წლისაა) თუ ჩოგბურთს ასე კარგად ვითამაშებდი, მაგრამ მე აქ ვარ და ჩემპიონი ვარ. ახლა მე შემიძლია დავისვენო და „უიმბლდონისთვის“ მოვემზადო.

**მარია შარაპოვა:**

– ვულოცავ სერენას ამ გამარჯვებას, მას ბრწყინვალე სეზონი აქვს და მან ეს დაიმსახურა. როცა მე მქონდა შანსები ის ეგრევე კარგად აწვდიდა და ეს შანსი იკარგებოდა, იმიტომ რომ ის უბრალოდ ჩემპიონია. იმედი მაქვს მომდევნო წელს კვლავ დავირბუნებ ტიტულს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

**ფეხბურთი**

**მჩ-2014. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

| | |
|---|---|
| შვეიცარია-კვიპროსი | 1:0 |

**სამხრეთ ამერიკა**

| | |
|---|---|
| ბოლივია-ვენესუელა | 1:1 |
| არგენტინა-კოლუმბია | 0:0 |
| პარაგვაი-ჩილე | 1:2 |
| პერუ-ეკვადორი | 1:0 |

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| ბოსტვანა-ეთიოპია | 1:2 |
| ზამბია-ლესოტო | 4:0 |
| უგანდა-ლიბერია | 1:0 |
| ც.აფრიკა-ს.აფრიკა | 0:3 |
| გაბონი-კონგო | 0:0 |
| ანგოლა-სენეგალი | 1:1 |
| გამბია-კოტ დივუარი | 0:3 |
| სიერა ლეონე-ტუნისი | 2:2 |
| კაბო ვერდე-ეკ.გვინეა | 2:1 |
| მაროკო-ტანზანია | 2:1 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ჰაიტი | 2:1 |

**ეჩ-2013. ჯგუფური ეტაპი(21)**

| | |
|---|---|
| ინგლისი-ნორვეგია | 1:3 |
| იტალია-ისრაელი | 4:0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალკორკონი-საბადელი | 4:0 |
| ვილიარეალი-ალმერია | 1:0 |
| ხირონა-რეალი ბ | 1:1 |
| ლუგო-პონფერადინა | 2:2 |
| მირანდესი-ხიხონი | 2:1 |
| მურსია-ლას პალმასი | 1:0 |
| რასინგი-ერკულესი | 3:0 |
| უელვა-უესკა | 0:0 |
| ხერესი-ბარსელონა ბ | 2:1 |
| ელჩე-გვადალახარა | 3:1 |

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სტ.პატრიკი-ლიმერეკი | 3:0 |
| შელბურნი-დერი | 0:1 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ნიუ ინგლენდი-დ.ს.იუნაიტედი | 0:0 |
| ჩიკაგო-პორტლენდი | 2:2 |
| სოლტ ლეიკი-ლოს ანჯელესი | 3:1 |
| სიეტლი-ვანკუვერი | 3:2 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| კრისიუმა-ფლამენგო | 0:3 |
| კრუზეირო-ინტერნასიონალი | 2:2 |
| ვასკუ-ბაია | 1:1 |
| კორინთიანსი-პორტუგეზა | 0:0 |
| პონტე პრეტა-ბოტაფოგო | 0:2 |

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბელგრანო-სან მარტინი | 0:2 |
| სარანდი-ქილმესი | 1:2 |
| გოდოი-ტიგრე | 0:1 |

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი – ქალები**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ს.უილიამსი-შარაპოვა | 6:4;6:4 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ჩიკაგო-ლოს ანჯელესი | 4:3(ოტ) |

**სერიის ანგარიში: 4:1**

# სტუდენტურ კინოფესტივალზე გამარჯვებულები დააჯილდოვეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გაიცა ჟიურის სპეციალური პრიზი. ნომინაციებთან ერთად, სპეციალური დიპლომები გადაეცათ საუკეთესო რეჟისურისათვის, ხმოვანი რიგისთვის, ოპერატორის ნამუშევრისთვის და მონტაჟისათვის.

– 2013 წლის ფესტივალში, რომელიც საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს ფარგლებში მოეწყო, 36 ქვეყნის კინოსკოლის 61-მა ფილმმა მიიღო მონაწილეობა, მას 25-მდე უცხოელი სტუდენტი და ჟიურის წევრი სტუმრობდა მსოფლიოს 14 ქვეყნიდან, მათ შორის ისრაელიდან, ჩინეთიდან, ავსტრალიიდან, აზიისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. საზეიმო გახსნაზე ტრადიცია არ დაირღვა და ნაჩვენები იქნა თეატრალურის წარსული დიპლომანტის ნამუშევარი – წელს გაიხსენეს 1984 წელს გადაღებული სტუდენტური ფილმი „მამა“, რომლის რეჟისორიც გახლავთ ლევან ზაქარეიშვილი. ფესტივალის გახსნის საღამო მუსიკალურად გააფორა ჯგუფმა „ქამელეონი“, – აღნიშნა ფესტივალის წარმომადგენელმა ჯაბა სიხარულიძემ.

მისივე თქმით, 5 დღიანი ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ჟიურის წევრების მასტრეკლასები სხვადასხვა თემებზე: კლაუდია მესსემერი – კინოსცენარების განვითარება; ლესზეკ დავიდი – კინორეჟისურა; გიულენ ჰარლეი – კინომარკეტინგი; ირინა რომანჩენკო – ფესტივალების მნიშვნელობა და შესაძლებლობები.

– ფესტივალმა უმასპინძლა სამხატვრო აკადემიის ექსპერიმენტულ მოდურ პროექტს, რომლის ინსპირაციას კინემატოგრაფი წარმოადგენდა. სპეციალურად ამ პროექტისათვის შექმნილი „ფეიფერ არტ“ წარმოადგენდა სხვადასხვა ფილმების ვიზუალურ მხარეს, მუსიკალური გაფორმება კი ფილმის „ადამიანი ორკესტრის“ საუნდთრექი გახლდათ. ჩვენებაში მომავალი მსახიობებიც მონაწილეობდნენ, – განმარტა ჯაბა სიხარულიძემ.

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით და რეჟისორ გიორგი ხარებავას ხელმძღვანელობით წელს მესამედ განხორციელდა პროექტი „ვან შოთ მუვი“, რომელიც ფილმის ერთი უწყვეტი კადრით გადაღებას გულისხმობს. ეს პროექტი აერთიანებს ფესტივალის უცხოელ და ქართველ სტუდენტებს, რომლებიც კო-პროდუქციას ქმნიან სხვადასხვა თემაზე. ფესტივალის დახურვაზე ნაჩვენები იქნა წელს ბოლო 4 დღის განმავლობაში გადაღებული ფილმები.

ფესტივალი თბილისის მერიის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის, თბილისის სამხატვრო აკადემიის, გოეთეს ინსტიტუტის, პოლონეთისა და ისრაელის საელჩოების საქართველოში მხარდაჭერით ჩატარდა.

– ფესტივალი „ამირანი“ 1978 წელს დაარსდა კინო კავშირისა და „თეატრალური ინსტიტუტის“ თაოსნობით, ასევე ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნებების ხელშეწყობითა და ინიციატივით, როგორებიც არიან გოდერძი ჩოხელი, ტატო კოტეტიშვილი, ნანა ჯანელიძე, ნანა ჯორჯაძე, დიტო ცინცაძე, გურამ პეტრიაშვილი, ანდრო ჭიაურელი, დათო ჯანელიძე, შაქრო ჯორჯაძე. ამ ფესტივალმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა არსებობის მანძილზე, რადგან იგი დაარსებისთანავე „საბჭოთა კავშირის“ ყველაზე თავისუფალ ფესტივალად იყო მიჩნეული. „საბჭოთა კავშირის“ დაშლასთან ერთად, 1990 წელს კინოფესტივალმა შეწყვიტა ფუნქციონირება. დიდი ხნის უმოქმედობის შემდეგ, 2007 წელს აღდგა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ინიციატივით, რის შემდეგაც ფესტივალმა ყოველწლიური სახე მიიღო. დღესდღეობით ფესტივალში მონაწილეობას იღებს მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყანა, რაც ცოტა ნამდვილად არ არის, – აღნიშნა ფესტივალის წარმომადგენელმა.

სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ წელს ქართული კინოსთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ფესტივალზე დაწესებული ოთხი მთავარი ნომინაციიდან ორი ქართულმა ნამუშევარმა აიღო – საუკეთესო დოკუმენტური ფილმი ზაზა ნოზაძის „მერაბ დათუკიშვილი“ გახდა, ჟიურის სპეციალური პრიზი კი ზურა დემეტრაშვილის ფილმს „გზაგასაყარი“ გადაეცა.

საერთაშორისო ჟიურის გარდა, ფესტივალზე იმუშავა სტუდენტებისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმაც. რჩეულები მათაც გამოავლინეს და საკუთარი ფავორიტები დაასახელეს.

წელს პრიზები ასე გადანაწილდა: საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური მხატვრული ფილმისთვის პრიზი მიიღო გერმანიის წარმომადგენელმა ელმარ იმანოვმა, საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური დოკუმენტური ფილმისთვის დაჯილდოვდა ზაზა ნოზაძე ფილმისთვის „მერაბ დათუკიშვილი“, საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური-ექსპერიმენტული ფილმისთვის უნგრელი პეტერ ვატცი დაჯილდოვდა, ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო ზურაბ დემეტრაშვილმა ნამუშევრისთვის „გზაგასაყარი“, სტუდენტური ჟიურის პრიზი გადაეცა სოსო ბლიაძეს ფილმისთვის „ყველაზე ძვირფასი“.

კინოფესტივალზე სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა სოსო ბლიაძემ „ყველაზე ძვირფასი“, ირაელის წარმომადგენელმა გიდეიო ტატზმანმა, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ბრაიან ოტულმა და პოლონეთის წარმომადგენელმა იზუმი იოშიდამ.

საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალის დიპლომები გადაეცათ საუკეთესო ხმოვანი რიგისთვის ყაზახეთის წარმომადგენლებს დანა აგელეუოვას და ვასილი დერგაჩიოვს, საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი გახდა ლევან სიხარულიძის ფილმი „თითქოს ზღვა იყო“, საუკეთესო მონტაჟისათვის დიპლომი მიიღეს ისრაელის წარმომადგენლებმა ნირ საარმა და მაია სარფატიმ, დიპლომი საუკეთესო რეჟისურისათვის კი ესტონელ კაურ კოკს გადაეცა.

ფესტივალის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებები ჩატარდა, გოეთეს ინსტიტუტში წარმოდგენილი იყო გერმანული პროგრამა და წვეულება, მოეწყო ექსპერიმენტული საღამო, სადაც თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა წარმოადგინეს პროექტი „მოდა და კინემატოგრაფი“. ჩვენება უჩვეულო ფორმით გაიმართა და მასში მომავალმა მსახიობებმაც მიიღეს მონაწილეობა.

– პროექტის ექსპერიმენტულობა იმაშიც გამოიხატა, რომ ორი უმაღლესი სასწავლებლის ერთგვარ შემოქმედებით სინთეზს წარმოადგენს. ჩვენებამდე თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა შეასრულეს მსოფლიო ჰიტების „ქოვერებს“, მათ შორის თიკა ჯამბურიამ, ეკა აბალაკმა, სალომე ცუხიშვილმა და თამარ მურადაშვილმა, – აღნიშნა ჯაბა სიხარულიძემ.

ფესტივალი აფთერ ფართიმ დახურა, რომელზეც დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით იყო შესაძლებელი.

# რაში ადანაშაულებენ აჩიკო გულედანს?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კრიტიკა (მართლზომიერი თუ არამართლზომიერი), პოსტი, თუნდაც ლაიქი ამ ყველაფერზე გავლენას ახდენს – გვერდიდან ყველაფერი სხვანაირად ჩანს, მაგრამ გვერწმუნეთ, რომ ნებისმიერი თქვენი აქტივობა შემდეგ მენეჯმენტის გადაწყვეტილებებზე მოქმედებს.

გაითვალისწინეთ, ამ ყველაფერს 10-15 კაცი გეგმავს რეალურად. ამის ცოცხლად გადატანა და ამ პროდაქშენის განხორციელება არის ჯოჯოხეთური შრომა. ჩვენც თქვენთან ერთად ვსწავლობთ, ვიხვეწებით და ვპროგრესირებთ. გაიხსენეთ, 5 წლის წინ სად ვიყავით – ასეთი არტისტების ერთად ნახვის ნატვრაც კი უაზრობა იყო. ახლა ხალხი უკვე ლაინაფის თავიანთ ვერსიებს გვკარნახობს და ყველაზე სასიამოვნო ისაა, რომ უკვე რეალურად მიაჩნიათ ის, რასაც ამბობენ.

ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, გუშინ ჩვენც და თქვენც კიბის ერთბაშად რამდენიმე საფეხურით ავიწიეთ მაღლა. რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნულის გარდა კიდევ იყო მინორ ხარვეზები – უკვე მოვიდა ინფორმაცია ბარში პრობლემების შესახებ (თუმცა შარშანდელთან შედარებით ბევრად უკეთესი სიტუაცია იყო), კოორდინაციის ხარვეზებზე, ა.შ. და ა.შ. – ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაციაა – ნელ-ნელა ვეცნობით ამ ყველაფერს და შესაბამის გადაწყვეტილებებსაც მივიღებთ.

მაგრამ მთავარი, მთავარი, მთავარი რაც მოხდა, არის, რომ თბილისში, დინამოს სტადიონზე მოვიდა რამდენიმე ათეული ათასი კაცი ბილეთისამაჯურებით, დადგნენ თავიანთ სექტორებში და ქართული ჯგუფის (ქიდ ჯიზეს) შემდეგ მოუსმინეს დიფ ფარფლის, საბვეის, თრიკის, ბლექ სტროუბს და ინფექტედ მაშრუმს. ეს რომ ვიღაცას სულ რამდენიმე წლის წინ ეთქვა, ალბათ გიჟად ჩათვლიდნენ.

ბუნებრივია, ჩვენ (ორგანიზატორები და მსმენელებიც) ამაზე არ გავჩერდებით, და არც უნდა გავჩერდეთ. რახან აქამდე მოსვლა შევძელით, ესე იგი შეუძლებელი არაფერია. უფრო დავიხვეწებით, უფრო ნაკლები ხარვეზი გვექნება, უფრო ორგანიზებულად ვიმოქმედებთ და საბოლოოდ, იმედია, მივალთ ისეთ გარემომდე, როდესაც ადამიანები საყვედურს მხოლოდ იმის გამო გვეტყვიან, რომ მათი საყვარელი ჯგუფის ნაცვლად სხვის საყვარელ ჯგუფს ჩამოვიყვანთ.

ძალიან დიდი მადლობა იმისათვის, რომ აქამდე მოსვლაში დაგვეხმარეთ. ეს პირველ რიგში თქვენი დამსახურებაა, ამ ფესტივალს თქვენთვის ვაკეთებთ – იმ გოგოსთვის, საბვეისზე მეგობრის კისერზე შემომჯდარი რომ ცეკვავდა, იმ ასაკიანი კაცისთვის, ფარფლების გამოსვლისას ბავშვივით ტირილი რომ დაიწყო, იმ ბიჭისათვის, მაისურზე რომ „აი ემ ე მენ – სოუ ბი მაი როკ ენ როლ ქვინ“ ეწერა, თუნდაც იმ ტიპისთვის, სადღაც უკან რომ იდგა, ლუდს წრუპავდა და უბრალოდ თავს აქნევდა. ეს ფესტივალი თქვენია და თქვენთვის ტარდება.

აქამდე მოსვლაში მთავარი როლი თქვენ ითამაშეთ, როდესაც 2011-ში წვიმიან და ტალახიან იპოდრომზე იდექით და როდესაც 2012– ში დედეტეს გამოსვლას საათ-ნახევარი უცდიდით. ამის ჩატარების საშუალება თქვენ მოგვეცით. 5 ივნისს რაღაცა ახალი ეტაპი დაიწყო.

გმადლობთ, ხალხნო!“

თბილისი ოპენ ეარ კომპანია „ალტერვიჟენ გრუფის“ მიერ ორგანიზებული საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალია. ის 2009 წლიდან ტარდება და მისი დევიზია – „მუსიკა ათავისუფლებს“.

სპორტი

# ქართველთა ფინალები

მანუჩარ მარკოიშვილმა „გალათასარაის“ ფინალური სერიის მეორე მატჩი მოაგებინა. თურქეთის პირველობის საჩემპიონო სერიაში“ სტამბოლური გრანდი „ბანვითსპორს“ ხვდება, რომელსაც უკვე მეორე მატჩი, ამჯერად 80:66 მოუგო და სერიაში 2:0 დაწინაურდა.

მარკოიშვილმა სტამბოლელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მესამე ათწუთეულში ქართველმა უკანახაზელმა 15 ქულა ჩააგდო და „გალათასარაის“ იმხელა ლიდერობა დაუბევა, რის შემდეგაც სტამბოლურ გუნდს გამარჯვებამდე მისვლა აღარ გასჭირვებია.

პირველი ტაიმის შემდეგ „გალათასარაი“ მხოლოდ 2 ქულით, 42:40 იგებდა და ამ მომენტისთვის მარკოიშვილის ანგარიშზე 2 ქულა იყო. დიდი შესვენების შემდეგ ქართველმა უკანახაზელმა დიდი შედეგიანობა გამოავლინა – მესამე პერიოდში მანუჩარმა 4 სამქულიანი, ჯამში კი 15 ქულა ჩააგდო, სტამბოლელებს მეოთხედი 26:11 მოაგებინა და ფაქტობრივად მატჩის ბედიც გადაწყვიტა. ბოლო ათწუთეულის დაწყებამდე „გალათასარაი“ 68: 51 იგებდა და გამარჯვებამდე მისვლაც აღარ გასჭირვებია.

მარკოიშვილმა მოედანზე 26 წუთი გაატარა და მთლიანობაში 17 ქულა, 2 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. ანუ მარკოიშვილს ბოლო პერიოდში ქულა აღარ ჩაუგდია და ბევრიც არ უთამაშია. მატჩის ბედი გარკვეული იყო და სტამბოლელთა მწვრთნელი ქართველი მსროლელის დატვირთვას მოერიდა. მარკოიშვილი მატჩის ბომბარდირი და საუკეთესო მოთამაშე გახდა. მის კვალზე 16 ქულა მოაგროვა იამონტ გორდონმა, ხოლო ფურქან ალდემირმა თავი 15 ქულას და 8 მოხსნას მოუყარა.

„გალათასარაის“ ჩემპიონობამდე 2 მოგება აკლია. მომდევნო შეხვედრა დღეს.

წარუმატებლად დაიწყო ფინალური სერია გიორგი შერმადინის „ოლიმპიაკოსმა“. საბერძნეთის ჩემპიონატის საჩემპიონო სერიაში მარადიული მეტოქეები – „პანათინაიკოსი“ და „ოლიმპიაკოსი“ ხვდებიან. შერმადინის გუნდმა რეგულარული ჩემპიონატი მოიგო და სერიაში მოედნის უპირატესობა ჰქონდა, რომელიც პირველსავე მატჩში დაკარგა. „პანათინაიკოსმა“ 64:51 მოიგო და სერიაში, რომელიც 3 მოგებამდე გრძელდება, 1:0 დაწინაურდა.

პირეოსელები თავიდანვე ჩამორჩნენ და მერე ამაოდ ცდილობდნენ ათენელების წამოწევას. „პანათინაიკოსმა“ წარმატებით მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე და სერიაში მოედნის უპირატესობა მოიპოვა. შერმადინმა მოედანზე 8,27 წუთი გაატარა და მეტოქის ფარისთვის არ შეუტევია. გიორგიმ მოედანი 3 მოხსნით და 1 დაფარებით დატოვა. პირეოსელთაგან 11 ქულით საუკეთესო ვასილის სპანულისი გახლდათ.

ვიქტორ სანიკიძის „სიენა“ კი, იტალიის ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ისევე როგორც მეოთხედფინალურ სერიაში, სიენელებმა ნახევარფინალშიც მე-7, გადამწყვეტი შეხვედრა მეტოქის მოედანზე მოიგეს. ჯერ იყო და სანიკიძის გუნდმა მილანურ „არმანის“ 4:3 დაწყვიტა გული, რამდენიმე წუთის წინ დასრულებულ ნახევარფინალურ სერიაშიც იგივე შედეგი დაფიქსირდა – „სიენამ“ რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულ „ვარეზეს“ მე-7, გადამწყვეტი შეხვედრა 82:69 მოუგო და ფინალში გავიდა.

მატჩი საკმაოდ დაძაბული იყო და მიუხედავად იმისა, რომ სიენელებმა საბოლოოდ 13 ქულით გაიმარჯვეს, სანიკიძის გუნდს იოლად არაფერი გამოსვლია. მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე სხვაობა მხოლოდ 3 ქულას შეადგენდა, თუმცა ბობი ბრაუნისა და დანიელ ჰაკეტის ქულებით „სიენამ“ უპირატესობის გაზრდა და გამარჯვებამდე მისვლა მოახერხა.

სანიკიძემ მოედანზე მხოლოდ 3 წუთი გაატარა და ცხადია, ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო. საუკეთესო კი იტალიის ნაკრების ფორვარდი დანიელ ჰაკეტი გახდა, რომელმაც 23 ქულა მოაგროვა. გადამწყვეტ წუთებში კარგად გაისარჯა ბობი ბრაუნი, რომელმაც მატჩის ბოლო 3 წუთში 7 ქულა მიითვალა .

„სიენა“ ფინალშია და ტიტულს „რომასგან“ დაიცავს. რომაელებმა ნახევარფინალიდან მანუჩარ მარკოიშვილის ყოფილი გუნდი „კანტუ“ გამოაგდეს. ფინალური სერია 11 ივნისს, რომში დაიწყება და მატჩები ყოველ მეორე დღეს გაიმართება. მოედნის უპირატესობა „რომას“ აქვს, სერია კი 4 გამარჯვებამდეა.

**მ. ჟ.**

# სკანვორდი



1. მეტროს სადგური თბილისში; 2. ასო „ფ“-ს სახელწოდება; 3. მოწონების გამომხატველი შორისდებული; 4. ფულად-საკრედიტო დაწესებულება; 5. ... დუმბაძე; 6. ერთ-ერთი ეროვნება; 7. დღესასწაული; 8. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 9. არმიაში ახლადგაწვეული ჯარისკაცი; 10. მეორე ნოტი; 11. სომხეთის დედაქალაქი; 12. ზურგჩანთა; 13. მეომრების დამცავი ნაგებობა ომის დროს; 14. ტყის სამკურნალო მცენარე; 15. ქიმიური ელემენტი; 16. რელიგიური მოძღვარი ინდოეთში; 17. მეგრული სიმღერა; 18. აკაკი ხორავას ერთ-ერთი საუკეთესო როლი; 19. შენობის წინხედი; 20. ფრანგული მხიარული ცეკვა; 21. ფრანგი კომპოზიტორი და დირიჟორი (XIX ს.); 22. ჯ.მაზინას კინოროლი; 23. ... პაჩინო; 24. ქართული ვოკალური კვარტეტი; 25. გაოცების გამომხატველი შორისდებული; 26. გულის მოქმედების ფაზა – შეკუმშვა; 27. მტაცებელი ცხოველი; 28. ადამიანის ზელა სამკურნალო ან კოსმეტიკური მიზნით; 29. არსაკიძის მეტსახელი; 30. ავღანური ენა; 31. წუხილის გამომხატველი შორისდებული; 32. ხე სურნელოვანი ყვავილებით; 33. კრემიანი ნამცხვარი; 34. „... დაიდარდო!“; 35. ბრაზილიელი ფეხბურთელი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მუშამბა; 2. ბლუზი; 3. გროტესკი; 4. ეფემერა; 5. ვირსალაძე; 9. „ბენტლი“; 12. პაროდია; 14. ვარძია; 15. ეტნა; 17. ვილია; 18. აჟიო.

**თარაზულად:** 6. ტუვალუ; 7. „გრინფისი“; 8. ჩაროზი; 10. კელია; 11. სანგვინიკი; 13. შვიდეული; 16. მართვე; 19. ჟორდანია; 20. კიმიგაიო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „თავთუხი“; 2. საბურთალო; 3. „გრუნდიგი“; 4. ხრიდოლი; 5. ხილარი; 9. კრუიზი; 11. ვერმელი; 12. „ფიგარო“; 14. ტანკერი; 18. ომალო; 19. ბომბი.

**თარაზულად:** 4. ხორავა; 5. ხამანწკა; 6. „ბრერა“; 7. თიბათვე; 8. ბუტიკი; 10. წნევა; 13. ხუტორი; 15. თუნუქი; 16. „გომი“; 17. კიტო; 20. კიმონო; 21. როლერი; 22. მოლიერი; 23. ბალეტი.

## ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეის წარმომადგენლებმა ორი წლის განმავლობაში პირველი შეხვედრა გამართეს

ოფიციალური წარმომადგენლების შეხვედრა დემილიტარიზებულ ზონაში, სასაზღვრო პუნქტ პხანმუნჯომში გაიმართა. ორი დელეგაციის პირველი კონტაქტისთვის 45 წუთი საკმარისი აღმოჩნდა. მხარეებს სამ-სამი კაცი წარმოადგენდა. პავილიონ „მშვიდობის სახლში" კონსულტაციების პირველ ეტაპზე ორივე მხარემ წარმოადგინა დღის წესრიგის საკითხები, რომლის განხილვაც მიმდინარე კვირას სეულში დაგეგმილ მინისტერიალზე სურთ, იტყობინება ინტერფაქსი. როგორც კორეის რესპუბლიკის გაერთიანების სამინისტრო აცხადებს, „მოლაპარაკებამ სეულსა და ფხენიანს შორის ნდობა უნდა განამტკიცოს, ასევე კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობის შენელებას ხელი უნდა შეუწყოს".

მეორე რაუნდის დაწყების დრო ჯერ განსაზღვრული არ არის და ეს საკითხი მოქმედი ოფიციალური არხებით შეთანხმდება. ამისთვის აღდგა პხანმუნჯომის კავშირი სამხრეთ კორეასთან.

შეგახსენებთ, რომ ფხენიანმა მიიღო სეულის წინადადება სამთავრობო დონის სამუშაო შეხვედრის გამართვის შესახებ.

## აზერბაიჯანი სომხეთს გარკვეული პირობების სანაცვლოდ დაეხმარება

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ კომენტარი გააკეთა აზერბაიჯანის გაზის სახელმწიფო კომპანიის პრეზიდენტის განცხადებაზე. კომპანიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თუ სომხეთი აზერბაიჯანს გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით დახმარებას სთხოვს, აზერბაიჯანს ნადვილად შეუძლია დახმარება. პრეზიდნეტის ადმინისტრაციის განცხადებით, კომპანიის პრეზიდენტის განცხადება ნიშნავს, რომ აზერბაიჯანი სომხეთს გარკვეული პირობების სანაცვლოდ დაეხმარება. პრეზიდენტის ადმინისტრაციის საგარეო კავშირების განყოფილების უფროსმა ნოვრუზ მამედოვმა განაცხადა, რომ სომხეთის აზერბაიჯანისადმი მიმართვა იქნება იმის აღიარება, რომ მათ აზერბაიჯანის დახმარება სჭირდებათ, რაც სომხეთს კონსტრუქციულობისაკენ უბიძგებდა. „სომხეთი აცნობიერებს თავის გამოუვალ მდგომარეობას და ასეთ პირობებში მათ კონსტრუქციულობა უნდა გამიჩინონ", — განაცხადა მემედოვმა. აზერბაიჯანში მსგავსი განცხადებები მას შემდეგ გაკეთდა, რაც სომხეთი და რუსეთი გაზის ფასზე ვერ შეთანხმდნენ. აღნიშნულის შესახებ 5 ივნისს სომხეთის ენერგეტიკის მინისტრმა არმენ მოვსისიანმა განაცხადა. „არმროსგაზპრომმა" და „ტრანსგაზმა" სომხეთის საზოგადოებრივი მომსახურების რეგულირების კომისიას რუსეთის ბუნებრივი აირის ტარიფის გადახედვისაკენ 14 მაისს მიმართეს.

## ნელსონ მანდელა მეორე დღეა საავადმყოფოში იმყოფება



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ნელსონ მანდელა მეორე დღეა საავადმყოფოში იმყოფება, სადაც ის ფილტვების ინფექციის გამო მკურნალობის კურსს გადის.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ექიმები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას არ გასცემენ.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ისტორიაში პირველი შავკანიანი პრეზიდენტი ნელოსნ მანდელა ქვეყანას 1994-1999 წლებში მართავდა. ის აპარტეიდების არსებობის პერიოდში, ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მებრძოლი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აქტივისტი იყო, რის გამოც ციხეში 27 წელი გაატარა. 1993 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.

## ამერიკელი ინსტრუქტორები ავღანელმა კურსანტმა დახოცა

გუშინ, ავღანეთში საერთაშორისო კოალიციის წევრი ოთხი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ქვეყნის აღმოსავლეთით ავღანეთის არმიის ფორმაში გამოწყობილმა კურსანტმა ცეცხლი გაუხსნა კოალიციის წევრებს, რის შედეგადაც 3 ამერიკელი ინსტრუქტორი დაიღუპა და კიდევ 3 დაიჭრა. გარდა ამისა, ქვეყნის დასავლეთით მოკლული იქნა იტალიელი სამხედრო მოსამსახურე.

საერთაშორისო კოალიციის მეთაურობამ თავის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ პროვინცია პაკტიკაში პაკისტანის საზღვართან პირმა, რომელსაც ავღანეთის არმიის ფორმა ეცვა, ცეცხლი გაუხსნა კოალიციის წევრებს, რის შედეგადაც ორი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და ერთი სამოქალაქო სპეციალისტი დაიღუპა.

პროვინცია პაკტიკას გუბერნატორის ადმინისტრაცია ინციდენტთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებულ ვერსიას ავრცელებს. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, ავღანეთის არმიის სამხედრო ბაზა ჰარ-კოტზე ერთ-ერთ ავღანელ კურსანტსა და ამერიკელ ინსტრუქტორებს შორის, რომლებიც მას წვრთნიდნენ, შელაპარაკება მოხდა. კამათის დროს ავღანელმა კურსანტმა ცეცხლი გაუხსნა ინსტრუქტორებს, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაიღუპა და კიდევ სამი დაიჭრა. თავად კურსანტი საპასუხო სროლის შედეგად დაიღუპა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს ეს უკვე მეხუთე შემთხვევაა, როცა კოალიციის წევრები ავღანეთის არმიის ფორმაში გამოწყობილი ადამიანებისგან იხოცებიან. ასეთი ინციდენტების შედეგად, რასაც საერთაშორისო კოალიცია „ინსაიდერების შეტევებად" მოიხსენიებს, წელს 9 ადამიანი გარდაიცვალა — 8 სამხედრო მოსამსახურე და ერთი სამოქალაქო სპეციალისტი.

## სამგლოვიარო განცხადებები

დედა რუსუდან მიჩილაშვილი, მამა ილია ჩახტაური, ძმა გიორგი, ბებია ასმათი, დეიდა ნინო, დეიდაშვილები მერი, დავით სამსონიები, დავით მაძღარაშვილი, ბიძა გოგი სამსონია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნანა ჩახტაური**

პანაშვიდი 9, 10 ივნისს, 18 საათზე.
გამოსვენება სამშაბათს, 11 ივნისს, 15 საათზე.
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი № 24, მე-2 სადარბაზო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## სტამბოლში გეზის პარკის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრი აღარ აშენდება

სტამბოლის ცენტრში, გეზის პარკის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრი აღარ აშენდება. სააგენტო ფრანს პრესის ინფორმაციით, ამის შესახებ სტამბულის მერმა კადირ ტოპბაშმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.



„ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებთ ავაშენოთ სავაჭრო ცენტრი, სასტუმრო ან საცხოვრებელი სახლი", — განაცხადა მერმა, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ ქალაქის მერია უარს არ იტყვის ტაკსიმის მოედნის რეკონსტრუქციაზე, რასაც ხელისუფლებისგან დემონსტრანტები ითხოვენ — „დიდი ალბათობით მოედანზე მუზეუმი ან საგამოფენო ცენტრი განთავსდება".

კადირ ტოპბაშის განცხადებით, ტაკსიმის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით შედგება. მისივე თქმით, ნებისმიერ დამტკიცებულ პროექტში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ოსმალეთის იმპერიის დროინდელი ყაზარმების აღდგენა.

თავის მხრივ, სტამბულის გუბერნატორის ჰუსეინ ავნი მუთლუს განცხადებით, უკანაკსნელი დღეების განმავლობაში, პოლიცია რიგ შემთხვევაში დემონსტრანტთა წინააღმდეგ ძალზედ სასტიკად მოიქცა, რის გამოც მან ბოდიში მოიხადა.

„ბოდიშს ვიხდი უკიდურესი ქმედებებისა და პოლიციელთა ინდივიდუალური შეცდომრების გამო", — დაწერა მან „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე.

გუბერნატორმა აღნიშნა, რომ სტამბულში აქციის მონაწილეთა შორის ისურვებდა აღმოჩენას, თუმცა მან ეს პოლიტიკისგან შორსმდგარი მოტივით ახსნა:

„ახალგაზრდა ადამიანები, მშვენიერი დილა გეზის სკვერში, გალობენ ჩიტები, ჰაერში ფოთლების სუნი დგას. თქვენს შორის ვისურვებდი ყოფნას", — აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში მიმდინარე დემონსტრაციები იმის გამო დაიწყო, რომ ხელისუფლება ტაკსიმის მოედანთან გეზის პარკის გაჩეხვასა და იქ სავაჭრო ცენტრის აშენებას გეგმავდა. პარკის დასაცავად ორგანიზებული ეკოლოგიური აქცია ანტი სახელისუფლებო მიტინგებში გადაიზარდა. სტამბულის მცხოვრებლებს მხარი სხვა რეგიონების მოსახლეობამაც დაუჭირა. საერთაშორისო მედიის ინფორმაციით, პროტესტში მონაწილეობს თითქმის ყველა, განურჩევლას მათი სოციალური სტატუსისა. პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის დაპირისპირების შედეგად გარდაიცვალა 3 ადამიანი, ხოლო 3 ათასზე მეტი მძიმედ დაშავდა.

ნობელის პრემიის ლაურეატმა ლიტერატურის დარგში, თურქმა მწერალმა ორჰან ფამუქმა, რომელიც თურქეთში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და ყველაზე დიდი ტირაჟით იყიდება, მხარი დაუჭირა თანამემამულე მანიფესტანტებს, რომლებიც უკვე ათ დღეზე მეტია თურქეთის სხვადასხვა ქალაქში საპროტესტო აქციებს მართავენ. მწერალმა ინტერვიუ იტალიელ ჟურნალისტებს მისცა.

„ყველას, ვინც სტამბულში ცხოვრობს, ტაკსიმის მოედანთან დაუვიწყარი მოგონებები აკავშირებს. მე მესმის ამ ხალხის, მე მესმის დემონსტრანტების მძვინვარების. მათი მთელ მსოფლიოს ესმის. თურქეთში მნიშვნელოვანი რამეები ხდება და მე ისინი მაღელვებს. მე მაღელვებს თურქეთის მომავალი. მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ, რომელმაც გადაწყვიტა გაეჩეხა ხეები ასეთ მნიშვნელოვან ადგილას, რათა აეშენბინა სავაჭრო ცენტრი, დიდი შეცდომა დაუშვა", — აღნიშნა ორჰან ფამუქმა.

მწერლის განცხადებით, ხელისუფლება ვალდებულია, რბილად იმოქმედოს და კონკრეტულ შედეგს მიაღწიოს. ფამუქის თქმით, ერთადერთი რაც ყველას უნდა, ტაკსიმის მოედნის გადარჩენაა.

„მე მინახავს ამ მოედანზე კონსერვატორები, ნაციონალისტები, სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები, სამხედროები. ვიმედოვნებ, რომ ამჯერადაც ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება", — აღნიშნა მწერალმა, რომელსაც 2005 წელს თურქეთის ხელისუფლებამ უჩივლა კრიტიკული განცხადებებისთვის. მაშინ ფამუქმა თურქეთი ადამიანის უფლებების დარღვევის გამო გააკრიტიკა. მოგვიანებით ხელისუფლებამ საჩივარი უკან გაიტანა.

ორჰან ფამუქი 1952 წელს სტამბულში დაიბადა. 2006 წელს მწერალი გახდა ნობელის პრემიის ლაურიატი ლიტერატურის დარგში. მისი რომანები მსოფლიოს 40 ენაზეა ნათარგმნი.

თავის მხრივ, თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი თავის მომხრეებს მოუწოდებს, ადგილობრივ არჩევნებზე, რომელიც 2014 წელსაა დანიშნული ოპოზიციას ჭკუა ასწავლონ.

მსგავსი მოწოდებით ერდოღანმა თავის მხარდამჭერებს ქალაქ ადანაში მიმართა და განაცხადა, რომ მათ თავიანთი მხარდაჭერა საარჩევნო ყუთებთან უნდა დააფიქსირონ.

ერდოღანის პარტია „სამართლიანობა და განვითარება" მომავალ კვირას ანკარაში და სტამბულში ორი მასშტაბური აქციის ჩატარებას გეგმავს იმისათვის, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მიმართ თავიანთი მხარდაჭერა დააფიქსირონ.

ამასთან, პრემიერ-მინისტრი ერდოღანი ანტისამთავრობო გამოსვლების მონაწილეებს ვანდალებს და ანარქისტებს უწოდებს. „ისინი იმდენად ბინძური ადამიანები არიან, რომ საკუთრი ქვეყნის პრემიერს შეურაცხყოფას აყენებენ", — აცხადებს ერდოღანი და ამატებს, რომ ხელისუფლებაში ყოფნისას თურქეთის აბსოლუტურად ყველა მოქალაქის უფლების დაცვას ცდილობს.

ერდოღანი აცხადებს, რომ ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები არ იქნება.

## მეხიკოს ქუჩებში შიშველმა ველოსიპედისტებმა გაიარეს

მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში ათასობით, სრულიად გაშიშვლებულმა ველოსიპედისტმა გაიარა.

ღონისძიება მოაწყო მსოფლიო მოძრაობა „შიშველმა ველოგარბენმა", ველოსპიპედით მგზავრობის, როგორც გადაადგილების ეკოლოგიურად სუფთა საშუალების პროპაგანდის მიზნით.

ორგანიზატორების თქმით, აქცია ასევე ხაზს უსვამს ადამიანის სხეულის სინატიფეს და მძღოლებს ახსენებს, რომ ხალხმრავალ ქუჩებში უფრო ფრთხილად უნდა იყვნენ, — იტყობინება „ბიბისის" რუსული სამსახური.

ველოგარბენის გზაზე მოძრაობა შეჩერდა, გამვლელები და მძღოლები მომხდარს ტელეფონით იღებდნენ.

ველოგარბენის ერთ-ერთმა მონაწილემ ჟურნალისტებს განუცხადა: „მეხიკოში ველოსიპედით მგზავრობა საშინელებაა. თითქოს საერთოდ ვერ გამჩნევენ, მოჩვენებასავით ხარ".

მოძრაობა „შიშველი ველოგარბენი" ცხრა წლის წინ, კანადაში დაიბადა გარბენები ყოველწლიურად მსოფლის სხვადასხვა ქალაქებში ტარდება. მეხიკოში შიშველმა ველოსიპედისტებმა 2001 წელს უკვე შეიარეს, მაგრამ როგორც ჩანს, სიტუაცია არ გაუმჯობესებულა.

## გერმანიაში წყალდიდობას მსხვერპლი მოჰყვა



გერმანიის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით წყალდიდობაა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ხელისუფლებამ ათასობით ადამიანის ევაკუაცია განახორციელა. მდინარე ელბაში წყლის დონის მატება სპეციალისტების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

გადაუღებელი წვიმები რამდენიმე დღეა გრძელდება, რის შედეგადაც სტიქიის ზონაში აღმოჩნდნენ ბადენ-ვიურტემბერგი, ბავარია და საქსონია. კრიტიკულ ვითარებაშია მაგდებურგის რეგიონი, სადაც წყალმა არსებულ ნორმას 60 სანტიმეტრით გადააჭარბა.

მაშველები და მეხანძრეები მდინარე ელბაზე 20 კილომეტრის გაყოლებაზე დამბებს აშენებენ. დღეისათვის ამ მდინარეზე წყლის დონემ 7,45 მეტრს მიაღწია, რაც რეკორდული მაჩვენებელია. ამ დროის მონაცემებით, გერმანიაში წყალდიდობის შედეგად, შვიდი ადამიანია დაღუპული, არიან დაკარგულებიც.

წყალდიდობის შედეგად, რომელმაც ერთდროულად ევროპის რამდენიმე ქვეყანა მოიცვა, რვა ადამიანი დაიღუპა.

ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ჩეხეთში სტიქიას ექვსი, ავსტრიაში კი ერთი ადამიანი ემსხვერპლა. სამხრეთ-აღმოსავლეთ გერმანიაში ქალაქ პასაუში წყალმა მიაღწია დონეს, რომელიც 1501 წლიდან არ დაფიქსირებულა.

ქალაქის რაიონების უმეტესი ნაწილი დატბორილია. მოსახლეობის ევაკუაციას ნავებით ახორციელებენ. პატიმრები ციხიდან გამოიყვანეს, რომელიც ასევე დატბორვის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. რეგიონში რამდენიმე დღეში ნალექის ორი თვის ნორმა მოვიდა.

არანაკლებ მძიმე სიტუაციაა მეზობელ ჩეხეთში, სადაც ბოლო ერთი კვირაა გადაუღებლად წვიმს, რის გამოც ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

წყლის დონემ მესამე — ყველაზე კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

ჩეხეთში სტიქიას ექვსი ადამიანი ემსხვერპლა, ხუთი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 10 ივნისი**

07.30 „ჩვენი დილა" (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50 „მოამბე" 11.00 „სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი" — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა" 17.00 „გურმანია" 18.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა" 19.05 ტ/სერ „ნუ შეწყვეტ ოცნებას" 21.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 22.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი" 23.00 მხ/ფ „ბნელი რაინდი" 01.00 „დღეს ორის ნახევარზე"

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები" — „ბანგკოკი" 09.00 მხ/ფ „პიკის საათი-3" (ჯ.ჩანი) 10.35 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები" — „ირლანდია" 11.00 მხ/ფ „ჯადოსნური შარვალი—2" (ა.ფერერა) 13.00 დ/ფ „ალენ ბაშუნგი" 14.00 „ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 17.00, 21.00 „ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა" I ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი" 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი" 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე" 17.50 სერ. „მაგნატები". 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. „მარტოსული" 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) 23.00 კრიმ. სერ. „უკანასკნელი ნათლია" 1 სერ. 00.15 მხ/ფ „ძმები მეტოქეები" (ა.უორნერი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. „იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე" 15.30 ყველაზე ჭკვიანი 17.00 სერ. „ვნების უფსკრული" 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერ „ერთგულების ძალა" 22.00 „საქართველოს ვარსკვლავი" 00.00 მოგზაურობა 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი. კლიპები.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება" 06.45 მხ/ფ „მეტიჩარა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ „იყო შაშვი მგალობელი" 13.30 „შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - „ხიდი" 18.10 გუთნისდედა 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „იცოცხლე გენაცვალე" 20.40 ძილი ნებისა 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „უნივერსიტეტის გაზეთი-უნივერსიტეტის პოზიცია" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი" 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრესკლუბი" 16.30 „ღია კარის დღე" (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


10 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6722

ევრო — 2,2160

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6051

100 რუსული რუბლი — 5,1868

## ამინდის პროგნოზი 10 ივნისისთვის





## 29 მაისიდან

### ჟურნალ „სარკესთან“

ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 3

ბრაზილიური ზღაპრები




### უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

### გამოსაცემად მზადდება:

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


## რაში ადანაშაულებენ აჩიკო გულედანს?

ეკა ირემაშვილი

„თბილისი ოპენ ეარ 2013“-ის ორგანიზატორებმა დამსწრე საზოგადოებაში გულისწყრომა გამოიწვიეს. „ალტერვიჟენ გრუპის“ ხელმძღვანელი აჩიკო გულედანი არ მალავს, რომ ფესტივალზე ხარვეზები ნამდვილად იყო, თუმცა ამავე დროს განმარტებებსაც აკეთებს და ხარვეზების გამოსწორების პირობას იძლევა. საქმე ეხება ჯგუფს „მოდესელექტორ“, რომლის გამოსვლაც ფესტივალზე ვერ მოხერხდა. ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ სამაჯურის შენახვის შემთხვევაში, ჯგუფის კონცერტზე დასწრებას ყველა უფასოდ შეძლებს.

„თბილისი ოპენ ეარის“ ხელმძღვანელობა სოციალურ ქსელში სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„თბილისი ოპენ ეარ 2013 დამთავრდა.

უპირველეს ყოვლისა, თავს ვალდებულად ვთლით, რომ მთლიანად ფესტივალისა და მისი საორგანიზაციო ჯგუფის სახელით ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რაც „მოდესელექტორ“-თან დაკავშირებით მოხდა. ტექნიკური მიზეზებისა და დაგვიანების ხარვეზების გამო მათი გამოსვლა ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, წარმოადგენდა თუ არ წარმოადგენდა ჯგუფი ჰედლაინერს ამ ფესტივალზე, ასი პროცენტით გასაგებია იმ ადამიანების იმედგაცრუება, რომლებიც მათ (თუნდაც არა მარტო მათ) მოსასმენად იყვნენ ფესტივალზე. ერთადერთი, რაც ახლა შეგვიძლია გითხრათ, არის, რომ ბენდთან ლაპარაკის შედეგად გვაქვს დიდი იმედი, რომ უახლოეს მომავალში მათ კვლავ ვიხილავთ საქართველოში. ამ მომენტისათვის უკვე რაც შეგვიძლია გამცნოთ, არის, რომ ფესტივალის სამაჯურის მქონე ადამიანები (იმ შემთხვევაში, თუ ეს სამაჯური შეინახეს ან შეინახავენ) ბენდის მომავალ ლაივს დაესწრებიან უფასოდ. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ეს შეცდომა გამოვასწოროთ. აგრეთვე, ძალიან ვნანობთ, რომ ბენდის ვერგამოსვლის შესახებ (რომელიც გარემოებათა გამო ბოლო საათში გადაწყდა) დროულად ვერ შეგატყობინეთ და ამ ინ-



ფორმაციის გაჟღერება დაცვის წევრებს მოუწიათ.

რამდენჯერმე გაიჟღერა უკმაყოფილებამ ბილეთების ფასის შესახებ — მეგობრებო, ბილეთების ფასი 3 ლარითაც ვერ იქნებოდა უფრო იაფი. ეს არის ზღვარი, რომლის იქითაც უბრალოდ ვერ ჩავატარებდით ფესტივალს. ბევრს ჰგონია, რომ ფესტივალი მარტო არტისტების ჰონორარი ჯდება. სინამდვილეში ეს ზღვაში წვეთია იმ სამუშაოების ხარჯთან და რესურსთან შედარებით, რაც ამხელა ივენთის ჩატარებას სჭირდება. წარმოიდგინეთ — 1000 კაცი მარტო დაცვა გახლდათ. მარტო შემოგარენის სტაფი 800 კაცს შეადგენდა. და ეს მთლიანი პროდაქშენის ნახევარიც არაა.

ნელ-ნელა უნდა მივეჩვიოთ, რომ შეიძლება კონცერტისათვის რამდენიმე კვირა (ან თვე) აგროვებდე ფულს, და საღამოს ლუდის დალევის ალტერნატივად კი არ განიხილო, არამედ მოვლენად, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრო.

ხალხნო, რეალურად გუშინდელი ივენთი თავისი მასშტაბით უპრეცედენტო იყო არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად კავკასიის ისტორიაში. მასშტაბს რომ თავი გავანებოთ, ზოგადად „ოპენ ეარ 2013-“ის მნიშვნელობა ძალიან დიდია. ასეთი მოვლენები არა მარტო მუსიკალურ წრეებზე, არამედ ქვეყნის ავტორიტეტზე და პროგრესულობაზეც ახდენს გავლენას. აქამდე მოსასვლელად 5 წელიწადი დაგვჭირდა როგორც ჩვენ, ასევე თქვენ. ვინაიდან ამ ფესტივალს არა მარტო ჩვენ, არამედ თქვენც აკეთებთ. ნებისმიერი თქვენი კომენტარი, მოთხოვნა,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ვენეციის ბიენალეზე ქართული პავილიონი გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

ვენეციის 55-ე ბიენალეზე საქართველოს პავილიონი გაიხსნა და მისი ოფიციალური პრეზენტაციაც შედგა. „კამიკაძე ლოჯია“ — ასე ეწოდება საქართველოს მიერ წარმოდგენილ პავილიონს 55-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე.



ვენეციის ბიენალეში წელს ჩართულია ჯგუფი ბულიონი, ნიკოლოზ ლუტიძე, გიო სუმბაძე, თეა ჯორჯაძე და გელა პატაშური, ეი არაკავასა და სერგეი ჩერეპნინთან ერთად. კომისარია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მრჩეველი — ნანა ყიფიანი, კურატორის ასისტენტი — სანდრა ტეიტგე, პროექტის მენეჯერები — გვანცა თურმანიძე, ნინო ბეზარაშვილი, ანა ასათიანი, მხარდაჭერა და დაფინანსება — საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, კურატორი — იოანა ვარშა. ვენეციის ბიენალეს ოფიციალურ გახსნამდე ქართული პავილიონის პრეზენტაცია ბერლინში საქართველოს საელჩოში ბერლინში შედგა, სადაც იოანნა ვარშამ წარმოადგინა ვენეციის 55-ე ბიენალეზე წარსადგენი ქართული პავილიონის „კამიკაძე ლოჯია“ კონცეფცია, რომელსაც ხელოვნებათმცოდნეები, საელჩოს წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები და პრესის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქართული პროექტი ვენეციის ბიენალეზე 24 ნოემბრამდე იქნება წარმოდგენილი, მისი წინასწარი დათვალიერება კი მაისის ბოლოს გაიმართა. გამოფენის ადგილად შეირჩა კამიკაძე ლოჯია არსენალესთან.

საქართველოს პავილიონი 55-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე, ვენეციის ბიენალეზე წარმოდგენილია არსენალეს ძველი შენობის პარაზიტული მიშენება-განვრცობის სახით. კავკასიის რეგიონისთვის დამახასიათებელი ეს არაფორმალური სტრუქტურა, რომელსაც „კამიკაძე ლოჯია“ ჰქვია, აიგო მხატვარ გიო სუმბაძის მიერ, რომელიც იკვლევს ამგვარ არქიტექტურულ დანამატებს.

— თანამედროვე შენობებზე მიშენების, მათი განვრცობა-გაფართოების ადგილობრივი ტრადიცია ჩამოყალიბდა 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, როგორც ორგანული, ბუნებრივი რეაქცია ახალ, „უკანონო“ დროებაზე. ეს მინაშენები ზრდის საცხოვრებელ სივრცეს, ძირითადად გამოიყენება რა ტერასებად, დამატებით საცხოვრებელ ოთახებად, ღია მაცივრებად, ან, როგორც სუმბაძის შემთხვევაში, მხატვრის სტუდიებად. ამბობენ, რომ რუსმა ჟურნალისტმა დაარქვა მათ „კამიკაძე“, გაავლო რა პარალელი ამგვარი მცდელობებისა და მისწრაფებებისა ქართველთა რომანტიკულ და თვითმკვლელ ბუნებასთან. გარდა ამისა, ქართული გვარები ძირითადად „ძე“-ზე თავდება. ეს არქიტექტურა ასევე ეხმიანება ლოკალურ, პალიმფსესტური შენების მეთოდს, რომელიც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, შესაძლებლობას იძლევა ახალი სახლები აშენდეს უკვე არსებულის ფაქტობრივად თავზე, კავკასიის მთების ციცაბო ფერდობებზე: ამდენად ხდება არა წარსულის მონუმენტიზირება, არამედ მასზე დაყრდნობით და მის საფუძველზე განვრცობა, — აღნიშნავს კულტურის მინისტრის მოადგილე.

წელს საქართველოს პავილიონს აქვს კამიკაძე ლოჯიის ფორმა, უმასპინძლებს რა ჯგუფი ბულიონის, ნიკოლოზ ლუთიძის, გიო სუმბაძის, თეა ჯორჯაძის, გელა პატაშურის, ეი არაკავასა და სერგეი ჩერეპნინის გამოფენას.

— გამოფენის ამოსავალი იდეა იქნება არაფორმალური არქიტექტურის შექმნა, დომინანტურ სტრუქტურებზე უარის თქმის მანიფესტაცია იმისთვის, რათა გააერთიანოს დროებითი თავისუფლება, ადგილობრივი თვით-გამორკვევა და საბჭოთა ინფრასტრუქტურულ მემკვიდრეობაზე კვლავ მიმდინარე მშენებლობის პროცესის გაცნობიერება. გამოფენა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს არაფორმალობათა უჩვეულო რიგი, თავდაყირა გადაწყვეტები და თვით-ორგანიზაციის კონცეფციის ხასიათი ქართულ ხელოვნებასა და არქიტექტურაში, — აღნიშნულია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.

პერფორმატულობის საშუალებით გამოფენა შეეცდება მიმოიხილოს ადაპტაციებში, სუბვერსიულ სტრატეგიებში, ჩრდილოვან ეკონომიკაში არსებული და გაზიარებული ცოდნის პოტენციალი; გამოიკვლიოს რეგულაციების გვერდის ავლის გზები თვით-ინიცირებული გარემოს ადგილობრივი მაგალითების გათვალისწინებით, როგორიცაა „კამიკაძე ლოჯია“, „ევრორემონტი“, „გალამაზება“ ან საბჭოთა მემკვიდრეობის მოდიფიცირება.

— პროექტი ასევე მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ზემოაღნიშნულის კრიტიკული და ხშირად პროგრესული პოტენციალი: შეიცავს რა მრავალმხრივი მეორადი გამოყენების შესაძლებლობას, დღევანდელ კულტურულ დისკურსში ყოვე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ჭიდაობის ოლიმპიური შანსები იზრდება



დიდი შანსია, ჭიდაობა ოლიმპიურ სახეობად დარჩეს. ამის შესახებ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა.

**ჟაკ როგი:**

— თებერვალში მიღებულ გადაწყვეტილებას შეცდომად არ მივიჩნევ. მით უმეტეს, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის რეაქციის შემდეგ. ამ სახეობაში ძალიან ბევრი რამ იყო შესაცვლელი და ცვლილებები უმალ განხორციელდა ყველა კუთხით — მართვის სისტემაში, ტურნირების ჩატარების სისტემასა თუ საჭიდაო წესებში. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ სოკ-ის კრიტიკა სწორად მიიღო და ოპერატიულად იმოქმედა.

შეგახსენებთ, თებერვლიდან მაისამდე ჭიდაობა სპორტის 7 სახეობასთან ერთად 2020 წლის ოლიმპიური თამაშებიდან ამოღების კანდიდატ სახეობად ითვლებოდა. ახლახან, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა კომიტეტმა სამი კანდიდატიღა დატოვა: ჭიდაობა, ბეისბოლი და სქვოში. ამათგან მხოლოდ ერთ სახეობას გაუმართლებს. რომელს შეიტანენ 7 წლის შემდეგ ჩასატარებელი ოლიმპიადის პროგრამაში, 7 სექტემბერს, ბუენოს აირესში სოკ-ის სესიაზე გაირკვევა. **მ. ჟ.**

## ასტროპროგნოზი 10 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — სახლში დიდი სიხარული გელოდებათ, მოემზადეთ. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემას მოევლება. **ტყუპები** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** — გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — ახალ სამსახურში თავს მყუდროდ იგრძნობთ. **ქალწული** — ფიქრებში ხართ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **სასწორი** — ზედმეტად ნუ იაქტიურებთ, არ არის საჭირო. **ღრიანკალი** — ფულის პრობლემას მალე მოევლება, თქვენც დამშვიდდებით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — თავს მიხედეთ, სხვა პრობლემას ადვილად გადაჭრით. **მერწყული** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** — ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. მსახიობის პირველი გამოსვლა სცენაზე; 5. ბედ-იღბალი; 7. მუზარადი; 9. „...ს ძაფი“ — აწეწილი საქმის სიმბოლო; 10. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 13. პაემანი; 14. დგამი; 15. საბრძოლო იარაღი (ძვ.); 19. სოსისის მსგავსი ძეხვი; 20. უდაბნო თურქმენეთში; 21. ერთი ტიპის სამხედრო გეგმების გაერთიანება; 23. ვაშლის ჯიში.

**შვეულად:** 1. ათი დღე; 2. დიდი გრძელკუდიანი ხვლიკი; 3. ზევსის მერიქიფე ყმაწვილი; 4. ფოტოგრაფის სახელოსნო; 6. მწნილი; 8. თითქმის უცვლელი მოცულობის მქონე რკინა-ნიკელის შენადნობი; 11. გულიანი ან უგულო მაგარი კანფეტი; 12. ს.თაყაიშვილის კინოროლი; 16. ინგლისური ხურდა ფული; 17. არგენტინული სამეჯლისო ცეკვა; 18. ნავსადგური.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი